

ქართული გზები



საქართველოს
მწიკრის
გაზეთი
№5 (282)

15 სექტემბერი -
15 ოქტომბერი
2020

ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავის ორჯარი



ზურაბ გორგილაძე

საქართველოს ძირძველი კუთხე აჭარა საინტერესო ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს.

XX საუკუნეში და XXI საუკუნის პირველ ოცნლეულში აჭარაში მცხოვრებ არაერთ გამოჩენილ პოეტთაგან განსაკუთრებით სამი ბრწყინავს: ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე და შოთა ზოიძე.

ამჯერად „მწერლის გაზეთის“ მკითხველს გავახსენებთ ზურაბ გორგილაძის ლექსს.

ნახეთ, რა სიყვარული, რა ერთგულება, რა სინაზე და სევდაა ჩადებული ამ უკვდავ ლექსში.

რევაზ მიშველაძე

სიტყვავ, ბატონო!

სიტყვავ!
შენ,
რჯულის სულო ბებერო,
ნეტა სანამდე უნდა გეფერო.
შენ!
მთების ფშინვავ, ველის ნიაგო, –
სანამდე უნდა გელოლიავო!
შენ, ჩემო ფესვო და ასპარეზო,
სანამდე გფუთნო და გაალერსო.
შენ, ლოდის ჯვარო, სხვენის მტევანო,
ხან ჩონგურო და ხან სატევერო.
შენ, –
მწვერვალების ყელის ეფვანო,
ხან ყიყინო და ხან კაეშანო.
შე,
მსხმოარე სისხლო ხნიერო,
რა გამაჩნია სამაგიერო!

სიტყვავ!
შენ, ჭვანგო კლდეს მიჭვანგულო,
ხან გაბასრულო, ხან გაჭვანგულო.
ხან დაეკლილო, ხან დადაფნულო,
შენ, შვინდავ ჩემო, ჭირში ჩაფლულო.
ხან ხელის გულზე – შავო მერცხალო,
ხან იის წვეთო, ხან ნაკვერცხალო.
შენ, ქობის კვამლო, ჯვარის ლადარო,
ზოგჯერ მტყუანო, ზოგჯერ მართალო.
მაღალ ბალახში ირმის თქარუნო,
ხან სიძულვილო, ხან სიყვარულო.
მჟაველას კლერტო, ხრამის ყვავილო,
მთიდან ცალთვალა დევის ბლავილო.
შენ, მწარე წყევლა და ძუძს ლოცვავე, –
დედა ქვეყანას ჰპირდება როცა.

სიტყვავ!...
შენ, ყალყზე მდგარო მხედარო,
ნეტა სანამდე უნდა გედავო.
შენ, –
ჩვენი სიბრძნის ტყეო უღრანო,
სანამდე გსინჯო და გეპურლაო.
სიტყვავ ღარიბო,
სიტყვავ მდიდარო,
ნასახლარო და ნასიმინდარო,
ნაგზაურო და ნავენახარო,
ბალახო, ყველა მზეზე მაღალო.
სანამდე უნდა ვკრიფო მოთმენით,
ნაფშხვენი შენი ცხელი ზოდების.
ნაფშხვენი შენი მკვრივი გრანიტის,
შენი ნახშირის, თუ მარგალიტის.
რომ ცას ვახარო და გავაგონო, –
აი, გიპოვნე, მუზავ ბატონო!
და რასაც ვნახავ, რასაც ვიპოვნი,
მტვერი იქნება შენი კიდობნის,
ბული იქნება შენი ქალამნის
და, ღმერთმა ნუ ქნას, ისიც ჰარამი,
რამეთუ შენი ხსენი მპატრონობს,
ქართულო სიტყვავ, სიტყვავ ბატონო!

ვინ არ გაგიდო ტლანქი ურდული,
იყავ დაჭრილი და გაქურდული,
გამობოლილი, გამოჭვარტლული,
შენ, ლოდიძირის წყალით ნათლული.
ჩამოთენთილი, ჩამოფლეთილი,
მაგრამ ყოველთვის მაღალ ღმერთივით,
გამოშიგნული, გამოჯიქნული,

წიგნის ბაზარზე გამოჩნდა ქართული პოეზიის ანთოლოგია ორ ტომად. იგი შედგება რამდენიმე განყოფილებისგან (ფოლკლორი, XIX საუკუნის პოეზია, XX საუკუნის პოეზია, XXI საუკუნის პოეზია) და მოიცავს მითაჟამიდან დღემდე ქართული პოეზიის მიერ განვლილ სახელოვან გზას. პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორია მაცყვალა გონაშვილი.

მაგრამ ყოველთვის მხნე და ჯიქური.
და როს სინათლის ჟამი გიდროვე,
მოველ და აკვნის თავთან გიპოვე,
ჩაშლილ კედლების კირში გიპოვე,
და ძველთა ძვლების ძირში გიპოვე,
მუხის ძირკვებს და ქვებს ქვეშ გიპოვე,
წისქვილებში და გზებში გიპოვე,
და დრო როდესაც გამოგიგლოვე,
მანდილის გაფსკენილ ყურში გიპოვე.

შენს საფეთქლებთან და შენს მაჯებთან
უდაბნოს სიცხე დაალაჯებდა.
თვით ბედუინის ცხენმა ინება,
შენს წითელ სისხლში დაჭიხვინება.
სურდათ მოედოთ შენთვის აღვირი,
რომ გადაესხათ სისხლი გარყვნილი.
რომ გულმოდლეთილს ველურ ალერსით
გეცეკვა ბულში და ტრამალებში.
რომ მორეოდა შენს გულს ქლომინი,
რომ ყოფილიყავ ყველას მორჩილი.
რომ მიმონგრეულ შენს სარეცელთან
საჭურისებს და ლომებს ეცეკვათ.
რომ შენი მკერდის თეთრი ჩირაღდნით
სხვისთვის მიგეცა ჯიშიც, ჯილაგიც.
მაგრამ გადარჩი!
ღმერთით, გადარჩი,
იმდენ დელგამში, იმდენ ავდარში,
მამის მჯიღში და დედის კალთაში,
მამის ჯვარში და დედის მაჯაში,
ღმერთით გადარჩი...
ღმერთით გადარჩი!...
სიტყვა დღვანელი, სიტყვა ხულები,
სამას წელიწადს ნამარხულევი.

სიტყვა ყაჩალი, სიტყვა ფირალი,
სამას წელიწადს ნაბორკილარი.
სიტყვა მურჟოლავი, სიტყვა მსუსხავი,
სამას წელიწადს ღვინოუსვამი.
ვაი, რამდენი რამ მოვიგონო,
შე, ქოჩახელას მწვანე ჭიბონო!

დღეს შენი ჯიშის, შენი მუხლების,
ქართული ლექსის მადგას უღელი,
დღეს შენი ფესვით, შენი ფრჩხილებით,
ხორცს ისხამს ყველა საგნის ჩრდილები,
მძულხარ, როდესაც ვამბობ ქართულად,
თითქო სამყარო ცეცხლში ჩანთქმულა,
თითქო ტაძრები ცად აღმართულა,
მიყვარხარ, როცა ვამბობ ქართულად.
ლოცვა, კურთხევა, კოცნა ურიცხვი,
ამ ორად-ორი სიტყვის გულისთვის.
სიტყვავ რუსთველის ხელში ნაქონო,
სიტყვა მერანის ნალში ნაქონო,
სიტყვავ მინდიას ჯამში ნაქონო,
ვინ გინდა ამ ცას, რომ გამოხეთქო,
ან ამ მწვერვალებს გადმოაქროლო!?

მე რასაც ვნახავ, რასაც ვიპოვნი,
მტვერი იქნება შენი კიდობნის,
ბული იქნება შენი ქალამნის
და, ღმერთმა ნუ ქნას, ისიც ჰარამი, –
რამეთუ შენი კვერთხი მპატრონობს,
ქართულო სიტყვავ, სიტყვავ ბატონო!

გაგრძელება.
დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ N 4

რეზო ადამია

შეხვედრა დიდ მწერალთან (ფიქრები და განცდები)

მაგ ნაამბობს როგორ გავამხელებდი ბატონ კონსტანტინესთან, მაგრამ დღეს ნათლად მომაგონდა ბატონი კოლიას — სამართლიანი, მართლაც უნიჭიერესი მოქანდაკის — გულსინყრომა. არადა, წარმოიდგინეთ, როგორი ღირსების ბიუსტ-შედგენი, გვექნებოდა ქართველებს და მხოლოდ ჩვენ კი არა, გულდასაწყვეტია, რა თქმა უნდა. იმხანად საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, გრიბოდოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობის, ნადეჟდა ბურმისტროვას, პორტრეტზე მუშაობდა; მსოფლიოში განთქმული მოქანდაკისგან უფლება მქონდა, სეანსებს დავსწრებოდი. შუადღეა, სახელოსნოს კარი გაიღო და უმშვენიერესი ტანის რხევით შემობრძანდა ულამაზესი, მაღალი ჰარმონიული აღნაგობის ქალბატონი, მიხაკებით ხელში. მოგვესალმა, შინაურულად ხალასად, მოხდენილ-მსახიობურად და მამრობითი სქესის ლომის შეხედულების დიდ მოქანდაკეს უშუალოდ, თამამად ეახლა და თბილი ღმილით თავი მთავრად გადასცა და ნაიარევით დაღარულ მაცხტროს ნითურ ლოყაზე მოკრძალებით ემთხვია. მერმე დაიწყო ზებუნებრივი ქმედებები, მშვენიერ ნატურა მთლიანად უხილავ სხივებზე გასცემდა მთავარ სამყაროს და მოქანდაკეს ალბად სთავაზობდა. სინამდვილეს ვიხსენებ! ბატონი კოლია ბიუსტთან მუშაობდა უცნაური მიდგომით, არა ჩქარი მოქმედებით და არცა ნელი, რაღაც შუალედური იყო, დემონურთან ახლოს. ჯერ აგურისფერ თიხას ხელის თითებში აშუშავებდა, თითქოსდა ავტორისა და ნატურის სულის ჩასხვა ხდებოდა. მერმე გრძელი, ვინრო ტუჩების ცმაცუნით, ზემათემატიკური სიზუსტით, ბიუსტთან მიიტანდა საგანგებოდ ნაძერწს, დასვამდა საჭირო ადგილას და იქვე სიცოცხლე, უმკერვესი შინაგანი ფორმიდან, სულიერდებოდა. ამდაგვარად ჩვენს წინ მარადიულობა ქანდაკდებოდა.

მართლაცდა უფაღმა, თავისი თავის გამოსახატავად ხელოვნება ალაგლინა გენია-ადამიანთა მეოხებით...

ორი აკადემიური სეანსის დამთავრების შემდგომ ღირსეული ქალბატონი სევდიანად გავაცალეთ. ბატონი კოლია შუა სახელოსნოში, მარჯვენა მხარ-ხელჩამოვებულად და თმაშლილი, ბიუსტ-პორტრეტის წინ დადგა და შინაგანი ხავერდების ხით დაილაპარაკა, უსათუოდ ბრწყინვალე ქალია... პირადად, არც ღმილი და აღფოთება თუ გაკვირვება არ მოგვარა ამ ცოცხალმა სურათმა, რადგან რაღაც რეალურს მიღმა, სრულად უცხო სივრცეში მოქმედებდა.

ახლა კი მოაწია კეთილმა ჟამმა, ბატონ კონსტანტინეზე ვიცინებოთ და ვისაუბროთ. დროსთან, უფერულ, ზნელ თუ ცეცხლოვან სივრცესთან, ადამიანთა ყველა თვისებასთან, ქარიშხლის სტიქიასთან, ბოროტ მოვლენებთან, წარსულში ჩამარხულ მტრებთან თუ თანამედროვეთა გახელებასთან მებრძოლ სამაგალითო ხელოვანს, ისევე ვეახლოთ. ალბათ თვითონაც უკვირდა, რომ ასეთი დაიბადა...

შუქნათელი მწერლის ნაწარმოებთა მოგონებათა თუ თხრობის გმირი, რომელიც გამორჩეულ ლიტერატურულ, ისტორიულ, მითოლოგიურ, რელიგიურ, მისტიკურ, ზოგჯერ რეალურ-ირეალურსაც, ასევე სიურეალიზმის აბსტრაქტული თუ ჰიპერ-რეალიზმის უცნაურ ფორმათ ხილვათა სხეულსაც ფლობს. ყველა მათგანს თავისი დამოუკიდებელი ჩამოსხმული ხმა, ფერთ ჰარმონია, ლაკონიზმი გააჩნია, ნებისმიერ გამოკვეთილი ხასიათი, ზნე, მთლიანი სხეულის კონსტრუქცია თვითმყოფადი, უფსკეროდ სიღრმისეული სულიერ-ფსიქოლოგიურად ნაძერწი პორტრეტებისა; რითაც უნაკლოდ, ეპოქათ სრულყოფილი ხატვას, მხატვარ კლასიკოსების, ბრეიგელ-ბოსხის მიერობით: უფრო ღრმად წარმოვიდგინოთ, თითქოსდა ეგვიპტური, მუქი ლურჯი გრანიტის ქანდაკებათ, ფორმა-ხაზთსხმულია; ან,

კოლხური უძველესი წელფორმიანი ამფორებივითაა — ტევადი, უხილავ აზრთ უსასრულობისა. საკვირველი და შორეული ზომა ხედვას მოქმედება მრავალხმიანი. მათგან იდუმალი მინიმუმებიცაა მიწყვდიადებულ, პელაზგურ-ეტრუსკულ, უძველეს კოლხურ არქაიკად შერწყმულ-მონეულ, ინსტინქტურ-წარმოსახვით ზიარებისა, რომელთაც უხსოვარდროინდელი, ურყევად მთარული ფანტასტიური ინსტინქტ-მისტიკა ახლავს...

ბოლო ნლებში, როცა მოეძალა ავადმყოფობები, მძიმე ფიქრები, დეპრესიები: ქვეყანასთან, ოჯახთან, თავის შედეგებთან, გმირებთან (მწერალი ხომ თავისივე ნაშობი გმირით ფასდება), მზე, სინათლე ქვეყანასთან განშორების დღეები, თვეები თუ წლები, მკაცრი კოსმოსი აკონტროლებდა, მამა ღმერთი, ძე ღვთისა იესო ქრისტე. ადამიანი თავადვე მცირე განწყენებული კოსმოსია: იბადება, იზრდება — იწვის, იფიტება და ქრება. მერმე კვლავ აღსდგება და ამდაგვარი ფორმით ტრიალებს ცოცხალი სამყარო, უხილავი მოლეკულებიდან დანწყებული. ქვეყნიერების ყოვლისმომცველი სული ხომ უსაზღვროდაა გადანაწილებული, როგორც უფალი ყველგან (პატარა ია-იის ყვავილიც რომ დანიავობს). უსასრულობაში — კოსმოსში და მის ორბიტრიალში, შავი ხვრელის სიმძაფრითურთ, ყოველგვარი ზეკანონით, ზნებრივ ჭქმარიტებათა მთლიანობაა...

უმდიდრესი-თვითმყოფადი ლიტერატურულ-მხატვრული თანამედროვე თუ ისტორიული გმირების გაღერება, ბატონი კონსტანტინეს ფსიქოლოგიურ-ზნებრივი, წმიდა ეროვნულ-კაცობრიული უმტიციესი კანონ-წესდება... უცილოდ, ურთულესი მიზანია, მაგრამ ანთებულ ბრწყინვალე მაცხტროს, შინაგან იდუმად უხილავობას მინდა მივუახლოვდე: ვარსკვლავების მრავალმხრივ გადასებული სივრცე უზომოდ მდიდარია მუსიკით, აზრებით, ფერებით, ფორმებ-ხაზებით, პოეზიით, ფილოსოფია-მეცნიერულ-საოცრება-უხილაობებით. შეუვსებლობაში ინახება მთავალი ცივილიზაციები და რელიგიათ სიახლეები. სავსეობაა უკეთურ-სიკეთე და სიყვარულით, რომელსაც გამოხატვისი წვედებიან და ურთიერთკავშირად, უსასრულოდ კოსმიურ-უფლისმიერი სული დანიავობს ყველგან. მომავლის მილიონობით ნლებში მაგ სიმდიდრეს პოულობდნენ იქნება მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები, მოქანდაკეები, ფერმწერები-მხატვრები, კომპოზიტორები, არქიტექტორები, ღრმად მოაზროვნე მორწმუნეები, ნათელმხილველები და მეცნიერები: ყოველივე მიუწვდომლობას მიაგნებენ და მოიზიდავენ მხოლოდ გენიალური ნიჭის ადამიანები, უბრალო ადამიანებისთვის მანაც ძნელად მისაწვდომი, მაგრამ მათი სულიერ-გონებრივი ამბალელები.

დაეუბრუნდეთ სასიამოვნო განწყობილებას, გონებით შორს მყოფი მწერალი, გახსნილი სახით, სივრცეს უცქერდა. კეთილი საუბარი და სიმშვიდე ხომ მკურნალია ნებისმიერ შემთხვევაში... ზომიერი გამბედაობა არ მაკლდა, რათა დროულად რომ გამხსენებოდა და ერთი წინადადება მეთქვა, კონსტანტინე ბატონო! ხელისუფლებამ პატარა ბინა-ოთახი რომ მომცეს, თქვენს ერთი-ტელეფონის ზარს შეუძლია-მეთქი. თან უკვე კულაია და სიამაყით განვაცხადე, რომ ეპოქავირეული არა ვარ და მომავალშიც ღმერთმა დამიფაროს-მეთქი. კომკავშირელი არა ხარ, ყმანვილო? ცნობისმოყვარეობით კითხვა დამისვა და ნდობით ავესოთვალე, საგანგებოდ შემომხედა, თითქოს ესლა აღმომაჩინაო.

მამაჩემი, კონსტანტინე ბატონო! ათას ცხრაას ოცდაოთხის აჯანყების გამოსვლის მონაწილე გახლდათ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით. ბოლშევიკ საშა გეგექტორს დაუჭერია და მემობოხეთა, მორიგ დასახვერებას სიაში შეუტანია, მაგრამ ბედად იმ დღეებში ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია სენაკში ჩამოსულან და მათ გადაურჩენიათ მრავალნიც: ასე უთქვამთ გეგექტორზე, რა გიქნია, შე კაცო, მთელი სამეგრელო დაგიხვერეთაო, შეწყვიტე ეხვევო! ნაღვლიანად ამოიხვნეშა მაცხტრომ, თითები მაგიდაზე დააკაუნა და სახეზე ზიზღი გამოეხატა. ბაბუაჩემი ნიკო ადამია მაზრის მწერალი გახლდათ, მერე კომუნისტებს გაუჟულაკებიათ. კი! მასხოვს ბუნებრივად, სოფლის ხალხში ნახსენებდნენ... დაილაპარაკა მწერალმა და თავი დახარა; კოლხური კომუნისეული სიმშვიდე უხილა-

ვი დინებით შემოიპარა დარბაზში და მასტრომ, დალილიმა, ფარულ-მათელიმა...

საშინელებაა ადამიანის ცხოვრება, შინაგანად მუდამჟამს მარტოობაში ყოფნით...

ალბათ დასვენების დროა დიდი შემოქმედის, ფიქრმა გამკრა; ასაკოვანი მწერლის უზომო შრომა-გონებრივი; სიცოცხლე-გარემოსთან უმძიმესი ურთიერთობა, უღმრთო კომუნისტებთან გაუთავებელი დავა; ვერაფრით ვერ დაუმტკიცებდით მათ, რუსეთი, ახალ ერეხელაპიად რომ ჩამოაყალიბეს. ბუნებრივი ავადმყოფობა და ასაკიც ეძალებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანს...

საკვირველი არაა? ყოველგვარი შედეგების შექმნა ცვეთს შემოქმედის ორგანიზმს თავისი სხეულის უმცირესი ორგანოებითაც; რომელიც დაუზოგავ, თავისთავად ფიზიკურ, სულიერ-გონებრივ შეწინვას წარმოადგენს.

შივითობაა მსოფლიო პროზაში, მაგდაგვარი მოხდენილი ანდამატური თხრობის, მხატვრულ ულამაზესი ხატოვანი ფორმა, მიადევნეთ გონებრივი მზერა და იხილავთ მუქი წაელისფერი კოლხურ-იბერიული ცხენ-რამის ფრიად შეკაზმული მიერობას: წერის სტილის, ნეტარ ფერწერულ-მუსიკალური, პოეტური ნატიფი გემოვნება. აზრთ ჰარმონია მხატვარ ანრი მატისისეული, ხაზთ სვლა, წარწარ დინებათ ფორმით ყოველივესი. მოციქულთა ოთხთავივით საამოდ რომ იკითხება. რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ ხომ განუმეორებელი, ლიტერატურულ-ნებისმიერ სივრცეში მუსიკალურ-პროზაული უნაკლო პოემაა. გენიალურ პოეტათვისაც თეთრი შურის აღმძვრელი. თხრობა-მოყოლისას ნებისმიერი სიტყვა-წინადადებათ, ტანში ჟრუანტელის მომგვრელი სიახლე, აზრთ წყობით; ეგვიპტური ფრესკათ მოხატულობის შეპარვითი მრავალხაზოვანი განწყობილება, სიტყვათ-ფერ, აზრ-ფორმით პროპორციებით, მხოლოდ ავტორისეული სტილისეური მოქმედების ლიტერატურულ ჰარმონიად გვეცხადება... ქართული, ღრმად მოაზროვნე სიტყვები ინდივიდუალურად ისე მოძრაობენ, აგერას ბექა და ბემქენ ოპიზრებისეულ ორნამენტებად მოიჭედენ-მოიხვენიანო!..

ერთხელ, პარიზში, ლუვრის ფერწერული სურათების დარბაზებიდან გამოვედი, ულამაზესი ეზოს ჩრდილოვან მხარეს მარმარილოს გრძელ სკამზე განვმარტოვდი, ფერწერული შედეგებისგან აღფრთოვანებულს მინდოდა და ყოველმხრივ ვეცადე, გამოვნება, შედეგე ქმნილების თეორიულად განმეხილა, ჩაწვდომოდი, რა ხდება შენში იმ ნუთებში ნაწარმოების უცხო შეგრძობა, სტილი და კულტურა ოსტატობისა როს შეგიპყრობს და ნეტარ უზომო სულიერ სიამოვნებას რომ განვაცდევინებს. აქ უთუოდ, მაგ შემთხვევაში, ღმერთი კეთილი განმანათლებლად შემოვიდა შენში, უშუალოდ შედეგოდან და უფრო მეტი რამე არსებობს? ახსნით? ლამაზი თუ ნებისმიერი ქალის სიყვარულს? შექალბთ, აის-დაისის მშვენიერების სულიერადაც დასურათებას? ან ბრძნულ სიახლე ღვთაებრივ აზრებს ბოლომდე ჩასწვდებით? ძნელიაო, იტყვიან. ამიტომაცაა ხელოვნების შედეგები უმეტესათვის მიუწვდომელი, რადგან ყველგან მათში იდუმალბათა უფაქიზე-სი ანგელოზისეული მრავალი უნატიფესი ნიუანსია დავანებული. დიდი ხელოვნება სამყაროს უსასრულობიდან გადმოედინება და უმნიშვნელო ნელი სვლით უკანვე მიცოცავს, კვლავ დიდი ნიჭია საჭირო მათი ჩვენს პლანეტაზე მუდმივად დატოვება-შენარჩუნებისა (დედამინიდან დროთა ჟამში, ცოტა ხელოვნების შედეგებია გამქრალი?).

კვლავ ვეახლოთ უკეთილშობილეს დიასახლისს; დარბაზში სიმშვიდეა, ფიქრები, აზრები, ნაწარმოებთა გმირები, ყოველგვარი ზნებობისა, თითქოსდა შორეულში გავიდნენ. მგონი ხელოვნების ანგელოზიც დადუმდა და მწერალთ მოძღვარს ფიქრებით მისჩერებია. ეზოდან ონდავ ჩიტების ხმა ისმის... უმად ნამოვდექი და ქალბატონ მირანდას დარბაზიდან გასვლის უფლება ვთხოვე, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, დაილალა, ბატონო! დილით ადრე იწყებს ახალ რომანზე მუშაობას, ძალიან უნდა, „თამარ“ დროულად დაამთავროს. შემდეგ სურათი აკვიდ, „ეტიოდნიკი“ მხარზე გადავიკიდე და კეთილ დიასახლისს გულთბილი მადლიერებით დავემვიდობე. ნამით შეგწერდი და

უმორჩილესად ვთხოვე, მაპატიოს კონსტანტინე ბატონმა, რადგან დაუმშვიდობებლად ვტოვებ თქვენს ღირსებას-მეთქი! არა უშავს, ბატონო! ამჟამად მდგომარეობა შეიქმნა ასეთიო. მაგ ნუთებში უკმარისობის გრძობით დათრგუნულს, უჩვეულო შინაგანი უძღურობის სიმძიმე დამანავა...

რამდენიმე წლის შემდგომ, მაშინდელ საკავშირო გამოფენაზე მხატვართა კავშირიდან წარადგინეს ჩემი კოლხური კომპის ნახატი, ქალაქ მოსკოვში და შემფასებელმა კომისიამ ფონდებისთვის შეიძინა კიდევაც. დღეს ნამდვილად ვნანობ; ნეტავ ჩემთან ყოფილიყო ერის საამაყო კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლის დროინდელი კოლხური კომპის ამსახველი ფერწერული ტილო; ან საჩუქრად განდამეცა ოჯახზე. თუმცა, ბატონი კონსტანტინეს შვილის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ოჯახზე თავდასხმის დროს, საუბედუროდ, კოლხური კომპი რომ გადაწვეს, შეუდარებელი, მგზნებარე პატრიოტის მიმართ მტრულად განწყობილმა ქართველებმა, ჩემი ნახატიც ხომ პოლიტიზირებული ცეცხლის მსხვერპლი გახდებოდა.

„ხელოვნების ნაწარმოებში ღმერთი სთავაზობს და კაცი განაგებს“. — ანდრე ჟიდი.


კონსტანტინე გამსახურდიას სიახლე აღუწერელ გემოვნებიანი სტილდარღვიანი პროზა, შემოქმედებითი სრულყოფილება ნებისმიერი ეპოქისა თავისი სხეულ-სულიერებით, სამშობლოს უმდიდრეს წარსულ, ყოფით და დღევანდლობის ქარცეცხლიანი ისტორიიდან იყო აღმოცენებული, რომლითაც ერის მომავლის სასიცოცხლო კვირტებს ადვილებდა. თავისი ქვეყნის პატრონ-პატრიოტი გახლდათ, რჩეულ ქართველ მეფეთა დონეზე და კოსმიურად აზროვნებდა, მეცნიერულ-ფილოსოფიური რწმენითი ჯანსაღი აღმოჩენებით, ნებისმიერ პატრიარქზე უმეტესად. თავდადებით ებრძოდა როგორც წარსულს, ასევე იდეურად აღჭურვილ თავისი დროის უძლიერეს დამპყრობლებს. მრავალჯერ თუ გადაურჩა გოლგოთა-გილიოტინას, ისევე ვით უზორცო უშიშარნი, დაუდგომელ-მოუხვევარი და სუსხიანი ნიჭ-გენიიდან გამომდინარე, მაგრამ მოღალატე ქართველებთანაც მუდმივი დაპირისპირებით, პირადი ჯანმრთელობა დღითიდღე უუარესდებოდა. ჯალათებმა რამდენიმეჯერ, იოანე ნათლისმცემელივით, პატიმრობაშიც იყოლიეს. უთუოდ წმიდა მებრძოლი, ზეცილან ახლად მოვლენილი მორიგი შეწირულობა გახლდათ: სიცოცხლის უკანასკნელ ნუთამდე არ ზოგავდა უიშვიათეს უფლისმიერ ნიჭთ-მოწოდებას და ერის სამსხვერპლოზე პირწმინდად მიაბრძანებდა სამშობლოს სიცოცხლის მირონომდინარე ხატთან, რომეიც ათასწლეულთა საშოდან გამოგვეცხადა. მთელი სიცოცხლე ნათელმიზნობრივად ჯვარზე გაკრულმა გმირულად გაატარა. კეთილი ზვარაკი ნელ-ნელა იცლებოდა წმიდა სისხლისაგან და ღია არტერია-კაპილარ-ძარღვებით დღენიდავ კვებავდა მარად ტანჯულ, შინაური თუ გარეული მტრისგან გადათელილ მამულს, რისგანაც მადლიერებით აღმოცენდნენ შეუპოვარი, კვლავ შეწირული გმირები.

ღია ზეცის გუმბათიდან უძველესი და უძველესი კოლხეთის მეფე აიეტ — მზის ღმერთის შვილი და ლეგენდა, გმირი მეფის, დავით აღმაშენებლის ღვთაებრივი ციქლო, ვარსკვლავეთურ ენერჯი და ეპკურებოდა განგებით რჩეულ შვილს...

შემოქმედად გაჩენა და მოღვაწეობა ტიკვილ-სიამოვნებითი მოსვლაა სრულყოფილი. დიას, ეგაა მთავარი ფორმა და არის მიუწვდომელ შემოქმედ ზეციურობისა. სიკვდილითაც ხომ უმძიმეს ტანჯვით, უსასრულო სიამოვნებაში გადასვლა: სამყარო, კოსმოს-საოცრება — შენ ხარ, უფალო!

უდრეკი გენია ხელოვანი საბოლოოდ მედგრად დაეჭვრა სიკვდილს და დაიმსხვინა მეტეორებად გარდასახული...

მწერლის უნიკალური, მზედქმნილი რომანები, მოთხრობები, ნოველები, ესეები თუ მრავალი მეცნიერულ-ფილოსოფიური წერილ-ნაწარმოები სამუდამოდ დაობლდაო, ვილაცხებმა დაიძახეს, მაგრამ არა! ერმა და მსოფლიომ მარადიულად იშვილეს. ნეტარ! კონსტანტინე ბატონის სისხლი კი, სამშობლოს მინის ჟამეულ ნაპრალებში მტკიცედ ჩაკირდა...



გოჩა ხარანაული

ვიცი

ეს უგონთური რა გახდა, გამაგებინე,
როგორ გაუძლებს მამული ნაღმა-
უკუღმა რყევას!

როგორ მოვიქცე სანყალი იქნებ შენ
მიტხრა, ზურაბ,
ქართული გული ჩლიქებით მონდომებით
რომ წურა!
ყაჩაღად ჩავჯდე საფარში, თუ შევდგე
სადმე ბერად,
წყალი ვგრიხო თუ საბელი ყულფად
გამოვკრა, მერაბ!
ეს უკუ დაბადებული სადამდე მიდის,
თამაზ,
ან საქართველოს რას ერჩის ასე
სანყალს და ლამაზს!

რაი ვქნა, ჩემო მოხვევე, ქუშაშვილების
ბალო,
რადღა გვალაატობს ბოლო დროს ჩვენი
ნიჭი და ალო!
საით ნავიდე მითხარით, ჩემო თედო და
ნიკო,
თავზე რომ წამოგვახიეს თურქის დროშა
თუ ტრიკო!
ამოიარა არსენამ ღრუბელისფერი
დროშკით,
გაუპიათო შუაზე იმხანო და ოშკი!

ქართველებისგან ამოგდით თავზე
ქართული კოპი,
ფეხზე ჰკიდია ურჯულოს რა ემართება
ოპიზს!
სად ამოვვარდე, სად ჩავდგე, სად
ვზილო სისხლით თიხა,
სად დავიძინო, ძილში რომ თოფი არ
დამკრან, მიხავ!

პური მაჭმე, ყივჩაღო, ღვინო მასმიე,
ქუროთო,
თორემ მშიერი თავ-პირი ფუნაში უნდა
ვდურთო!
ო, რა ტკბილი ხარ, თათარო, შენ გაქვს
ქინძი და კამა,
მე - ამოვავლე წუმპეში თამარის თეთრი
კაბა!
ისე გაგატან, სომეხო, ახალციხესაც...
ონსაც...
ქართულ ღიმისაც მოგიძღვნი,
ქართულს წაგისმევ ქონსაც!

ვინც მოყვარესა არ ეძებს ჭირი იმას და
ქატო,
მაგრამ ერთი ვერ გავიგეთ - სად
ვეძებოთ და რატომ!
მშობელი დედის არმცნობი, ცუდად
კუნტრუშებს კვიცი,
ამას რაც მოსდევს, ქართველნო, ვიცი,
ვიცი და ვიცი!

რა ხდება?

ნიქარას დაკვლას ვაპირებთ,
პირს ვუნყოფთ დანას შავტარას,
იმაღ ვართ უბედურები,
ვუკმევთ ხორცშესხმულ სატანას!

მუდამ ვარ მისი მქებელი,
ვინც შენ წყლულები მოგბანა!
იმაღ გვჭირს უშველებელი,
რუსთველის ნაკლებობა!

ხე-ქვა ცხვირ-პირში გვეხლება,
მოგვდგა უბირი ათასი,
ვენახი მიტომ გვეხნება,
ჩოხა ჩავკუნთ ვაჟასი!

ოქრო გაბახდა ხალასი,
ისევე თვლენა და ძილია,
რა ხდება ამ ქვეყანაში?
- ილია გამოილია!

უნდა ნავიდე, თუმცაღა
მე მგონი - უკვე ნავედი,
ფეხზე მკიდია საათში
ნაჯამბაზევი ნამები.

რომ დავრჩე - უნდა ნავიდე,
გული გავუშო ლაჟვარდებს,
ზოგსავით ძეხვად არ ვიქცე
ემანდ სადმე არ დავჟანგდე.

სარცხვინო დამონებაა,
დანებდე დროის პითონებს,
მოსვლა - იმისი ნებაა,
წასვლის უფლებას ვიტოვებ!

ქართველი კარგავს ფუნქციას,
ქვეყანა ისე ურცხვია,
რომ ეროვნული ფეხები
სხვის მხრებზე შემოუნყვია.

რაც წინაპარმა აგროვა,
ბრიყვი ქართველი ფანტავსა,
თურაშაულის პატრონი
ჭალაში ეძებს პანტასა.

ერთად გაუნყრა გამჩენი
ვარდებს, იებს და ენძელებს,
მამულს კარგავენ მარგები,
მერე - ლომები ეძებენ!

ამერიკა

როგორ შევხედო მოსისხლეს ნაზად!
ვით ნავწვდე ლუკმას ცოდვილს და
არამს!

დანაპირები სად არის, ვაჟავ,
რად არ მოადგენ სამასნი არავგს?!

ნეტავი, შოთავ, არ იწვის ცა რად,
ან რა ვქნა თუ ლომს ფაფარი არ აქვს,
რატომ დაგირჩა მამული ცალად,
რად დაავინყდათ ინდოს და არაბს...

სად არის, ლადოვ, რომ მოჰგავს ხვითოს,
ნატურისთვლიანი რად ვქექავ ნავგვს,
დაუფრენია ლაშ-ხახა პითონს,
ჯერ არ გაგუღულს ჩემს მამულს ყლაპავს!

მიხავ, ძმის გულო, ნულარ მეძახი,
ვერ გავხდი შენი წყლულების მკერელი,
წევს ამერიკა - შლეგი მეძავი -
ჩემი ლამაზი სამშობლოს მკვლეელი!



აკაკი ბრეგაძე - 85

85 წლისა შესრულდა გამორჩენილი
ქართველი მწერალი და საზოგადო
მოღვაწე აკაკი ნიკოლოზის ძე ბრე-
გაძე. ამის გამო საქართველოს მწერ-
ალთა კავშირმა იუბილარს მისალმება
გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო აკაკი!

ჩვენო ძვირფასო, სიქველითა და
ერთგულებით გამორჩეულ თა-
ნამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი,
თქვენი მეგობარი ქართველი მწერ-
ლები გულმხურვალედ მოგესალმე-
ბიან ჩინებულ შემოქმედს, მოღვაწეს,
ჭეშმარიტ ერისკაცს და გილოცავენ
ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხ-
ოვრებაში - დაბადების 85 წლისთავს.

1955 წელს გამოქვეყნდა თქვენი
პირველი თარგმანები და მას შემდეგ
რუდუნებით და თავდავინებამდე
მისული გატაცებით ამდიდრებთ მშ-
ობლიურ ლიტერატურას პირველხ-
არისხოვანი თარგმანებით.

რა დიდებულად თარგმნეთ რუსუ-
ლი მწერლობის ისეთი კლასიკოსე-
ბის ნაწარმოებები, როგორცაა
ალექსანდრე პუშკინის პროზა, ლევ
ტოლსტოის „განა რამდენი მინა სჭირ-
დება ადამიანს“, ივან ბუნინის „ლიკა“,
თეოდორ დოსტოევსკის „თეთრი ლა-
მეები“, ალექსეი ტოლსტოის „გზანი
ნამებისანი“, „ემიგრანტები“, „ნევიზო-
როვის თავგადასავალი ანუ იბიკუსი“,
ლეონიდ ანდრეევის „ბენტოვიტი“,
ბორის პასტერნაკის „დოქტორი ჟივა-
გო“, ანდრეი პლატონოვის მოტხრობე-
ბი, ჩინგიზ აიტმატოვის „საქონდაქრ“.
ამ აიას თუ დაგუმატებთ მსოფლიოს
მწერლობის აღიარებული დიდო-
სტატების (ალექსანდრე დიუმა, მეშა
სელიმოვიჩი, ავგუსტ სტრინდბერგი,
ჟორჟი ამადუ, კობო აბე, სელმა ლა-
გერლიოფი, ელიზა ოჟეშკო, ქენძაბუ-
რო ოე...) თქვენეულ თარგმანებსაც,
ცხადი გახდება, რომ თქვენი სახით
თანამედროვე ქართული მთარგმნ-
ელობით სკოლას ერთ-ერთი უღირ-
სეულესი წარმომადგენელი ჰყავს.

ათწლეულების განმავლობაში
იყავით გამომცემლობა „ნაკადუ-

ლის“ რედაქციის გამგე და არაერთ
საშვილიშვილო საქმეში ლომის წილი
დაიდეთ. მართლაც რომ დიდი ამაგი
დასდეთ ქართული პოეზიის ჩვიდმეტ-
ტომეულისა და ქართული მწერლობის
ოცდაათტომეულის გამოცემებს...

თუმცა უნდა გულწრფელად ითქვას,
რომ ბოლო ათწლეულებმა სულ სხვა
განზომილებაში დაგვანახა თქვენი ისე-
დაც კოლორიტული პიროვნება. დიას,
იმ წლებში, როდესაც ქართული სახელ-
მწიფოებრიობის ბედი ბენჯე ეკიდა,
როდესაც ქვეყანაში განუკითხაობა და
სრული აპათია სუფევდა, თქვენ ძალ-
ზე სერიოზულად, ენერჯის სრული
დაძაბვით დაინყეთ ზრუნვა პატარების
- საქართველოს მომავალი მოქალაქე-
ბის სულიერ ფორმირებაზე. 1995 წელს
დააარსეთ საყმანვილო გაზეთი „ციც-
ინათელა“, რომლის კომპლექტების
გაცნობა გვარწმუნებს, რომ ჩვენ წი-
ნამე ენციკლოპედიური შინაარსის
მქონე გამოცემაა. ამავე დროს „ციც-
ინათელა“ აქციეთ იმნაირ გამომცემ-
ლობად, რომელიც უაღრესად საჭირო
და უმნიშვნელოვანი ტომეულებით
ინონებს თავს. მათ შორისაა სერია-
ლი „საკითხავნი ყმანვილთათვის“ (30
ტომი), სერიალი „მწიგნობრობა ქარ-
თული“ (20 ტომი), „ლიტერატურული
საუბრები ახალგაზრდობისათვის“ (15
ტომი); „ციცინათელას“ ბიბლიოთეკით
გამოეცით „საქართველოს განმანათ-
ლებლები“, „ნიკოფსიიდან დარუბან-
დამდე“, „ქართული ფული“, „დედა-ენის
თავგადასავალი“, „ვეფხისტყაოსნის“
თავგადასავალი“, „ქართული ფუტ-
კარი“, „ქართული ვაზი და ღვინო“...
2016 წელს შეადგინეთ და გამოეცით პა-
ტრიოტული პოეზიის ანთოლოგია „შენ
ხარ ვენახი“.

ყოველივე ამის გაკეთება თქვენ დიდი
ადამიანური და სულიერი რესურსე-
ბის მქონე ერისკაცმა, ლამის შიშვე-
ლი ხელებით შესძელით და ამიტომაც
გვიყვარხართ, გვიყვარხართ თქვენი
უანგარობისთვის, უშურველობისთვის,
საქვეყნო საქმეების კეთების დაუცხ-
რომელი მზადყოფნისთვის.

გვახარებს, რომ თქვენი ღვწა ილია
ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლისა და იაკობ
გოგებაშვილის სახელობის პრემიებით
აღინიშნა.

ბატონო აკაკი!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ
გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშ-
ობლო ქვეყნის მეციხოვნეს, დღეგრძე-
ლობასა და მზეგრძელობას გისურვებთ
და კიდევ თქვენი საესავი ქვეყნის გა-
ბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნუგზარ წერეთელი - 85

85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ აკაკის ძე წერეთელი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო ბატონო ნუგზარ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1958 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ ექვს ათეულ წელზე მეტმა განვლო და ამ წლებმა ყველას დაანახვა, რომ თქვენი სახით ქართულ მწერლობას, სრულიად საქართველოს ჰყავს ერთი გულანთებული შემოქმედი, რომელსაც გულისფიცარზე ახატია დიდი ილია მართლის სამება - მამული, ენა, სარწმუნოება. ამ მოსაზრების დადასტურებად გვესახება თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, რომანები, მატერული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური სტატიები, რომლებმაც სამოცამდე კრებულში დაიგნა.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორცაა „ყველა სიმღერა იწყება შენით“, „მარად და ყველგან“, „ფიქრიანი შემოდგომა“, „ახალგაზრდობა“, „უნყვეტი ძახილი“, „რის სიყვარულიც მე მისწავლია“, „საქართველოს ერთი მეციხოვნე“, „დიდი სათქმელი მოკლედ“ (ორ ტომად), „მწუხრის ჟამი“, „ნაოცნებარსა და რეალურს შორის“, მარადიული შემოდგომა“, „უმთავრესი“, „მამული“...

ამ კრებულებში შესულმა ლექსებმა კიდევ უფრო ცხადად წარმოაჩინა თქვენი, სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტის, მონუმენტური ფიგურა, რომლისთვისაც სამშობლო ყველაზე დიდი ტკივილიცა და სიხარულიც, ჟრუანტელის მომგვრელი სიხარული, ისიც, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებო იმისთვის, რომ „ვეფხისა და მოყმის“, მრავალჟამიერის, სვეტიცხოვლის, გელათისა და ნიკორწმინდას შემქმნელი ერი გადაურჩეს ჟამთა გრიგალებს...

საქართველოს მოურჩენელ იარებს ეძღვნება თქვენი რომანები „სიკვილი ოცდაათ ლარად“, „დაუსრულებელი ზამ-

თარი“, „ქვების სროლის ჟამი“, „გზები წყვილად“, „ჩაკეტილი სივრცე“...

ტრაგიკული ბედის მქონე დიდი ქართველი მწერლის სიმონ ჩიქოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება თქვენი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა, ისეთი მონოგრაფიული ნაშრომები, როგორცაა „სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება“, „სიმონ ჩიქოვანი და ხელოვნების საკითხები“, „ნაციონალური და ინტერნაციონალური სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში“. ამ გამოკვლევებისათვის 1992 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნოდება მოგენიჭათ.

თქვენი საუკეთესო ქმნილებანი თარგმნილია ჩეხურ, სლოვაკურ ენებზე, შესულია არაერთ მნიშვნელოვან ანთოლოგიაში. თავადაც ჩინებული მთარგმნელი ხართ. დიდად თქვენი წვლილი ქართულ-სლოვაკური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. თარგმნეთ და გამოეცით გამოჩენილი პოეტების მიროსლავ ვალეკის, ვოიტეხ მიხალიკის, პაველ კოშის, მილან რუფუსის, ლუბომირ ფელდეკის, მიკულაშ კოვაცის, იაროსლავ რეზნიკის პოეტური კრებულები. მორის ფოცხიშვილთან ერთად შეადგინეთ და გამოეცით სლოვაკური პოეზიის ანთოლოგია. თქვენვე თარგმნეთ პოლონელი პოეტების ბოგდან დროზდოვსკისა და ტადეუშ ხრუჩელევესკის წიგნები, სერბი მწერლის ბრანკო კიტანოვიჩის რომანი „მან არ იცოდა, რა იყო შიში“, იაპონელი მეცნიერის კეიტი მორსიტას წიგნი „ქართველთა არაჩვეულებრივი დღეგრძელობის საიდუმლოებანი“.

მართლაც რომ შთამბეჭდავია თქვენ მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი რომ არ შეგექმნათ, სიტყვაკაზმული ლიტერატურის ისტორიაში მაინც დაიმკვიდრებდით საპატიო ადგილს, როგორც ქართული მწერლობის ავთანდილისეული დიდი, უკიდევანო, გაუხუნარი მეგობრობის ნიჭი უხვად დაგამაძღაოთ არსთაგამრიგემ და იმიტომ. საოცარია, ღმერთმანი, ამ პრაგმატიზმით, შურით და ღვარძლით სავსე სამყაროში როგორ უპატრონეთ თქვენი დიდი მეგობრის, უღვთოდ ასრულებული უნიჭიერესი მწერლის გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობას, რაოდენი სითბო, ერთგულება, სევდა და ნაღველი ჩააქსოვეთ გურამისადმი მიძღვნილ წიგნებს („მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, „აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ“, „გურამ რჩეულიშვილის ლეგენდა გრძელდება“), რომლებიც სამაგიდო წიგნებად უნდა იქცეს ჩვენი ახალგაზრდობისთვის...

დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეეთ. სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს უფროსად, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ხელმძღვანელად; არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, ჟურნალ „ცისკრისა“ და აღმანახ

„საუნჯის“ სარედაქციო კოლეგიების წევრად, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს იურისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად, ფეხბურთისა და კალათბურთის ფედერაციების გამგეობების პრეზიდიუმების წევრად, გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების თავმჯდომარედ, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, საზოგადოება „ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორად, ჟურნალ „სიტყვის“ მთავარ რედაქტორად.

თქვენი მრავალწლიანი, ბობოქარი მოღვაწეობა სათანადოდ შეფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის(2), აკაკი წერეთლის (3), გალაკტიონ ტაბიძის, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიები, ქართული კულტურის ამადარისა და საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო ნოდებები.

ბატონო ნუგზარ! კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ჭაბუკურ შემართებას გისურვებთ თქვენს აგრევიგად საჭირო საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემო ნუგზარ!

წერეთლის გვარისადმი ბავშვობიდანვე მონიშნებითი დამოკიდებულება მაქვს. ამის ერთი მიზეზი ის არის, რომ ბავშვობაში ხშირად მიხდებოდა ყოფნა საჩხერეში, საწერეთლოში, ჩემს დედულეთში. მეორე და მთავარი მიზეზი ჩვენი დიდი პაპა აკაკი წერეთელია და მესამე მიზეზი შენა ხარ - ან უკვე 85 წლის ნუგზარ წერეთელი. რომ იცოდე, როგორ ვამაყობ შენი მეგობრობით, რა ლამაზად იცხოვრე, ჩემო ნუგზარ. ისე იცხოვრე, როგორც ეკადრებოდა ნუგზარ წერეთელს, თავისი თაობის წინამძღოლსა და ბექის დამჭრელს, საოცრად ყურადღებიანს და უანგაროს, ყველასთვის ხელისგამმართავსა და კარგ საქმეში მხარის მიმცემს.

ჩემი წიგნის თაროს შენი წიგნები ამშვენებს. როცა გულზე სევდა შემომანება და მომინდება, ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფლობის სიტყვიერი პოეტური კონსტიტუციის გადაკითხვა, შენს ლექსებს გადავშლი; როცა მომინდება ნაღვი მეგობრობის ფიცის ერთგულებაში დარწმუნება, გურამ რჩეულიშვილზე დანერულ შენს წიგნებს ჩავეხედავ; როცა მომინდება უანგარო ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწის საქმეებში დარწმუნება, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უშუალო მემკვიდრის, შენი „ცოდნის“ სახელოვან გზას გავისივრებ. შენ ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული საზოგადოების დღევანდელი თავკაცო და ილია ჭავჭავაძის პრემიის უპირველესო ლაურეატო!

გილოცავ, გკოცნი შენი რევაზ მიშველაძე

ნუგზარ წერეთელი

მარადი ტკივილი

ის გზა, რომელიც უვლია ვახტანგს, ის გზა, რომელიც უვლია საბას, თითქმის მთლიანად შეცვლილი დამხვდა, დროს იგი ქუჩად, მოედნად, სახლად, მხარედ, ქალაქად, სოფლად თუ დაბად გარდაუქმნია, როგორც ჩვევია, როგორც გარდაქმნის სანუთროს ბედი და არაფერი არ დაგვრჩენია რწმენის, იმედის, სახელის მეტი. მაგრამ ტკივილი, რაც ახლდა ვახტანგს, მაგრამ ტკივილი, რაც ახლდა საბას, მეც შეუცვლელი სიმწვავეთ დამხვდა, ვერგარდაქმნილი ისევე სწრაფად, ვით გზა, რომელიც უვლია ვახტანგს, ვით გზა, რომელიც უვლია საბას, იმ ერთი მუჭა სპითა თუ ჯარით და მოლოდინის მარადი ქარი მოაფრიალებს იმედებს ახალს.

ისევ აღარ

აღარ მხიბლავს, აღარ მართობს, აქ რომ ლურჯი ცა იყო ისე უცებ გაქრა მარტი, თითქოს ქარმა წაიღო. აღარ მხიბლავს სიმწვანე და მზის სხივებად შეკონვა, ვინც სიცოცხლეს მიმწარებდა მე მოყვასი მეგონა. აღარ მჯერა სამყაროსი, ვისთვის სულიც შეეძარი, ყელს მიბმული ავგაროზი თურმე იყო მეძავის. აღარ მავსებს, აღარ მითრევს, ამ დღეების დინება და დავდივარ ქვეყნად ვიდრე მაღლა ღმერთმა იწება. სიცხე ბინდთან იწყებს კლებას, აღარ მსერავს ხმალივით და ცხოვრებაც ჩუმად ქრება მოცახცახე ალივით.

იაკობ პაპიაშვილი

ვახტანგ მეექვსის ორსტროფიან ლექსს „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი“ ზოგი მათა რუსთაველს მიანერს, ზოგიც კიდევ დავით გურამიშვილს. ასე მგონია, აკაკის „გამზრდელი“ ამ სტრიქონების გავლენით უნდა იყოს დაწერილი, ალბათ ბევრი დამეთანხმება:

„მაგრამ უსუბ ეუბნება: შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდინა!“

„ცემა გმართებს გამზრდელისა...“ იდეურ მნიშვნელობაზე დაწერილია მრავალი კარგი, აღმზრდელითი ხასიათის ნაწარმოებები. მე არ შეუდგები მათ დახასიათებას, დაინტერესებული მკითხველი თვითონ მოძებნის მათ და წაიკითხავს. მაგრამ ერთი უნდა ავლიწმუნო, ეს ფრთიანი გამოთქმა, რომელიც წინამდებარე ნაშრომის სათაურია, ზოგადასაკაცობრიო მნიშვნელობისა და ჩემს თხზულებას ლეიტმოტივად გასდევს. თუმცა, აქვე უნდა დავძინო, ამ ნაწარმოების სათაურის აზრობრივი დატვირთვა არ ვრცელდება და არ გულისხმობს არცერთ პიროვნებას, რომლებიც ამ მონათხრობში არიან დასახელებული.

კომუნისტური პარტიის მანიფესტი იწყება სიტყვებით: „აჩრდილი დადის ევროპაში - აჩრდილი კომუნისში“, და მთავრდება მონოდებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ მეცნიერული კომუნისში პირველი საპროგრამო დოკუმენტი დაწერილია გერმანელი ფილოსოფოსების კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ „კომუნისტთა კავშირის“ მე-2 კონგრესის დავალებით (1847), და რალა თქმა უნდა, არც ლენინის და არც სტალინის გამოხატვის არ არის. სანარმოო საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებად გამოცხადება და მიწების ექსპროპრიაცია ერთი შეხედვით, მართლა მიმზიდველად გამოიყურება, და თავის დროზე დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ტერმინი „კომუნისში“ ანუ ყველა ქვეყნის პროლეტარების შეერთება და მთელი მსოფლიოს განთავსება, უტოვიად მოჩანს.

თუმცა, ამ იდეამ შესძლო მეორე მსოფლიო ომში ფაშისმის მოსპობა და განადგურება. მოუხდებდა ამისა, არ უნდა დაევიწყებოთ, რომ ის ტრადიციები, რომლებიც შექსპირის ავტორობით არის ცნობილი (37 პიესიდან 11 ტრაგედიაა, 10 ისტორიული ქრონიკა და 16 კომედიაა - ი.პ.), შესაძლებელია კომედიად მივიჩნიოთ იმ საშინელებებთან და განუყოფლობასთან შედარებით, რაც გამოიწვია კომუნისტური იდეის დაპირისპირებამ წინა ფორმაციებთან: ფეოდალიზმთან და კაპიტალიზმთან (მხედველობაში მაქვს რელიგიური ომები, ბართლომეს ღამე, საფრანგეთის და რუსეთის რევოლუციები) (1) ვიყოთ პირუთვნელი, ზემოთ დასახელებულ ოთხ უდიდეს პიროვნებას (მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი) შორის, სტალინი აღმოჩნდა გაცილებით პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ვიდრე დანარჩენი სამი. თვითონ განსაჯეთ:

1. სტალინი მიხვდა, რომ მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის გამოარჯვება შეუძლებელი იყო და აკრძალა, გააუქმა კომინტერნი საბჭოთა კავშირში ლენინისა და ტროცკის იდეა მთელი პლანეტის განთავსების შესახებ.

2. სტალინი მიხვდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი უდიდესი ათეიზმი, - ფაშისტურ რეჟიმთან ბრძოლის დროს და კოალიციურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გააღმავების თუ გაუმჯობესების მიზნით, - დამარკოვლებელი ფაქტორი იქნებოდა... და აქედან გამომდინარე, უღმერთოთა იმპერიაში, ნითელაშვილების სტრუქტურებში დააბრუნა ღმერთი, რამაც საშუალება მისცა აღედგინა ავტოკეფალია საქართველოში, რის გამოც რუსი თეოლოგების მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა.

მცდარი ვერსია

ამას წინათ, ტელეკომპანია „იმედი“-ს ერთ-ერთი რეკლამის დროს, ყური მოვკარი ფრაზას: „ფრთები, ფრთები გინდა, კიდევ ფრთები გინდა.“ გალაკტიონის ლექსი „ქებათა ქება ნიკორნინდას“ გამოყენებული მაქვს ნაშრომში: „საქართველოს მალალმ-

შენიშნება: (1) იაკობ პაპიაშვილის წიგნები აღნიშნულ საკითხებზე არსებობს მსოფლიოს მრავალი დიდი ქალაქის ნაციონალურ ბიბლიოთეკებში. საქართველოში მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია გაზეთ „მწერლის გაზეთში“.

თიანეთის სინაგოგა და დიდი მეცენატი“. ნაშრომი შემოკლებული სახით დაიბეჭდა „მწერლის გაზეთში“ (2019, 1-30 აპრილი, გვ.4) სათაურით „სინაგოგა“, ასევე გამოვეცი წიგნი ზემოაღნიშნული ვრცელი სათაურით ისრაელში ოთხ ენაზე: ქართულად, ებრაულად, ინგლისურად და რუსულად. წიგნი დატულია ისრაელის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, იერუსალიმში, რევან მიშველაძის ჩემს მიერ გამოცემულ წიგნთან ერთად: „იერუსალიმი-თბილისი“. ამ ბიბლიოთეკიდან მიღებული მაქვს სამად-

ცემა გმართებს გამზრდელისა...

ეპილოგის მაგიერ

ლობელი წერილები რამდენჯერმე, ხოლო ინტერნეტში დადებულია საიტი, სადაც ხაზგასმულია წიგნის მრავალმხრივი მნიშვნელობა მკითხველი საზოგადოებისთვის. ქუთაისში ნაშრომით დაინტერესდნენ ჩემი ქრისტიანი ძმები თეიმურაზ ლანჩავა და თემურ ამყოლაძე, რომლებთანაც ხანგრძლივი ლიტერატურული მეგობრობა მაკავშირებს. მიიხრეს, რომ „უქმიერიონში“ და „განთიადში“ გამოვაქვეყნებოთ.

ცნობილი პოეტი ვახტანგ ჯავახაძე ერთგან წერს: „ღია! გალაკტიონის ნიკორნინდა არ უნახავს! გალაკტიონმა მხოლოდ დურგლის ნაამბობის გონებაში რეალიზებით შექმნა ნიკორნინდის სახე და ასე ალაგვინა მისი ხობტა“ (ვახტანგ ჯავახაძე, „უცნობი“, თბილისი, „ნაკადული“, 1991).

დღეისთვის „უცნობის“ საერთო ტირაჟი 64 500 ეგზემპლარია. და აგორდა მითი, მითი ტყუილი ვერსიისა.

უძვლებსია თვითონ გალაკტიონის მოეუსაბინოთ:

დიღური 661-4-ზაფხული, 1947 წელი სტენოგრამა

1947 წ. ზაფხულში შოეში გამართულ სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის საქართველოს სახალხო პოეტს, აკადემიკოსს გალაკტიონ ტაბიძეს (ყველა ფეხზე დგება: ხანგრძლივი ოცაყები).

გალაკტიონ ტაბიძე: „ჩემს (აქ ყოფნაში) რაჭა-ლეჩხუმში ყოფნის დროს ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: (ამას წინადა) ბუბასაკენ მიმავალ გზაზე შემხედვარე მწყემსებმა წამიკითხეს გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, რომელშიც ეწერა, რომ ჩეხოსლოვაკიის მწერლები სცემენ ქართველი მწერლების ანთოლოგიას, რომლის საერთო სახელი იქნება „დროშები ჩქარა“, ჩემი ლექსის სახელი“.

დროებით აქ შევჩერდეთ და დავიმახსოვროთ ფრაზა: „ჩემს რაჭა-ლეჩხუმში ყოფნის დროს“.

როგორც ჩანს, გალაკტიონი მდინარე ბუბას წყლის ხეობით მიემართება მთისაკენ შოეის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მამისონის უღელტეხილის ჩრდილო-დასავლეთით. ულამაზესი ხეობაა, ფერთა სიუხვე კაცს დაღესტნურ ხალიჩას რომ მოგაგონებს. „ჯამური მანძილი შოვიდან ბუბას მყინვარამდე 1 კმ. მყინვარის სიგრძე 2,7 კმ, სიმაღლე 4419მ.“

ექვგვარშეა, გალაკტიონს ბუბას მყინვარი უნახავს, ანუ გამოდის, რომ გალაკტიონს რაჭა-ლეჩხუმში უმოგზაურია და ჩემი ღრმა რწმენით შეუძლებელი იყო, მას იმ დროს ნიკორნინდის მონასტერი არ ენახა.

იმ ხანებში, ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ შოეში ყოფნის დროს გალაკტიონს კურორტის ხელმძღვანელობისთვის უთქვამს ნიკორნინდის ტაძარზე ლექსი უნდა დავეწერიო, აქვე სასტუმროს მიმდებარე ტყეში, მუხასთან, რასაც წერს კიდევ თავის დღიურში:

„აქვე მინდა ავლიწმუნო, რომ ჩვენი კურორტის თავაზიანი დირექტორისა და კურორტის მთავარი ექიმის ინიციატივით, ნიკორნინდელმა დურგალმა ნიკოლოზ ვაჩაძემ, დამიღდა სამუშაო მაგიდა, გაიყვანა რა ბილიკი ვილიდან ჩემს მაგიდამდე.“

ამგვარად, ჩემს განკარგულებაში ახალთ-ახალი ხეივანი სრულიად საკმარისი დაფიქრებისა და მოგონებებისათვის ბუბელ მწყემსებთან შეხვედრისა“.

ქუთაისელ პოეტს მიხეილ კაკიტელაშვილს სხვა რომ არაფერი დაეწერა, იგი ქვემოთ მოყვანილი ლექსით დაარჩებოდა საქართველოს და ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში:

„ებრაელთა გოდებავ, ნუთისოფლის დარდო, კანიბალთა ქუსლებით, გასრესილო ვარდო.“ „წარწერა ანა ფრანკის დღიურზე“

ეგვიპტურ წყაროებში, დაახლოებით მე-17, მე-18 საუკუნეებში, როცა ეგვიპტეს ბიბლიოთეკის იოსები მართავდა, დაცულია მაშინდელი ეგვიპტის ერთ-ერთი ოლქის გუბერნატორის ცნობა. იგი იგონებს: მე დედ-მამა არ მყავდა, ქუჩაში ვცხოვრობდი, პურს სანაგვეში ვეძებდი. ერთხელ ფარაონის ხალხმა დამიჭირა, წამიყვანეს, დამბანეს, ჩამაცვეს, გამოკვებეს, მასწავლეს და დღეს

ამხელა ოლქის გუბერნატორი ვარო. სტალინი „კაციჭამია“ იყო, ამბობს მავანი და მავანი.

არსებობს ასეთი გადმოცემა: „ერთ-ერთ ცნობილ ქართველ ბოლშევიკს, ფილიპ მახარაძეს, რომელსაც თავი მოჰქონდა თავისი განათლებით, სტალინი საშუალო დონის ლიტერატორს უწოდებდა. არც ფილიპე მახარაძეს უყვარდა სტალინი. ერთხელ მათი ურთიერთობა ფილიპესათვის კინაღამ ცუდად დამთავრდა. მოსკოვში ყოფნის დროს იმავალ მახარაძესთან, სტალინის დედა კეკე მივიდა და უთხრა: ფილიპე, მე მოვხუცდი, აღარ შემიძლია, ჩემი შვილი ჩამოიყვანე და შენთან რამე სამუშაო მიეცი თბილისში. ფილიპემ არაფერი შეიმჩნია და კეკეს დაპირდა შვილს ჩამოეყვანო. ამ დროს მახარაძესთან სულ ორი თუ სამი ადამიანი იმყოფებოდა. გავიდა თუ არა კეკე ფილიპემ ჩაილაპარაკა: ამ ბოზს ჰგონია, რომ მე მაგის შვილზე დიდი კაცი ვარო. მოსკოვში ყოფილობის გახსნის წინ სტალინი საქართველოს დელეგაციასთან მივიდა, რამდენიმე სიტყვით მოიკითხა თანამემამულეები, ხოლო ფილიპე გვერდზე გაიხიბო, მაგრამ ისე, რომ დელეგაციის წევრებს გაეგონათ, პითხა: „ფილიპე, თუ იცი, კიდევ ბოზობს დედაჩემი?“ - ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა ძველი ბოლშევიკი“.

ფილიპე მახარაძე გარდაიცვალა 1941 წელს თავისი სიკვდილით. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში... ამჟამად მახარაძის და ცხაკაიას ადგილას ნოდარ დუმბაძე და ანა კალანდიაძე დაკრძალული.

სტალინიმ ლენინთან ერთად სწავლა-განათლების სხივი შეიტანა და დაამკვიდრა ცარიზმის დამყარებულ იმპერიაში. როდის, რომელ ეპოქაში აჯილდოვდნენ პოეტებს, მწერლებს, მსახიობებს და კულტურის სხვა მუშაკებს ისეთი ჯილდოებით, როგორც იყო სტალინური პრემია? როდის იყო (აქ ბიბლიოთეკის იოსები არ მყავს მხედველობაში - ი.პ.) უდემდამო, მანანალა ბავშვებს ქუჩაში სანთლით რომ ეძებდნენ, თავშესაფარში მიჰყავდათ, აცმევდნენ, აჭმევდნენ, ასმევდნენ, განათლებას აძლევდნენ? ვინ დაასამარა ტროცკიზმი და კომინტერნი, უბოროტესი იდეა მთელი მსოფლიოს განთავსების შესახებ, რაც დღეს ზიუგანოვის საქალაქო მუშაკებს ვინ შექმნა? ვინ შექმნა შეუძლებელი და უღმერთოთა სახელმწიფოში ღმერთი ზეციდან კვლავ მიწაზე დააბრუნა? ვინ აღადგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომლის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობა შეუძლებელი იქნებოდა? ვინ გადაარჩინა ებრაელები „კანიბალთა ქუსლით“ გასრესისა და კრემატორიუმებში ტოტალიტარის მოსპობისაგან?

სტალინს, არასოდეს უამაყია იმით, რომ მის ძარღვებში დიდგვაროვანი ქართველი თავადის სისხლი ჩქეფდა. როცა რუსველტი და ჩერჩილი ეკითხებოდნენ, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები, იგი თავმდაბლად პასუხობდა, რომ ისინი უბრალო მშრომელი ადამიანები იყვნენ და შეუძლებელია დაეხმარნენ მას ცოდნის მიღებაში.

დავუბრუნდეთ 1917-1918 წლებს, როცა გალაკტიონი ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ პეტროგრადში იმყოფებოდა.

საინტერესოა, ალბათ, თუ რა ხდება ამ დროს რუსეთში: ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. რევოლუცია საფრთხეშია. „ყოფნა-არყოფნა“, საკითხავი აი, რა იყო. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოსაბოზებად გაერთიანდნენ: ადმირალი კოლჩაკი, გენერლები დენიკინი და იუდენიჩი. მათ ზურგს უმაგრებს ანტანტა (სამთა კავშირი) და ოთხთა კავშირი. მიმდინარეობს დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არსებობისათვის. ლენინი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ჩამოღების ტროცკის უწოდებს იუდას, პოლიტიკურ მეძავს და იძულებულია საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით დაუთმოს გერმანიას ვრცელი ტერიტორიები, რათა

შეაჩეროს გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის არმიების მტურმი. სტალინი ამ დროს ცარიციშია, სადაც პური და სურსათი თეთრი გვარდიელების ზედამხედველობაშია. 1918 წლის 17 ოქტომბერს სტალინი უგზავნის ლენინს დეკრეტს, რომ განადგურებულია დენიკინის და ვრანგელის არმიები. აღდგა სარკინიგზო მიმოსვლა. (პური (ხორბალი) ვაგონებით მიემართება მოსკოვისაკენ, პეტროგრადისაკენ... საბჭოთა ხელისუფლება გადაარჩა.

ის, რომ გალაკტიონი რევოლუციური ეპოქალური ქართველების უებრო მომღერალი იყო ორი აზრი არ არსებობს. „დროშები ჩქარა“, „ჯონ რიდი“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „ღრუბლები ძაუგთან“ რევოლუციური საქართველოს ერთიანი მგზნებარე ჰიმნია. მართალია მას გვერდში ედგნენ არა ერთი და ორი სახელოვანი ქართველი თანამოქალაქი, მაგრამ თანამედროვე და არამართო თანამედროვე ქართულ პოეტიკაში, მას პირველობას ვერავინ ეცილება. მისი ლექსები ერთხელ წაკითხვითაც გიტაცებს, გაჯადოებს, გზიბლავს, მაგრამ რაც უფრო მეტჯერ წაკითხავთ მათ, კვლავ და კვლავ გაბრუნებთ უკან რათა ერთხელ კიდევ წაკითხოთ და დატყებთ მათი მუსიკალური სიდიადით და ღრმა ქვეტექსტით. მაპაპისო ქართველმა პოეტებმა, ძველმა თუ ახალმა ამას რომ ვამბობ: ცოტას თუ ვისმე აუშლენ რებია ქართული სიტყვა ისე მსუბუქად და ფრთაასხმულად, როგორც ეს გალას, გატუნისას (ასე ეძახდა მას დედა, ქალბატონი მაკრინე -ი.პ.) პოეზიაშია.

ჩემს მეცნიერულ ნაშრომში „მესხის“ მნიშვნელობის განმარტება რუსთაველისა და გალაკტიონის რამდენიმე სტროფის მიხედვით ერთგან ვწერ:

„გალაკტიონმა „ვწერ ვინმე მესხი მელე-ქსე“ 1936 წელს დაწერა. ამ პერიოდისთვის შექმნილი აქვს ისეთი შედეგები, როგორცაა: „ხელოვნება“, „მესაფლავე“, „ქალი და ხელოვნება“, „მე და ღამე“, „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლორჯა ცხენები“, „დროშები ჩქარა“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. ეს ლექსები 1917 წლისთვის უკვე დაწერილია. ამით, ის მიწა ვთქვა, რომ როცა გალაკტიონმა „ვწერ ვინმე მესხის..“ შექმნა დაიწყო პარნასზე იყო ასული და ქართულ პოეზიაში რუსთაველის გვერდით მიანიჭებდა... ამ სიტყვების შემდეგ ძველია იმის გახსენება, რომ იგი დაიჭირა სერგო ორჯონიკიძემ, იმ კაცმა, რომელიც იმ ხანებში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო და რომელმაც აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარი, სოჭის ოლქი, რომელიც პილენკინოდან (განთიადიდან) იწყებოდა რუსებს, ხოლო დავით-გარეჯი, კახის რაიონი აზერბაიჯანს მიჰყავდა. გალაკტიონი მეტყვის ციხეში ჩასვეს, მასთან ერთად დააპატიმრეს პოემა : „მოგონებები იმ დღეებში, როცა იულვა“. „მნათობის“ მე-5 ნომერში დასაბჭედად გამუზადებული პოემა ჩეკამ მთლიანად გაანადგურა. გალაკტიონი ციხიდან სამი დღის შემდეგ გამოშვდა, ალბათ სტალინის მითითებით. ამის თქმა იმდენადა შესაძლებელი, რომ 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით მრავალი გამოჩენილი ადამიანი მოხვდა მეტყვის ციხეში: დავით კლიაშვილი და მისი ვაჟი, ძმები შალვა და სამსონ დადიანები, საქართველოს კათოლიკოსი ამბროსი... აი, როგორ იგონებს კონსტანტინე გამსახურდია მეტყვის ციხეში გატარებულ დღეებს:

„ჩვენ მთელი ღამეები არ გვეძინა, რადგან დახვრეტას მოველოდით. ახალმოყვანილ პატიმრებს ამბავი მოჰქონდათ ტფილისსა და მთელ საქართველოში დამდგარ სისხლის წვიმების გამო. არცერთი ჩვენგანი არ ნატრობდა გადარჩენას, ჩვენ მოთმინებით ვუცდიდით სიკვდილს, ვმღეროდით და ნარდს ვთამაშობდით. მე შევადგინე ჰუმორისტული კედლის გაზეთი. ამ გზით ვაციენბდი ჩემს მეგობრებს...“

ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ყველა ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტების სარეცელზე იზადება ზეციდან არის მოვლენილი, მაგრამ ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლის გადმოცემით, უკვდავება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. უკვდავება მისჯილ რჩეულთა რიგებში ებრაელებმა მყარი ადგილი დაუშვეს, ბერძნულ მოსეს და დავით მეფის აღმსარებლებს, ბერძნებმა ბრმა ჰომეროსს და ალექსანდრე მაკედონელს, ამერიკელებმა ჯორჯ ვაშინგტონს და აბრაჰამ ლინკოლნს... ამ სიას წინამდებარე ნაშრომის მკითხველი თვითონ გააგრძელებს. რაც შეეხება საქართველოს, ეს სია საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ წინამდებარე ნაშრომის აზრობრივი დატვირთვად გამომდინარე მე ვიტყვი: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე-დედოფალი, შოთა რუსთაველი, გალაკტიონი, სტალინი.



სანდრო ნიკოლაიშვილი

სიზმარი

ისევ გრძელდება სიზმრის ფრაგმენტი, საათს გაექცა ორი ისარი და მეც წელია ორჯერ ცამეტი მძინავს! სახეებს ვერ ვცნობ - ვინ არი?! და ეს ფრაგმენტი, მრგვალი სიზმარი ფიქრით მანვალებს, ისევ განვიცდი, არც ძმა და მამა, არ მქვია ქმარი, სად ვარ, რა ხდება, ვინ ვარ, არ ვიცი...

დაგინახე, გაგიღიმე, ვერ მიცანი შორიდან? ხო! ორივე მე ვიყავი იმ ნაცნობი ორიდან. მოკლედ გეტყვი: „მეყვარები ნებისმიერ ამინდში, დონ კიხოტი აირჩიე ათას ვითომ რაინდში! სულ ბავშვი ვარ, არ ვიზრდები, არ მიზიდავს ბრძენობა, სცადე, იქნებ გაგისწორდეს ჩემი პიტერ პენობა...“

გუგული

სანამ სხვის ბუდეს გასცილდებოდა, გუგული შეკრთა, წამით დაფიქრდა, იქნება, ძალზე მწარედ ცდებოდა, იქნებ, გაპარვა სულაც არ ღირდა. მობეზრებია მზაკვრულ-ქურდული მიფრენ-მოფრენა და სიმარტოვე, გადაბუგული ბედით გუგული ოდესღაც ზუსტად ასე დატოვებს... გზაგასაყარზე აღმოჩნდა, მაგრამ ფრთებზე ქარიშხლად მოედო ჩვევა, აფრინდა, თავი ვერ შეიმავრა, რალას ფიქრობდა, რა მოეჩვენა - მორჩა, დამთავრდა, დატოვა ბუდე, ის წამი უკან ვერ დაბრუნდება; მისი ცხოვრების გზებია მრუდე და ასეთივე - მისი ბუნება. იშლება სივრცე და ქარიშხალი დუმილის ქსელებს ჩაივარდნებს, დღეს უსასრულო სიცოცხლის ვალი გზაგასაყარზე ფიქრებს მაგონებს. მოჩანს და მოჩანს მთებზე ნისლები - როგორ ძონძებად გადაბურდულან! მე სხვაგან მოვხვდი - ვერ შევიცვლები, დედამინაზე ვიფრენ გუგულად.

ბოლო აკორდი

ვერ ვიჯერებ, რომ მთავრდება, რომ ბოლომდე ვიმღერე, ვერ ვიჯერებ, რომ შემოიპყრობს უსუსური სიბერე. არ მინდა, რომ დავიჯერო უსიცოცხლო დინების, სისწრაფის მწამს, ისევ მჯერა ველური ალტკინების!

სად გაქრება ძველი გრძნობა? ვნება დამიმუნჯდება და ოცნებებს გაყინული ნაოჭი გაუჩნდება. ვერ ვიჯერებ, რომ ვერ ვიფრენ, ველარ მოვეფერები, გამებნევა სიყვარულის ალისფერი ბგერები. ვერ ვიჯერებ, თუმცა მესმის დასასრული სიმღერის, ობოლივით მეშინია ცრემლიანი სიბერის. უკვე მშვიდი საღამოა, ვიცი, მალე ღამდება, სველი ბოლო აკორდი და ყველაფერი მთავრდება.

მე მოვდიოდი - ვიარე ბევრი, მხსნელად სულისა, საყვარჯენოდ; ჯოჯოხეთურ ტყის შავბნელი ტყვრი გამოვიარე - არ გამახსენო! გადასისხლული ფეხისგულებით, ბორძიკ-ბორძიკით, მუხლჩაჩოქილი, ხან სინანულით, ხან იძულებით სულ ტკივილ-ტკივილ ჩამოფოთილი... ფესვებს მაცლიდა ცოდვა მადლარი, შემომახია თეთრი ქსოვილი, არ არსებობდა ქვეყნად ტაძარი, არცა იმედი, ტაძრად შობილი. იყო ქვა-ლორდი, ვინრო სავალი, გზები ბნელი და გზები დამღლეი, ვეხეტე ბევრი, ბევრი! მრავალი ვნახე ლეშიც და ლემისმჭამელიც. არ გინდა, არა! ისედაც მახსოვს უდღეურ ვალსის ძუნწი დინება, ჯურღმულ-ქარაფი წყვდიადებს არ თმობს, არ არის სულის აღორძინება! და ძირს უღონო ნვალობს სხეული, ინანილებენ ისევ სვაეები, ტყის აწრდილებთან შესხივებული მეფობს სიჩუმე, განაქვავები! და ამიტომაც მრუდე აღმართში ვებრძოდი მინის მშიერ დემონებს, ვინ დაგიჯერებს, თუ არ გადარჩი? თუ არ გადარჩი, ვინ მოგიგონებს? როს კენწეროთა ცალფეხა კრება მოაფრენს სიკვდილს ბინდის წერტილით, იქვე იწყება აბობოქრება, სიცოცხლე - ნორჩი, სუფთა, კეთილი! იხილავ, იგრძნობ და აუშვები: მკვდრეთით აღდგომა! გასხივოსნება! და იმედებით სავსე პეშვები და ის ტაძარი და ის ოცნება! უსპეტაკესი ზეცით შობილი, არაქვეყნიურ ძალთა ქმნილება, შარავანდედად ჩამოთოვლილი მშიერ დემონთა შებორკილება!

სად ხარ?

კუბლეტ-კუბლეტ დაგეძებდი, ვერ გიპოვნე, სადა ხარ? ვერ ვიხილე შენი სახე, მიპასუხე - რად არ ხარ? სიყვარული დაგაბრალე, გიმღეროდი ქარდაქარ, ვარსკვლავთ შორის შენ გეძებდი, ბილიკ-ბილიკ, კარდაკარ... სიზმრებს იქით დაგედევნე, მოგყვებოდი კვალდაკვალ, მერე მართლა შემეყვარდი სამუდამოდ, კვლავ და კვლავ. ერთადერთო! ისევ გეძებ, ნეტავ, ვინ ან სად გმაღავს, თუ გიპოვნე... თუ გიპოვნე, აღარასდროს დაგკარგავ! ვინ ხარ? რა ხარ? როგორი ხარ? მიპასუხე, სადა ხარ? დამენახე, გამიღიმე, შემეყვარე ხანდახან...

ნანული მეტრეველი

ალაიანი და დეაიანა

შენ გრძნეულივით შეიცანი ჩემი ჩასახვა, რალაც გრამებით დაგიძიმდა ტვირთი დლიური, და იმ იდუმალ შეცნობიდან წამის წამებში მზის სიმსუბუქეს გაეყარა დედის სხეული. შენ ხომ პირველმა შეიცანი ჩემი ჩასახვა, დედასთან ერთად შენც ხომ მზიდე უსახო ტვირთი და პირველყოფილ შეცნობიდან მოვდივართ ერთად მარადიული და დროებითი. მატარებ ალბათ კარგა ხანს ასე ჩუმი კენესიდან ქალის ლოცვამდე, მერე გამიღებ პატარა სარკმელს და მიმითვისებ სულით ხორცამდე.

გზა

გზაო, რა უცნაური ხარ, აყვავებული შინდებით, ზოგჯერ ქალაკზე გადახვალ, ზოგჯერ მთშ აუხირდები. დაეძებ ყველგან მისასვლელს, როგორც პატარა მზენვია, მოხდური შენით მოგვიხტა, მოყვარეც შენით გვენვია. გზაო რა უცნაური ხარ, აყვავებული შინდებით, წამიყვა, საით მიდიხარ, ქარბუქს არ შეეუშინდები..

უცნობი

შემოდგომის უკანასკნელ ფოთლისფერი შქონდა პალტო... მიდიოდა ვებერთელა ნაბიჯებით მარტოდ მარტო... მიდიოდა არ ჰყოფნიდა სავალად გზა და თვალებით ატარებდა ღრუბლიან ცას... შემოდგომის უკანასკნელ ფოთლისფერი ეცვა პალტო. რად უყვარდა სიარული მარტოდ მარტოს? მუდამ ასე აჩქარიდა ნეტავინ სად? რად დაჰქონდა ღრმა თვალებით საავდრო ცა? შემოდგომის უკანასკნელ ფოთლისფერი შქონდა პალტო... დადიოდა ვებერთელა ნაბიჯებით მარტოდ მარტო....

მომძახოდა ჩემი გზა და ბილიკი, ლერწმის ლერით ანაგები ხიდი, მომყვებოდა მასზე ფიქრი მარადის, თავშალს ვქსოვდი თუ პურის ძნას ვშლიდი.

ვესწრაფოდი როგორც ნერგი ცის ტატნობს, ვიყავ სავესე სიფრთხილით და რიდით, არ მტოვებდა მასზე ფიქრი არასდროს-თავშალს ვქსოვდი ლუ პურის ფქვილს ვცრიდი.

რამ შეგვაართა

მე ქალი ვარ და... ფურირმის მსგავსად ყოველ ქუხილზე შიშით ვკანკალობ მიკვირს: ერთ წუთში რამ შეგევეართა: მე, დედამინა, ზღვა და სამყარო. იზრდება წამი, საათებს ავსებს, მზის მხურვალეობა დღეს არ ღალატობს. არ ვიცი ასე რამ შეგევეართა: მე, დედამინა, ზღვა და სამყარო.

მასაც ხომ უყვარს ასეთი ფერი

მე ხვალ ჩავიცვამ ფოთლისფერ კაბას და დედამინას გავენახები, მასაც ხომ უყვარს ასეთი ფერი, ლიანებით და ოლიანდრებით. მე ხვალ ჩავიცმევ ფოთლისფერკაბას და მზის სიმალღეს ნავეტანები, მასაც ხომ უყვარს მალღისკენ ლტოლვა ცის თალებით და ოლიანდრებით. მე ხვალ ჩავიცმევ ფოთლისფერ კაბას და ცა გაზაფხულს შემომახარებს და მერცხაღს- ჩემი ოცნების მყარს მინდვრის ყვავილებს შემოატარებს. მე ხვალ ჩავიცმევ ფოთლისფერ კაბას...

ტკივილი

შენ კაცთან იშვი ტყუბის ცალივით დაყველაფერში წილი ითხოვე: შენა ხარ გზაზე წამოჩოქება, გამოტირება და სიმარტოვე, შენა ხარტეხვა ზოგჯერ სხეულის, ზოგჯერ ანძა ხარ გადანსხვრეული და ჩალენილი გულის ფიცარი. მოეშვი სხეულს! დამითმე სული! მწვერვლებიკენ მინდა გაფრენა, მინდა მზეს ვუთხრა ჩემი სათქმელი, ჩემი ოცნების მინდა გამხელა! შენ კაცთან იშვი ტყუბის ცალივით და ყველაფერში წილი ითხოვე: შენა ხარ ფიქრი მოუსვენარი, არ დავინწყება და სიმარტივე... მოეშვი სხეულს! დამითმე სული! მწვერვლებისკენ მინდა გაფრენა.. ო, შენ რომა არა, ო, შენ რომ არა გავიმლებოდით ცისფერ აფრებად.



ნოდარ კობერიძე - 70

70 წლის შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნოდარ პარმენის ძე კობერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

დვირფასო ბატონო ნოდარ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები, გულითადად მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, მაძიებელი სულის მქონე ჩინებულ შემოქმედს, მოღვაწეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 წლისთავს.

1978 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი მოთხრობა „ჟოკეის ბედის ნებიერი“ და ასე შედგა თქვენი დებიუტი სამწერლო ასპარეზზე. ამ პირველსავე მოთხრობაშივე საცნაური გახდა მისი ავტორის დაუოკებელი სწრაფვა ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვისა და ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში წვდომისა. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - რომანები, მოთხრობები, ნოველები, პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე ნიგნებად. დღემდე ოცამდე პროზაული კრებული გამოცემილი.

თქვენი პროზაული კრებულები, ისეთები, როგორცაა „წყალდიდობა“, „ბედისწერა საქართველოსი“, „რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო“, „ლახტის ნრეში“, „მეორე ფორმა“, „ორი გოლგოთა“, „აღდგომის ღამე ქაიროში“, „შირე გორჯის საფლავის ძიებაში“, ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესით სარგებლობს. თქვენი რომანებისა და მოთხრობების გამორევი კატაკლიზმებით სავსე ჩვენი ეპოქის მკვიდრი არიან, ებრძვიან უმთავრესიან ბოროტებას, ავკაცობას, უზნეობას, ორგულობას, ქველდანობას, იბრძვიან რწმენით და იმედით, იბრძვიან მეტად უთანასწორომში, ხშირად მარცხდებიან, მაგრამ ზნეობრივად მაინც განწმენდილნი გამოდიან ამ შერკინებიდან. თქვენი ნაწარმოებების ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად ისიც წარმოადგენს, რომ თქვენ ცოდვითადაცემულ ადამიანებშიც კი ცდილობთ სიკეთის მარცვლის დანახვას, რაც მწერლური კეთილშობილებისა და დიდბუნებოვნების გამოვლინებად მიგვაჩნია.

თქვენი პუბლიცისტური სტატიების კრებულები „პირმშო“ და „ათი დღე რობერტთან ერთად“ სწორი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატულებად გვესახება.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია გერმანულ, ინ-

გლისურ, რუსულ, მოლდავურ ენებზე. მართლაც რომ აქტიური საზოგადო მოღვაწე ხართ. თანადამფუძნებელი და პრეზიდენტის წევრი იყავით სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებისა, დამფუძნებელი და პრეზიდენტი - საზოგადოება „ტაო-კლარჯეთისა“, თანადამფუძნებელი და პრეზიდენტის წევრი კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის საზოგადოებისა, ერთ-ერთი დამფუძნებელი - საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა, რედაქტორობდით გაზეთებს („ქართული ფეხბურთი“, „თემი“, „სარანგი“, „ალორძინება“, „ტაო-კლარჯეთი“, „მესამე ატასნლეული“, „აღმაშენებელი“); მუშაობდით თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად. კითხულობდით ლექციებს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში; არჩეული იყავით გაზეთ „შარავანდისა“ და ჟურნალ „ნობათის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი.

ყველას გვახსოვს, რომ 2014 წელს ნომადი ბართაიასთან ერთად თეირანში მოიძიეთ ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავი.

გულით გვახარებს, რომ თქვენი დაუცხრომელი მოღვაწეობა დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიებით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ქართული მწერლობის რაინდის საპატიო ნოდება.

ჩვენო ნოდარ! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სამშობლოს გაბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემო ნოდარ!

ჩემო ნოდარ, მახსოვს გასული საუკუნის უშუქობის, უწყლობის, უგაზობის, უპურობის... საშინელი 90-იანი წლები. მაშინ ჩვენ მეზობლები ვიყავით, თბილისში, ნუცუბიძეზე.

იმ აუტანელ ყოფასთან ერთად, მე, როგორც ერთ-ერთ მეზობელს, მახსოვს როგორ გვაუწყებდი მთელ უბანს, ყვირილამდე მისული ხმით, დღე იქნებოდა თუ ღამე:

ხალხნო! ამა და ამ დროს ჩაირთვება შუქი!

ხალხნო! აქა და აქ ავარიია, წყალი მოიმარაგეთ!

ხალხნო! მეცხრე ბლოკიდან მოვდივარ, ორ დღეში კაბელი უნდა გამოცვალონ!

ასევე მახსოვს შენდამი მიმართვებიდან:

ნოდარ! როდის ჩავვითავებ გაზს?

ნოდარ! როდის მოიტანენ პურს?

ნოდარ! სად იყიდება ნავთი? და ასე შემდეგ.

მარტო შენი სახლისა და სამეზობლოსი კი არა, ასევე განიცდიდი მთელ საქართველოს ავბედით ყოფას და არისხებდი ზარებს მასმედის ფურცლებზე, იმ საშინელი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად.

იმ წლებში, თანამოაზრეებთან ერთად, არაერთი პატრიოტული საქმის

მოთავე და ორგანიზატორი იყავი შენ, ესენია: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“, „საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი“, „საზოგადოება ტაო-კლარჯეთი“...

იყავი არაერთი პატრიოტული და მებრძოლი გაზეთების რედაქტორი („ქართული ფეხბურთი“, „თემი“, „სარანგი“, „მესამე ატასნლეული“).

ჩემო ნოდარ, შენში ერთნაირად არის შერწყმული ნიჭიერება, ორგანიზატორული ნიჭი და სამშობლოს სიყვარული.

შენი ნიჭიერების ბრწყინვალე გამოვლენაა შენი რომანები: „თეთრი ღიმილი“ (1986 წ.), „რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო“ (1988 წ.), „მეორე ფორმა“ (2001 წ.), მოთხრობები და ნოველები, რომლებიც შეტანილი გაქვს კრებულებში: „ჟოკეის ბედის ნებიერი“ (1987 წ.), „წყალდიდობა“ (1989 წ.), „ორი გოლგოთა“ (2007 წ.), „ლახტის ნრეში“ (2009 წ.) და სხვა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ბოლოს გამოქვეყნებული შენი პოლიტიკური რომანი - „აღდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე“ (2010 წ.).

გაქვს შენეული სტილი - ერთი ამოსუნთქვით იკითხება შენი ყველა ნაწერი, მხატვრული იქნება თუ პუბლიცისტური.

დიდი ადგილი ეთმობა შენს შემოქმედებაში პუბლიცისტურს, რომელთა ნაწილი გაერთიანებულია კრებულში „ვინც მახვილს აიღებს“ (1995 წ.), ხოლო უფრო დიდი ნაწილი ელის ასევე ერთად თავმოყრას და დღის სინათლეს.

უსწრაფესად რეაგირებ ყველაფერზე, ემოციური და ღრმაზროვანი წერილებით, რაც კი სამშობლოს დღვანდელობასა და მომავალს ეხება.

გილოცავ, ჩემო ნოდარ, სახელოვან 70 წლის იუბილეს, მრავალჟამიერ შენი შეძახილი და იმედის მომცემი ხმა სამშობლოში!

ნომადი ბართაია 2020

ნიდალა საკათილო შემთხვევას ღაქაქას

ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი - ასე იცნობს მას წიგნიერი საზოგადოება. იგი აქტიურად ეძიებს გამირწინაპართა აჩრდილებს შინ თუ გარეთ. შინაურთა უკეთ წარმოსაჩენად მხატვრულ პროზას იყენებს, უცხოეთში დახოცილ-დაკრძალულთა ღვანდის საჩვენებლად კი - ესესა და პუბლიცისტიკას. მხატვრული სიტყვის მაძიებელს მოთხრობისა და რომანის ჟანრები არაერთხელ მოუხელთებია. ასე თანდათან მიუახლოვდა იგი ყველაზე რთულ ჟანრს - ნოველას. და ამ ბოლო დროს ნოველის რამდენიმე შესანიშნავი ნიმუში შემოგვთავაზა!

არა ოდენ კალმითა ერთითა უნდა შევაფასოთ იგი. ნოდარ კობერიძე დახვეწილი ინტელიგენტია, მეგობრების წარმატებებს საკუთარივით განიცდის. და ამ სიხარულს საზოგადოებრივი ქსელის შემწეობით მთელ ქვეყნიერებას უზიარებს. მან არ იცის, რა არის „მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“. ამას წინათ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი

სრული გამოცემა იერუსალიმში ჩაიტანა და ფრესკაზე გამოსახულ რუსთველს უფეშქაშა. ნოდარი გამორჩეული ამხანაგია. სწორედ მასზე თუ უთქვამს რუსთველს: „ჩუქება და არ მოწყენა, მისად რგებად ველთა რბენა“ უნდა ახასიათებდესო კეთილშობილ მეგობარს. ბევრს როდი ძალუძს, ამხანაგს ხუთასლარიანი ტელევიზორი შინ მიუტანოს და რვაასლარიანი ხალიჩა უსახსოვროს.

ნოდარს შეუძლია! და რამდენი ამგვარი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლებოდა...

დადის ნოდარ კობერიძე, აცეცებს თავის გამჭოლ თვალებს და დაეძებს ამა თუ იმ საკეთილო შემთხვევას, ფაქტს, მოვლენას, რათა შემდეგ მას რომანი, მოთხრობა, ესე, პუბლიცისტის ჟანრი თუ რაიმე ნივთიერი საჩუქარი მიუსადაგოს და მორალურყვეულ ქართველობას ნიმუშად დაუსახოს.

მურმან თავდიშვილი

თეთრი ღიმილის მატაფორა

აჰა, ნოდარ კობერიძეს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს. ვულოცავთ, როგორც თავად გვილოცავდა და გვამხნევებდა ადრე!

ნოდარი მრავალმხრივი შემოქმედი და მოღვაწე-პუბლიცისტი, ნოველისტი, რომანისტი, რედაქტორი, რომელიც ყოველთვის ესწრაფოდა მოვლენების ცხელ კვალზე ფიქსირებას. ამიტომ ახლავს მის სტრიქონებს გზნება და შთაგონება, პერსონაჟების ძიების წყურვილი. მას შეეძლო გულუშიშრად გადაეღაზა ცხენისწყალი და ზვიად გამსახურდიასთან ჩასულიყო ზუგდიდში; ერთ დღეში მოეველო ბათუმში და თბილისში მობრუნებულიყო. დაენერა და დაებეჭდა მებრძოლი პუბლიცისტური წერილები, ყოფილიყო მამაცი და პროფესიონალი რედაქტორი, რომელმაც წარმატებით გამოიყენა ისტორიის ცოდნა, რათა მღელვარე დღეები განესაჯა მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვით.

იგი ანალიტიკოსია პროზაშიც, გარდა იმისა, რომ მხატვარია და მძაფრი სიუჟეტების ოსტატი. ეს კი ინტელექტუალურ დაძაბულობასა და ინტერესს ანიჭებს მის ტექსტებს.

ასეთი მოულოდნელი ინტერესი აღმიძრა ნოდარის პირველივე წიგნმა, რომელიც გამომცემლობა „მერანს“ უნდა გამოეცა 80-იან წლებში.

მე ნოდარს არ ვიცნობდი, ისე დავწერე რეცენზია მის პროზაულ კრებულზე.

ნოდარი ერთი მათგანია, ვინც მიჰყვა პერესტროიკას და ეროვნულ მოძრაობას პუბლიცისტისკაცსა და ლიტერატურაში. ეს კი ნიშნავდა პატრიოტიკას, სიმართლის დაცვას, სიმართლისადმი თანადგომას, რითაც იმორჩილებს მკითხველის გულისყურს და ეს მწერალს თეთრი ღიმილის შუქით აქვს სიმბოლიზებული.

სოსო სიგუა

მზიური დათიაშვილი- აფციაური

უფალი დაბადებიდანვე გვისახავს გასავლელ გზას, რომელსაც ჩვენ ვერ შევიცნობთ. სტიქიები, რომლებიც იფეთქებენ ცხოვრებაში, ხან სიტკოებიც და ხან სიმწარით და განსაცდელს გვიქმნიან, ცხოვრების გამოცდაა ამ განცდათა გადასალახავად.

როგორ არ შეიძლება გნდობოდით, ბავშვური სტიქიების პირველ მასწავლებელს, როცა ქართული კულტურის სცენიდან, საყოველთაოდ მოგვინოდებდით: - „გზა ნიჭიერ ახალგაზრდებს ეკუთვნით“. ისე ავიტაცე მაშინ ეს მოწოდება, თქვენი ნოველები არც ერთი არ გამომიტოვებია წაუკითხავი.

შემოდგომამ ჩემი საყვარელი ქმარი და შვილი შეინირა... ჯერ გამახარა - 18 სექტემბერს ჩემი უფროსი ვაჟი - ვასილი მაჩუქა, 8 ოქტომბერს, მეუღლის დაბადების დღეს ვზეიმობდით... მერე კი - 22 სექტემბერს მეუღლე გარდაიცვალა და ერთი წლისა და ერთი თვის თავზე, საყვარელი შვილი - 22 ოქტომბერს... ვასილმა თავის გარდაცვალებით, ლამის შეურაცხად დედად მაქცია...

ჩემთვის შემოდგომა აღარ არსებობს...

ახლა, სულ სხვა შემოდგომაა, როცა ეკლესია იღება, ვასილის ხმა მესმის კანდელიდან: - „დედა, მე ცოცხალი ვარ!“... - ეს მასულდგმულებს და გზას მიხსნის უფლისაკენ - სიკეთით და მხოლოდ სიკეთით გავიარო დარჩენილი შარა, რომ ღირსი შევიქნე უფლის ფერხთა მტვერის შეხების მაინც... - ამის ძალას კი თქვენ მძლევთ, ჩემო დიო მასწავლებლო, ბატონო რეზო! იმ დიდი სულმნათი ნაწარმოებით, „წამება“ რომ ჰქვია და მთელ ერს ჩასძახით: - „ცხოვრება წამების გარეშე არ არსებობს!“

ვიცი, გამიგებთ, რადგან თქვენ თვითონ განიცადეთ შვილის დაკარგვა აფხაზეთის ომში, რისთვისაც თანაგრძობას გიცხადებთ. ჩემი შვილი ვასილი სოხუმში „იამტუსაზე“ დაიჭრა გრადის მფრინავი ტყვიით, რომელიც ნეკნებიდან ველარ ამოუღეს...

რომანში „წამება“ აღწერილი საქართველოს ისტორიის მონამებობრივი ფაქტების ეთი გულისხმიერი მოწოდებით ატყვევებს მკითხველს, ეჭვიც არ მეპარება, რომ ახლაც საკუთარ თავზე გადაგვქონდეს ეს ტანჯვა, რამეთუ ყოველდღიურად ვინროვდება საქართველოს დავით აღმაშენებლისეული ტერიტორია.

უფლისგან ვიცი, რომ ამაოებაა ეს ცხოვრება, ეს სამყარო: - სახარება. მათე. თავი 5.

„18. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა, ანდა არც ერთი ნერტილი, არ გადაივლის სჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება. ამრიგად: ვინც დაარღვევს ერის ამ უმცირეს მცნებათაგანს და ისე ასწავლის ადამიანებს, უმცირესი დაერქმევა მას ცათა სასუფეველში.“

19. ხოლო, ვინც აკეთებს და ასწავლის, მას დიდი დაერქმევა ცათა სასუფეველში.

20. ვინაიდან მე გეუბნებით თქვენ, თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება მნიგნობართა და ფარისევლის სიმართლეს, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.

14. თქვენ ხართ მსოფლიოს სინათლე მთის წვერზე. ქალაქს დაფარვა არ შეუძლია...“

ცხადზე უცხადესია სახარებისეული მისია მასწავლებლისა, რის მიხედვითაც ყველა თავის ღვანლით შეფასდება.

ბატონო რეზო, ვაგლახ, რომ წინააღმდეგობრივ სამყაროში ვცხოვრობთ. გვახ-

სენდებიან, მაგრამ იშვიათად თუ გვინვეს მრავალჭირგადამტანი მამა-პაპათა საფლავების პატივისცემა. მამა-პაპანი და მთელი ამ სამყაროს მოდგმა, დღევანდელივით პროგრესულ-რეგრესულ მოაზროვნეთა ნიადაგია, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით. იშვიათად თუ გამოსჭვივის ცაზე ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომ ჩვენ დავინახოთ. რასაც ვხედავთ მასაც ვერ ვაფასებთ, ვუყურებთ და ვფიქრობთ: - ნეტავ რომელია? რომელია და... გვახ-

მოკრძალებული წერილი

ჩაიი ცხოვრების დიდ მასწავლებელს ბავშვობიდან ხანდაზოგულობამდე, ბატონ რეზო მიშვილაძეს

წავლიდნენ და არ ვისწავლეთ... ჩვენი ინტერესი მას კი არა, უფრო სხვას - საჩოთირო ვულგარიზმს მივუძღვენი და წაგვართვა დრომ ოქროს წუთები, როცა უნდა გაგვეგო ამ ბრწყინვალეების ფასი, მოვლინება და მნიშვნელობა...

მე განცვიფრებული ვარ თქვენი რომანის - „წამება“ - დასაწყისით. ვკითხულობ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის ყოველკვარტალურ ჟურნალს „ათინათი“ (28, 29, 30...), რომელშიც ეს საინტერესო და მე ვიტყვი, საკუთარი წამების მთელი პროცესია არწერილი და წარმოდგენილი და ვტირი... ვტირი იმ გულქვაობის გამო, რაც ამ თაობას სატანური ძალით დაუხუნძლავს და დვთაებრიობისათვის დაუპირისპირებია... საცოდაობაა ამის ატანა.

იქნებ უფალმა ღმერთმა შეგვინდოს და მოგვიტყვევოს ის ხილული თუ უხილავი ცოდვანი, რაც საუკუნოვან აზროვნებას ნებსით თუ უნებლიედ, ცოდვად თუ ჭეშმარიტებად წარმოუდგენია და გვაზიაროს წრფელ სინმინდეს, რითაც ნათლით გვაღიარებს უფლის წარმოგზავნილი ამ ჯოჯოხეთურ წამებაში და გვისხნის ცოდვათა ტოტალურ და ტირანულ ბრწყალებისგან, რომ გვერქვას ნამდვილი ადამიანები... ადამიანები, რომელთა აზროვნება მხოლოდ პროგრესის, ალორძინების, განახლების, თვითშემოქმედებისა და საზოგადოდ - შემოქმედებისათვის იქნება წარმართველი, მაღიარებელი და პატივისცემი.

ჩვენი თაობა პროგრესულად მოაზროვნე, ქვეყნის განვითარებისათვის მებრძოლი, მშრომელი, წინაპარ მეფეთა და სამშობლოსათვის მტლად დადებული გმირებისაგან მოდის. ამიტომაც საჭირო თანამედროვეობამ გაითავისოს ის ძირძველი ცოდნა-ტრადიციები, რასაც თქვენ ქადაგებთ ამ რომანში და აღვიზარდოთ ისეთივე გმირებად, რასაც დიდი შოთა რუსთაველის გმირები გვთავაზობენ: ერთგულების, სინმინდის, მეგობრობის, სიყვარულის, ღრმააზროვნების, ცოდნის, ცნობიერების, თუ საყოველთაო გმირული ქმედებებით, დროთა გმირული შესატყვისებით, ეპოქალური გმირული სულისკვეთებით, რაც საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ეპოქამ და ამ ეპოქის ბუმბერაზმა მეფეთა დინასტიამ მოგვიტანა, რაც საოცრად აისახა ალორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში, კორიფე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“.

ამ ბრწყინვალეების ბაზისი შორეულ წინაპართაგან მოდის. ქართული კულტურა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე არსებული ძვ. წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში ცივილური მინების: შუამდინარეთის, კართაგენის, წინა აზიის და მოგვიანებით ურარტუს შემადგენელი კავკასიური ნაწილების მაჩვენებელია.

ბაზისი - ეს დიდი საფუძველია, თქვენს მიერ მეცნიერულად აღიარებული კულტუროლოგიისა, რომელსაც ბევრი ნიჭიერი ქართველი (თუნდაც ექვთიმე თაყაიშვილი...) შეეწირა.

მე მოხარული ვარ თანამედროვე ქართული კულტურის ესოდენ დიდი წარმოჩინებით. მაგრამ ქართული ნიჭიერების გზა მსოფლიო და საკუთრივ შინა ასპარეზზე ჩაკეტილია. მას შეზღუდული აქვს განვითარების გზა: გარეჯი დღევანდელი ჩვენი სატიკვარი და საგოდებელი. დავით გარეჯელი „13 ასურელი მამათაგანი“ - ქართველი იყო, სულით ქართველი, რომ საქართველოსკენ გამოუწია გულმა და უდაბნო მინა სამშობლოდ გაიხადა. დღეს

კი - უცხო ტომი გვეცილება: - „არა, ჩვენი იაო...“

ღვთისმოცემული „ბერთუბანი“ - საქართველოს ეკუთვნის. თავისუფლება მსოფლიო კულტუროლოგიას!

მაგრამ მამა-პაპათა ტერიტორიას, მათ საქვალეს არ უნდა შეეხონ. ჩემო სათაყვანებლო მამავ მწერლობისა! - ასე არ არის? „ვეფხისტყაოსნის“ სამშობლოს ლომ-ვეფხვთა ტორი განაგებს და მომხვედურ მტერთა, დუშმანთა ის შუბის ტარზე ააგებს!

დიდი სურვილი მაქვს სკოლებში ისწავლებოდეს ძველი ქართული ენა და მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

კულტუროლოგია, როგორც თქვენ მოგვივითარების, მონაპოვების, შემოქმედებითი ცხოვრების, ხელოვნების - საწყისი და განვითარებული ეტაპების, მსოფლიოს კულტურის მონაპოვებთან ერთად, რამეთუ დედამიწა, მასზე მოვლენილ ადამიანთა საყოველთაო საზრუნავია და არა უყურადღებოდ მიტოვებული საგანი, - ეს უნდა გაითავისოს ყველამ და ყოველმა.

ამასთანავე მიწა მოვუნდოთ ერს, და არა მარტო ერს, - ყველას, დედამიწაზე, შექმნას საყოველთაო ფონდი ქართველთა გადასარჩენად!

ვეცადოთ ყველა, ვევედროთ უფალს! - მოგვიტყვევოს ჩვენი ცოდვანი და გვაზიაროს, მარადიულ სინათლეს - კულტურას!

სამყაროში არსებულ მოაზროვნეთა შორის, ვისაც მე ვიცილობ სალიტერატურო ასპარეზზე, უდიდეს ნიჭად მიმაჩნისართ, ბატონო რეზო! ვინც ობიექტურ ქმნილებებს ქმნით და რეალურ სამყაროში წარმოსახვათა განვითარების პოზიტიურ სურათებს ხატავთ აზროვნებაში...

სიტყვა ძლიერი იარაღია. იარაღის გამოყენებას კი თავისი პროფესიული დიდოსტატობა ჭირდება. თქვენი პროფესიული დიდოსტატობის მაჩვენებელია მთელი შემოქმედება და რომანი „წამება“, რომელიც მატანის ისტორიის ჯერ კიდევ გადაუშლელი, შეურხვევი ფურცლებიდან მოგვინოდებს ჭეშმარიტების გზების მოძიებას სამშობლოს წინსვლის და განვითარებისაკენ...

ქართული სიტყვა, ყველა იმ დიდი ძვრების ფონზე, რაც საქართველოში მოხდა, ერთი უძველესი ანბანთწყობაა, რომლითაც ამოიკითხება საქართველოს ათასწლეულების ყოფა-ცხოვრება და კულტურა ჩვენს ძირძველ მიწაზე და მეცნიერული კვლევების იარაღად წარმოგვიდგება. თვითონ ქართული ენა ხომ უძველესი კულტურის მონაპოვარია.

ყველა მეცნიერული ჰიპოთეზა, თუ დადასტურებული აზრი ქართული სიტყვის შემადგენელი ნაწილია, რასაც თქვენთვის დამახასიათებელი მხატვრული ალლოთი ასე რიგად აღიქვამთ და საზოგადოების წინაშე ადასტურებთ მწერლობით თუ მეცნიერული პროფესიულობით.

რომანი „წამება“ გამსჭვალულია დიდი ქართველური პათოსით და აღჭურვილია

საუკუნის იდეალური გარდაქმნის მატარებელი ინტელექტუალიზმით. ეს რომანი წარმოაჩენს კვლავ მრავალ გადასანყვეტ დილემას - პრობლემას მომავალი ცხოვრების იდეალური და იდეალური გზების წარმოსახვა - დამკვიდრებისათვის, რაზეც უნდა იმუშაოს თანამედროვე ინტელექტმა - სინათლის აღიარებისათვის, რასაც უფალი მოგვინოდებს სინმინდის გათვალისწინებით. თქვენც ხომ ამ წმინდა ცრემლიან ფურცლებთან ერთად თანამედროვეობის დიაპაზონურ ცვლილებებს ალაპარაკებთ გონების გამოსანრობად...

სოტყვა თვითონ და თქვენი რომანი „წამება“ საზოგადოების კულტუროლოგიის წამყვანი მესაჭის როლში დგება, რომლის ფენომენალობას თქვენი ნერგავთ და ავითარებთ: მომავლის - ახალი ერის ჩამოყალიბებაში - ახალი სამყაროს, სრულიად ახალი თავისებურებებისა და თავისუფლების, უზადო სათნოების ღვთისნიერ დამკვიდრებაში.

მახარებს, რომ ახალი აზროვნების, სრულიად ახალი „დემოკრატიული“ თუ შესაძლოა, უფრო ცივილური თავისუფლების ერის დასაწყისს ვხედავ მე თქვენს უაღრესად ამაღლებულ რომანში „წამება“.

ეს სამყარო, მართლაც წამების სამყაროა, რომლის ტვირთბიდვის მონაწილედ უფალმა თანამედროვე თაობა აირჩია და წინ წაუძღვარა ტიტანურ გონთა მკრებელი ადამიანები, ამჯერად თქვენი სახით და ყველამ უნდა გავუძლოთ ამას, რადგან ვიცით, რომ ეს პროცესი ჩვენს გარეშე არ ჩაივლის. ჩვენ - ქართველი ერი და სამწერლო გონი, ვართ უშუალო და დამაჯერებელი მსხვერპლი ამ უაღრესად დიდი პროცესებისა. არ უნდა შეგვეშინდეს სიმართლის გზაზე სიარულისა, რამეთუ: - „ჩვენთან არს ღმერთი!“

ქართული ანბანისა და მნიგნობრობის მეკვლეობა ფარნავაზ მეფიდან დაწყებული, რუსთაველით ამაღლებული და ოქროს ხანის გვირგვინდამდგმული, გურამიშვილითა და ილია მართლით უაღრესად სიბრძნისეულად განჭვრეტილი და ვაჟასა და სხვათაგან ეტაპობრივად განვრცობილი - ეს უდიდესი კულტურაა ძირძველი იბერიული ხალხის წარმომავლობისა და უდიადესია მათი ქრისტიანული ისტორია დღევანდლამდე მოტანილი დიდი მატინით, მხატვრობით, ოქრომჭედლობით, ჭედურობით, პოეზიით და საერთოდ ქართველ ხელოვნათა დიდოსტატობით, ქვეყნის ძეგლთა-მშენებლობით, რომელიც ჩვენს ერს, როგორც კულტურის უძველეს წინაპარს, თავის სიგრძე-სიგანით წარმოაჩენს; და ეს გზა - უდიდესი წამების გზაა. ეს აზრი მიტრიალებდა თავში და თითქოს ველოდიკიდეც, ვინმე იტყოდა ამ უდიდესი წამების შესახებ ჩანვდომოდა საქართველოს გულს და რაც ხალხს შემონახული ჰქონდა იდუმალ, მიუწვდომელ სულში, წარმოაჩენდა დღევანდელი მონამეობრივი ცხოვრების კიდევ უფრო მაღალ ადამიანურ თვისებათა გაიდევალებით: - პატივი ვცეთ და არ დავკარგოთ სამშობლო - ჩვენი საყვარელი საქართველო!

ბატონო რეზო! - თქვენ ამდენი თაობის მამობრივი მზრუნველობით გამომზრდელი, ილია მართლის კვალში ჩამდგარი, ერს მოუწოდებთ, სიმართლის გზით სიარულს და ბრძოლას დამოუკიდებელი უფლებებისათვის მშვიდობიანი სიტყვის იდეოლოგიით. თქვენ მამა ხართ თანამედროვე ქართული მწერლობისა, რომელმაც გაბედულად გადადგით ნაბიჯი ერის მშვიდობიანი განვითარებისათვის და მწამს: მთელი ქართული მწერლობა თქვენთან ერთად იზრუნებს საქართველოს მშვიდობიანი მომავლისათვის.

ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცეთ, ბატონო რეზო! თქვენი ოჯახისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი ერის წინსვლისა და განვითარებისათვის.



მანანა დანგაძე - 70



ოთარ ურუშაძე - 80



ნუგზარ კობერიძე - 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი მანანა გერასიმეს ასული დანგაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ქალბატონო მანანა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედსა და ბანოვანს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1962 წელს შედგა, როდესაც ხაშურის რაიონულ გაზეთ „გამარჯვების გზაში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი ლექსი „უმღერე გაზაფხულს“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, მოთხრობები და ნოველები პერიოდულად იბეჭდებოდა ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, შესულია არაერთ ანთოლოგიაში.

ქართველი მკითხველი დიდი მონონებით შეხვდა თქვენს ნიგნს „სევდის ანარეკლს“, რომელიც მართლაც რომ ანარეკლს წარმოადგენს თქვენი მშვენიერი სულისა. ამ კრებულში დავანებული ლექსები და მოთხრობები ერთი დიდი ამოკენსაა იმ შემოქმედისა, რომელიც ამ ქვეყნად სიყვარულისთვის, სიხარულისთვის გააჩინა უფალმა, მაგრამ ტკივილებიცა და დარდიც უხვად უწილადა. თქვენი შემოქმედების ლირიკული გმირი ქართული პოეზიის უკიდევანო ტაძარში ჯვარცმის წინ დაჩოქილა და ისე მისტირის გარდასულ სიხარულებს, სიყვარულს, ვნებებსა და ზმანებებს. სულში ყველა ურვა და სატანჯველი აბოპოქრებულა და წარღვნიტ ემუქრება მასაც და მის საესავ სამშობლოსაც. ძველი ტფილისის მოტრფიალეა. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ ყვავილების მიწას ჰყიდდნენ მხოლოდ და არა სრულიად საქართველოს. გაფრენილ იადონებს მისტირის, გაფრენილ წლებს, ასე უცებ, დაუზოგავად რომ შემოეხარჯა წუთისოფლის ბილიკებზე. კარგად მოეხსენება, რომ ცხოვრება დედამიწაზე სიცოცხლის მხოლოდ შესავალია და ამიტომაც ცდილობს, ისე იცხოვროს, რომ ბოლო ყამს მისი კელაპტარი ანგელოზმა აანთოს...

რუსულ ენაზე თარგმნილი თქვენი პოეტური კრებული გერმანიაში გამოსცა გერმანიის მწერალთა გილდიამ.

2005 წელს ქალთა საბჭოს მიერ გამოცხადებულ წლის საუკეთესო ლექსის კონკურსზე პრიზი დაიმსახურეთ. გვახარებს, რომ სულ ახლახან ქართული პოეზიის დედოფლის - ანა კალანდაძის სახელობის პრემიით დაჯილდოვდით.

ათეული წლები მუშაობდით ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში ფორტეპიანოს პედაგოგად და ახალგაზრდებს ჩიჩერონედ ევლინებოდით მუსიკის საუფლოში.

ჩვენო მანანა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს გისურვებთ სამწერლო ასპარეზზე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ოთარ ივანეს ძე ურუშაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ოთარ!

ჩვენო ერთგული და ნაცადო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი კოლეგები სიყვარულით მოგესალმებიან მხცოვან, ღვანღმოსილ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 წლისთავს.

ლიტერატურულ სარბიელზე 1990 წელს გამოჩნდით, როდესაც რუსთაველი გამოავალ გაზეთ „ალგეთში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „სამშობლოს“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებად.

ქართველი მკითხველის ინტერესების სფეროში მოექცა თქვენი ისეთი პოეტური თუ პროზაული კრებულები, როგორცაა „თბილისო ჩემო“, „ისუნთქეთ იმედით“, „კაკტუსის ყვავილია“, „სიყვარული გადაგვარჩენს“, „ბახუსის ვნებანი“, „ცხრა მარტი“, „პოეზია“, „ჯამბაზი“, „ვერის უბანი“, „გიორგი გოთუა“. ამ კრებულების მთავარი გმირი ხომ სევდაა, ჭკმარტივი ადამიანური სევდა, გულწრფელობითა და თავისთავადობით გამოჩნეული გრძნობა. გახუნებული ძველი აფიშა ერთ დროს ულამაზესი ბანოვანის სევდიან ღიმილს აგონებს თქვენი ლექსების ლირიკულ გმირს. სევდა იპყრობს კაკტუსის ეკლიან გორგალზე საიდანაც ამოხეთქილი მშვენიერი ყვავილის ხილვის დროსაც, რადგანაც კარგად მოეხსენება, რომ ეს ხელთუქმნელი სილამაზე ღამის ფარვანას იმით ნააგავს, რომ მასავით ველარ შეეგებება მეორე დღის ალიონს და მაინც უღიროს ამ საოცრებას ქვეყნად მოვლინება თუნდაც იმიტომ, რომ ერთ ადამიანს წამიერად მაინც მოჰგვრის შვებას, დააფიქრებს სილამაზისა და მშვენიერების ფასზე და კიდევ იმაზე, რომ ამოეება ამოთაა ჩვენი სიცოცხლე...

თქვენი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზე და შესულია რამდენიმე ანთოლოგიაში.

თავადაც თარგმნით ალექსანდრ ბლოკის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევის, ვლადიმერ ვისოცკის, ლინ კოფინის, ჯეიმს კიდის, ჟილ სირის და სხვათა ლექსები.

პროფესიით ჰიდროლოგი ბრძანდებით და სხვადასხვა დროს მუშაობდით ჰიდროტექნიკის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, ტრესტ „წყალმშენის“ მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილედ, წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური განყოფილების უფროსად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის მთავარ კონსულტანტად. აგრეთვე თბილისის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის პროფკავშირების თავმჯდომარედ, საქართველოს შრომის ვეტერანთა საქველმოქმედო კავშირის „ქომაგის“ თავმჯდომარედ. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ოცამდე სამეცნიერო შრომის ავტორი არჩეული ხართ ეროვნული აკადემიისა და „ფაზისის“ აკადემიის წევრად, რედაქტორობთ გაზეთ „ძველ თაობას“.

თქვენი შემოქმედებითი მოღვაწეობა აკაკი წერეთლის სახელობის პრემიით აღინიშნა.

ბატონო ოთარ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს მეგობარს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ ნიკოლოზის ძე კობერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ნუგზარ!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი თანამოკალმენი დიდზე დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედსა და ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი დებიუტი სამწერლო ასპარეზზე 1966 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები და მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებად.

თქვენი პოეზია, მშობელი ქვეყნის ტრაგედიებითა და კატაკლიზმებით შეძრული, მაგრამ გაუტყეხელი შემოქმედის პოეზია შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. შეიყვარა სიმართლისათვის, პოეტური ძალმოსილებისთვის, ქართული სიტყვის უბადლო, ერთგული მსახურებისთვის. ყოველივე ამის დასტურია თქვენი პოეტური კრებულები „კრილოსანი“, „ბაღში ეკალი ჰყვავის“, „სულ ერთი წამი შენთან ყოფნისა“, „ცეცხლის წელიწადი“, „როცა ქარებს მიაქვთ ქვეყანა“, „ჩემი საუკუნე“... ამ კრებულების ლირიკული გმირი ხომ თავად თქვენ ბრძანდებით, ასე ძალიან რომ ჰგავხართ ნამებარ ვერხვს, უსაშველო ღამეებით, ნისლებით, დარდებითა და ვაებით გულგასენილ ვერხვს, რომელსაც დაცლილი, გაუკაცურებული სამშობლოს სევდა აწვავს და ძალიან ნააგავს ძველ ბურჯუმორყეულ ხილს, რომელიც სულაც არ აპირებს ბედისწერასთან შერიგებას... კაკლის ხე ენატრება, მისი ბავშვობის მეგობარი და მესაიდუმლე და როცა ძალიან გაუჭირდება ხოლმე, მაშინვე მისკენ მიისწრაფვის და ილტვის... კაკლის ხე კი კარგა ხნის წინ მოუჭრიათ. იმ დროს ელაციცება თავის მოგონებებში. როცა ეგონა, რომ არაფერი ჰქონდა ამქვეყნად და თურმე ყველაფერი ჰქონია. იმის დანახვა შეუძლია, თუ როგორ იკროლებოდა კაკალივით ნარინჯისფერი მზე, გაზზე გადმოდგარი თეთრი ასკილი ჯვრისწერიდან გამოქცეულ მეამბოხე პატარადას აგონებს; საათობით შეუძლია უცქიროს ბაღში ძელსკამზე მჯდომ, მოხუც ცოლ-ქმარს, ძილბურანში კრილოსანივით რომ ითვლიან ერთმანეთის სუნთქვას...

თქვენს მშვენიერ ლექსებზე, რომლებიც თარგმნილია სომხურ, ბელორუსულ, რუსულ ენებზე, არაერთი სიმღერა შეიქმნა. თავადაც ჩინებული მთარგმნელი ხართ და ბრწყინვალედ თარგმნით პეტროს ღურინისა (სომხეთი) და ალეს რაზანაუს (ბელორუსი) ლექსები. გვახარებს, რომ სულ მალე გამოიცემა პეტროს ღურინის ორენოვანი გამოცემა, რაც თქვენი მთარგმნელობითი ხელოვნების აღიარება გახლავთ.

დიდად ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. სხვადასხვა დროს იყავით საქართველოს პარლამენტის წევრი და ბიზნესის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის თავმჯდომარე, არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციათა საათობიროს თავმჯდომარე, 9 აპრილს მონამულთა დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე, საინვილიოს თეატრის შექმნის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, სოფელ წერაქვის აღორძინების ერთ-ერთი მესვეური, თეატრალური საზოგადოების კონსულტანტი და ყველაზე თქვენთვის ჩვეული პატიოსნებითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდით.

ჩვენო ნუგზარ!

ვინ-ვინ და თქვენ, საქართველოში დისიდენტური მოძრაობის უაქტიურესი წევრი ცხადად ხედავთ სამშობლოს ყელზე მიბჯენილ ჩექმას, რაც მოსვენებას გიკარგავთ და სულს გიფორიაქებთ. მაინც არ გტოვებთ უკეთესი მერმისის რწმენა და იმედი...

კიდევ ერთხელ გულწრფელად გილოცავთ საიუბილეო თარიღს შესანიშნავ შემოქმედსა და მამულიშვილს, მზეგრძელობას და დღეგრძელობას გისურვებთ და კიდევ თქვენი და ჩვენი სამშობლოს გაბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

თამილა გოგოლაძე

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია არაერთ მაგალითს აღწევს ქალბატონებისა, რომელთაც მუშის სახე მიიღეს და, აი პოეტში დაიბადა უმშვენიერესი ლექსი, რომელიც რიგ შემთხვევაში კლასიკად იქცა, მასზე მუსიკალური ნაწარმოებიც დაინერა, შემდგომად, ახალ მუზად სხვა პოეტისათვის.

ასეთი ამბებით განსაკუთრებით მდიდარი იყო პოეტ იოსებ გრიშაშვილის (1889-1965) ბიოგრაფია, ამიტომ შემთხვევითი ფაქტი არ იყო ყოველი წლის 23/ (24) აპრილს, პოეტის დაბადების დღეს, ხარფუხში, ი. გრიშაშვილის მყუდრო ბინაში ანი ციციშვილის თაოსნობით, მოწყობილი ღონისძიებანი, რომლებსაც სწორედ ქალმშენები, ასაკში შესულნი, მაგრამ სილამაზის, დიდებულების ნაკვალევით გასხივოსნებული თვალებით ესწრებოდნენ, იხსენებდნენ, ხელახლა აცოცხლებდნენ, პოეტთან შეხვედრის ნამებს. ამ საოცარი საღამოებს, ჩემი მეცნიერი ხელმძღვანელის, პროფესორ სოლომონ ხუციშვილის წყალობით, მეც შევესწარ, ერთხელ კი, მოსწავლეებიც ვანვიე...

რამი გამოიხატებოდა ეს მარადსახსოვარი ხიბლი და აქვს თუ არა მის გაცოცხლებას მნიშვნელობა სადღეისოდ, როცა ხდება ყველა წარსული ამბის დეიდელ-იზაცია, როცა სასაცილოდ შეიძლება არც ჰყოფნიდეთ დღევანდელთ და მხოლოდ მხცოვან ადამიანების რომანტიკულად გაბრწყინებულ სახეზე რომ უცნაურ შუქს ააელვარებს?

მკვლევართა უმრავლესობა თავგამოდებით ამტკიცებს, რომ არ უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ქალმშენის დამსახურება, რადგან ნაწარმოები თვით პოეტში მნიშვნელოვანია. იქნებ ისინი მართლაც არიან და ეს მხოლოდ გაელვება იყო სიყვარულის მოწყურებული პოეტისათვის უმშვენიერესი ლექსის დასაბადებლად. მაგრამ რატომ უნდა უარყვით თვით პიროვნებანი, რომლებშიც, სწორედ მათში და არა სხვაში „აღმოჩინა“ პოეტმა ნაპერწკალი ლექსისათვის?

ვერ მოგცემთ ამაზე დასაბუთებულ პასუხს, რადგან ეს თავად პოეტურ ლაბორატორიაში იქმნება და ახალ, ნატურალიზებულ იერს იღებს, ეს კი თავის მხრივ ახალი გზაა რომანტიკული განწყობის გაჩენისათვის სამომავლოდ, რაც ასე მწირია ამ ცვალებად წუთისოფელში და მხოლოდ მეხსიერების, ან მოგონებებს შორის გაელვებული სტრიქონების მეშვეობით სიცოცხლეს ახალ აზრს აძლევს.

იოსებ გრიშაშვილის მთელი შემოქმედება სილამაზისა და, უმეტესწილად, მისი ხორციელი განსახიერების, ქალისადმი, თავყანისცემის განცდითაა აღბეჭდილი.

1941 წელს, ვიდრე გამოვიდოდა მისი ლექსების პირველი ტომი, ახალგაზრდა პოეტის პოპულარობა ხალხში ზეპირი სახით გავრცელებული სატრფიალო სტრიქონებით მეტად გახდა ცნობილი მკითხველი საზოგადოებრიობისათვის. იქნებ იმიტომ და, ალბათ, ამიტომ მგოსანმა აკაკიმ ერთი საღამოსათვის ერთგვარად დააჯგუფა სასიყვარულო ხასიათის რამდენიმე ლექსი, გადანერა ისინი თავის ფურცელზე, ასეა შერჩეული ალექსანდრე ჭავჭავაძის „სიყვარულო, ძალსა შენსა“, ნ. ბარათაშვილის „საყურე“ და

იოსებ გრიშაშვილის „შენ ხარ ღვთაება“ (დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1909 წელს „დროების“ 85, შემდგომ კი შევიდა პოეტის თხზულებათა I ტომში, გვ.32), ამას მოჰყვა აკაკის მონაწილეობაც ქართული თეატრის სცენაზე 1914 წლის 23 აპრილს (დვ. სტ.) თავად ი. გრიშაშვილის მიერ გამართულ საღამოზე, სადაც სამივე ზემოდასახელებულ ლექსთან ერთად აკაკიმ წაიკითხა საკუთარი ლექსიც „თვალად,

ქალმშენ ადრესატები პოეტისათვის

(ი. გრიშაშვილი)

ტანად“. ამან ისე აღაფრთოვანა ახალგაზრდა პოეტი, თითქოს ფრთაშესხმულად იგრძნო თავი: „ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: აკაკი, ჩემს საღამოს დაესწრო! აკაკიმ ლექსი წარმოთქვა!... მეტი რა უნდოდა ახალგაზრდა მგოსანს? (ღმერთმანი, ახალგაზრდა ვიყავი!). იმ საღამოს ერთი-ორად გავიზარდე, თითქოს სიმაღლეც მომემატა“ (ი. გრიშაშვილი, 1957:41). ეს სტრიქონები შეიტანა ი. გრიშაშვილმა თავისი „ლიტერატურული ნარკვევების“ კრებულში. შემთხვევითი არაა, რომ, უფრო ადრე, „სახალხო გაზეთის“ 14 იანვრის ნომერში ანკეტურ გამოკითხვაზე „დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა შესახებ“ (მონაწილეობა მიიღო 50 კაცმა), იოსებ გრიშაშვილის პასუხიც დაიბეჭდა: „ქალს დიდი გავლენა აქვს მამაკაცზე: ქალი ზე იტაცებს, ამაღლებს და ამავე დროს კი კაცის პირველი გამანადგურებელი ისევე ქალია - ვისაც მეგობრობა სწამს, ქალის სულიერი სილამაზე დიდი ყურადღების ღირსია, ქალის გარეგნული სილამაზე კი კარგია! თვალს ათრობს და, თუ მამაკაცს სურს, რომ ყოველთვის იყოს სიმშვენიერის მალმერთებელი, არ უნდა დაუახლოვდეს ქალს. არა, ქალში მხოლოდ ორი გრძობაა: „ერთი ჰქმნის დედას, მეორე კი - მრუშს...“ („სახალხო გაზეთი“, 1090:1).

ბუნებრივია, სატრფიალო თემაზე შექმნილი ლექსების სიმრავლემ, ლიტერატორთა საზოგადოებაში ერთგვარი გაღიზიანება გამოიწვია (ლევო ნათაძის, გიორგი ლეონიძის, ჭოლა ლომთათიძის, ტიცინ ტაბიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის და სხვ.) ლიტერატურულ წრეებში ჯერ კიდევ 1940-იან წლების საბჭოთა პერიოდის ლიტერატურათმცოდნეთა (გ. ჯიბლაძე) ნაზრევშიც. მათ ამ ლექსებში გრიშაშვილის ჟინის აღმძვრელი ხვევნა-კოცნა ეზმანებოდათ. ამიტომაც, გამოიყენეს რა პოეტის ერთი ლექსის („ოცნების კოცნა“ - 1911 წ.) სათაური, მას „კოცნის“ პოეტი უწოდეს. ლევო ნათაძემ იგი მიიჩნია ეროტიზმის მორევში ჩაფლულად, სარეცლის მგოსნად, „მთელი ბუნება გრიშაშვილის ოცნებებში ერთი უზარმაზარი „კოცნის“ სამყაროა“, თუმცა იყო დადებითი შეფასებანიც (კიტა აბაშიძე), ი. გომართელმა მას „თემის თავადი“ უწოდა და მის ლირიკაში ორი ნაკადი შენიშნა: პირველი - უხეში და ტლანქი, თითქმის პორნოგრაფიამდე მისული, მეორე კი ნაზი და სპეტაკი, ბუნებრივი ადამიანური სიყვარულით გარემოსილი“.

გრიგოლ რობაქიძეს მოეწონა გრიშაშვილის რედაქტორობით გამოცემული უპარტიო სალიტერატურო ჟურნალის „ლეილას“ სახელწოდება და პირველ ნომერს წარუძღვარა წერილი, რომ ჟურნალი „დამახასიათებელი ლაკონიზმით ძირითადად განსაზღვრავს აღმოსავლეთთან ქართული მიმართების პრობლემას: „მგონი

პირველად დაერქვა ჟურნალს ქალის სახელი „ლეილა“ - აღმოსავლეთის სილამაზეა ამ სახელით გამოკვეთილი. კარგი უქნია გრიშაშვილს, ეს ჟურნალი რომ ამ სახელით მოუნათლია“ (გრიშაშვილი, 1989:11).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ არაა მთლად გამოკვეთილი ი. გრიშაშვილის სატრფიალო პოეზიაში (სიყვარულის საკითხში) ერთიდან მეორეზე გადასვლა, თუ ერთი მთლიანი მოდელი. მით უმეტეს, არცთუ იშვიათად,

თითოეული კონკრეტული ქალი იქცევა ამა თუ იმ ლექსისთვის ფანტაზიის ობიექტად, რის ნიმუშადაც ერთი ლექსის ისტორიასაც მივაკვლიეთ (თუმცა ეს მხოლოდ ერთი ვარიანტია ლეგენდისა).

უპირველესად მაინც ამოსავალი წერტილი, ჩვენი აზრით, სწორედ დიდი აკაკის მიერ შერჩეული ანონიმი ქალისადმი მიძღვნილი ლექსი უნდა იყოს - რომანსი „შენ ხარ ღვთაება“. ლექსი სწორედაც რომ ლირიკული გმირის ამაღლებული სიყვარულის გამოვლენაა და ტრადიციული სიყვარულის ზნეობრივ-ესთეტიკური მოდელის გაგრძელება, ალბათ, ამიტომ შეარჩია იგი აკაკიმ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებიდან.

მეტაფორა - შედარებით, მხატვრულ ხერხთა „კორიანტილით“ მოსავს პოეტი სატრფოს, განცდა კი იქცევა იმ ხელთათმანის ღილად, შეყვარებულ ქალს რომ შეუქმნა ოცნებით („ხელთათმანის ღილი“).

1914 წელს შეიქმნა ი. გრიშაშვილის ერთი ლექსი, რომელიც საოცრად პოპულარული აღმოჩნდა პოეზიის მოყვარულთა, თუ მხატვრული კითხვის ოსტატთათვის. ლექსის ტექსტზე მაშინვე შექმნილა მუსიკა, სიმღერა, რომელსაც მღეროდნენ გორის მაზრის სოფელ ტყვიავში, სადაც ერთი, თაობიდან თაობაზე გადასული ლეგენდით შემორჩა. ამ ხუთიოდე წლის წინ გარდაცვლილ 82 წლის შთამომავალი გრიშაშვილის ტრფობის ობიექტისა, უუ-უნა კორინთელ-მელითაურის ნამბობით, მარგალიტა იოსების ასული კორინთელი გათხოვილი ყოფილა ჭიათურელ წერეთელზე და სრულიად ნორჩი, 17 წლისა, დაქვრივებულა. ამ დროს ტყვიავში სტუმრობისას გაუცვინია იგი იოსებ გრიშაშვილს ქვრივის თაღს კაბაში. ასე დაიბადა „თაღის კაბა“.

„იქნებ ყორანს შენ ნაჰბაძე, ან ყორანმა შენ ნაგბაძა, რომ მორთულხარ შავი კაბით, რომ ჩაგიცვამს თაღის ძაძა! იქნებ, იქნებ შენც მოგიკვდა საყვარელი რომელიმე, რომ მორთულხარ მელნის ფერად, რომ ჩაგიცვამს თაღის, მძიმე? იქნებ... მაგრამ, ამ კითხვისა- შენმა გაზრდამ! - მეც კი მრცხვენის?! ეს კია, რომ თაღის კაბა ისე გშვენის, ისე გშვენის, რომ ჯერ ღამე არ დამდგარა, არ დამდგარა ჯერედ ღამე - მაგ კაბაზე უფრო ბნელი! მაგ ტანივით მოხამხამე! მხოლოდ მინდა ჩუმიად გითხრა, მხოლოდ მინდა ჩუმიად გთხოვო, რომ არასდროს არ გაიძრო ეს სამოსი საუცხოო, ნეტა მოგკვდე! ნეტა მერგოს სასაფლაოს ბნელი მღვიმე, რომ მიტირო გლოვის ნიშნად და ჩაიცვა თაღის, მძიმე!“

თუმცა ი. გრიშაშვილის დიდი მცდელობისა, მარგალიტამ ვერ მიიღო პოეტის სიყვარული, მოგვიანებით კი ცოლად გაჰყვა (21 წლის ასაკში) ტყვიაველ გალაკტიონ სამადაშვილს, რომელთანაც შესძენია 2 შვილი. თავად გალაკტიონი სამი შვილის მამა ყოფილა, მერე მეორე ქმარიც გარდაიცვალა და ქალს ერთგულად დაუზრდია შვილები, თუ გერები.

წარსული საღამოების ერთი გმირი მომღერალი ანა ვარდიშვილი იყო. ი. გრიშაშვილის სხვა მეგობრებთან ერთად არაერთი საღამო ახსოვდა წაღვერში, დ. ახვლედიანის მყუდრო სალონში გატარებული დრო. ერთხელ ცოტა შეაგვინდათ კეჩხოვის მუხავე წყლებიდან უკან მომავალთ. გზაზე ციციანთელები დახვდნენ. რამდენიმე ანას თმებშიც დაიბუდა. სოსომ შეხედა თურმე და აღტაცებულმა უთხრა: რა ლამაზია ციციანთელები თმებში!“ ასე დაიბადა ლექსი „ციციანთელები თმები“.

ალარ მგონია შემოგვრჩნენ ის პირმშვენიერი ქალბატონები, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვდათ წამი დაუფინყარი, იოსებ გრიშაშვილის სტრიქონებს იქით რომ ჭვრეტდნენ წარსულს, ლექსით იქარვებდნენ კაემანს. თუმცა კიდევ, კიდევ აღმოჩნდა ნაზსახიანი მშვენიერი ქალბატონი, რომელმაც სულ ახლახანს გამოსცა საკუთარი ლექსების საკმაოდ სქელტანიანი წიგნი და რომელშიც ი. გრიშაშვილის ლექსიც არის და იმ ახალგაზრდა ქალის საპასუხო ლექსიც, რომელშიც მუზამ ხელახლა გაიკვალა გზა, თანაც მძიმე, ტრაგიკული ავადმყოფობის გადატანის შემდგომ.

ეს მშვენიერი ქალბატონი „გორისციხელის“ ფსევდონიმით გამოცემული წიგნის ავტორი ციციანო ჭუჭყიანი (რევაზიშვილია), რომლის გვარი ჩვენი პოეზიის ნაკითხვის შემდეგ (1958 წელს) ლექსი შეუქმნია:

„ასეთ კარგსა და პოეტურ გოგოს, რად გინოდებდნენ „ჭუჭყიანს“ გვარად? ახ, როდის მოხდა? რატომ და როგორ? ვფიქრობ ნიდაგ და ვწუხვარ მარად.“ ქალბატონისგან საპასუხო ლექსიც დაიბადა: „ზღვა სიხარული ჩამიდგა გულში, ზღვა სიხარულმა ღამის გამთელა, რას ვიფიქრებდი ამაზე გუშინ, ერთი პატარა ციციანთელა?!“

წიგნის ავტორი, რომელიც პოეტურ სულში ჩაბუდებული დაგროვილი განცდის გამონაშუქია ვაჟა შაქარაშვილის, ანი რატიშვილის, ნინო დიდბერუაშვილისა და ზურაბ რევაზიშვილის წყალობით რომ იხილა დღის სინათლე და ახალი სიხარული მოუტანა მხცოვან ქალბატონს, მისი პოეზიის მკითხველთ ციციანო ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, სტუდენტობისას ახალგაზრდობის „დიდი კეისრის“, ოთარ ჩხეიძის თაოსნობით, გორის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის წევრი იყო. ასე გახდა „მერანის“ ერთი ავტორთაგანიც...

იბადებოდა გრძობა, რჩებოდა ლექსი, ვინაიდან პოეტის განცდა მხოლოდ ოცნებასთან მიახლება, ოცნების კოცნის წყურვილის მხატვრული გამოხატულება იყო, რომელიც წინამდებარე სტატიაში ვცადე წარმოგვედგინა ერთგვარ მცდელობად პოეტის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაში ჩაჭვრეტისა.

„შენ ეს მოგეწონა! და როცა იდროვე, ციციანთელები თმებში დაიგროვე, - იტაცებდი ლხენით... და ხუჭუჭა თავი გადაგექცა მზისფერ ქვეებით მონარწყავი“.



ავთანდილ ბერიძე - 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ ვალერიაანის ძე ბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ავთანდილ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან შესანიშნავ შემოქმედს, დიდებულ მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1966 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ნორჩი ლენინელში“ გამოაქვეყნეთ ლექსი „მესხეთს“. მას შემდეგ თქვენს მიერ განვილიმა ცხოვრებისეულმა გზამ ყველას თვალნათლივ დაგვანახა, რომ მესხეთს - თქვენს მშობლიურ კუთხეს, დიდი და ქედუხრელი ერისკაცების სამჭედლოს, სრულიად საქართველოს ჰყავს ღვანლმოსილი შემოქმედი, ღირსეული მოქალაქე, რომელსაც სრულად აქვს გასიგრძელებული მწერლის დანიშნულება და პასუხისმგებლობა მშობელი ქვეყნის წინაშე ამ რთულ და კატაკლიზმებით სავსე ეპოქაში. თქვენი შემოქმედება, თქვენი თითოეული სტრიქონი, თქვენი ყველა ნაბიჯი სწორედ ამ პასუხისმგებლობის გრძნობითაა ნიშანდებული და სწორედ ეს გარემოება ხდის თქვენს პიროვნებას ასე ძვირფასსა და მონუმენტურს ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის ანმყო და განსაკუთრებით კი - მისი მომავალი.

ქართველი მკითხველი მუდამ მონონებით ხვდება ხოლმე თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, რომლებმაც დაივანა ისეთ პოეტურ კრებულებში, როგორცაა „მარადიული ვალი“, რუსთაველის ქვეყანა“, „ვერ ვინმე მესხი მელექსე“... ამ კრებულებში შესულ ლექსებში მკვეთრად იხატება კოლორიტი ული ფიგურა შემოქმედისა, რომელსაც თუ რამ ადარდებს, ის ადარდებს, რომ თვალსა და ხელს შუა აიმღვრა მტკვარი - ქართული სულიერების დედამდინარე, რომ საღათას ძილს მისცემია რუსთაველის ქვეყანა, რომ უსაშველოდ მოგვიმრავლდნენ შადიმანები, რომლებმაც ქართული ენის ხელყოფაც კი სცადეს... სრულყოფილად ფლობთ ისეთ სალექსო ფორმას, როგორიც რობაიაა... ქართველი ბავშვებისათვის არაერთი საყმანვილო ლექსი შექმენით.

დიდი ცხოვრებისეული გზა განვლეთ. მუშაობდით ასპინძის სარემონტო კანტორის მუშად. „ასპინძაგაზის“

ზეინკლად, სოფელ თმოგვის ბიბლიოთეკარად, ვარძიის ტურისტული კომპლექსის ადმინისტრატორად, გაზეთ „ასპინძის“ ლიტმუშაკად, ასპინძის პრეფექტურისა და გამგეობის აპარატის უფროსად, 1998 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ხართ და თქვენს ულამაზეს და ურთულეს მხარეში ქართული სულიერების ალორძინებას ემსახურებით.

ამ ხნის განმავლობაში რამდენი სამვილიშვილო საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყავით, სწორედ თქვენი ძალისხმევით შედეგად 2008 წლიდან აღდგა პოეზიის სახალხო დღესასწაული „შოთაობა“, დაარსდა გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, რომლის მთავარი რედაქტორიც დღემდე ხართ, თქვენი ინიციატივით ასპინძაში გაიხსნა შოთა რუსთაველის მუზეუმი, რომლის ალორძინების ფონდის გამგეობის თავმჯდომარედ მოღვაწეობდით, ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენს მიერ გამოცემული უნიკალური „მესხური ფოლკლორის“ სამტომეულის პირველი ტომი და „მესხეთი ქართულ პოეზიაში“... გამოსაცემად მზადაა „სიკვდილის ღვინო ასპინძაში“, რომელიც ერეკლე მეფის - პატარა კახის დიად გამარჯვებას ეძღვნება...

თქვენი მრავალწლიანი, უაღრესად ნაყოფიერი საქმიანობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ქართული კულტურის დესპანის, ქართული კულტურის რაინდის, ქართული მწერლობის ამაგდარის საპატიო ნოდებები, გაზეთ „ივერიის“ პრემია, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ნოდება.

ჩვენო ავთანდილ! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და თანამოქალაქეს, საქართველოს ერთგულ მეციხოვნეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ძვირფასო ავთანდილ!

70 წელი რა არის შენისთანა მუხლჩაუხრელი, ნიადაგ ქვეყნის გადარჩენისთვის მოფუსფუსე მწერლისა და საზოგადო მოღვაწისთვის. ავთანდილ ბერიძის ტვირთს ძნელად თუ ასწევს სხვა ვინმე, იგი მართლაც რომ შეუცვლელი კაცია და მის მიერ წამოწყებული საქმეების დათავთავებას მეორე 70-იც არ ეყოფა.

ჩემო ავთანდილ, უპირველესად შენი ხალასი, მალაღნეობრივი და მალაღმბატვრული პოეზია უნდა ვახსენო; მერე შენი თავგადაკლული რუდუნება საზოგადოებრივ ასპარეზზე. საქართველოს ღირსებას და დიდებას მატებს შენს მიერ შენს დიდებულ მესხეთში გამართული და საიმედო საყრდენებზე მდგარი შოთა რუსთაველის დღეები.

დიახაც რომ, შენ იმ საქმის სათავეში დგახარ, რასაც ვეფხისტყაოსნის პატრონობა ჰქვია.

ამავე დროს, მშვენიერი მეცნიერი ხარ და შენი საქმიანობა ამ ასპარეზზეც სამაგალითია.

70-ს გილოცავ, ჩემო ერთგულო მეგობარო და სახელოვანო კაცო!

შენი რევაზ მიშველაძე

ავთანდილ ბერიძე

ძალი ყოფილა

სამშობლოს ჭაპნის განევა ვაი, რა ძნელი ყოფილა, მიწა სისხლ-ოფლით ნაპოხი ოი, რა თბილი ყოფილა.

მის მკერდზე დადინებული ცრემლი რა მწარე ყოფილა, მამულისათვის სიკვდილი ღმერთო, რა ტკბილი ყოფილა.

მტკვარი

გზა-გზა მიყვები მე შენს დინებას, გავივლი ბორჯომს, მცხეთას და მეტეხს, შენი გაჩენა ღმერთმა ინება, ვერ დაგთმობ, სხვისთვის ვერ გაგიმეტებ.

სადაც გაივლი, ამრავლებ ყველგან ახალ სიცოცხლის ნერგს და ყვავილებს, ერთი ათასად გიქციოს ღმერთმა, დალოცვილ იყავ, მრავალჟამიერ!

რა ადვილია შეყვარება, გადაყვარება რა ძნელი, ნეტავი მთელი ცხოვრება უშენოდ როგორ გაეძელი.

მამა-პაპის ნაჯაფ-ნაოფლს, უსირცხვილოდ ვინ არ ჩემობს, დღეს წარსულზე ვილა დავობს, დაკოდლო მინაე ჩემო.

თვალწარმტაცი, ნაირფერი, ერთიორად თვალს ჭრის ყველას, ჩემი მამა-პაპის მკვლელმა შიგ თბილისში მოიყვლა.

კოშკურებზე ცეცხლს ვინ ანთებს, ვილა იცავს ამ მთა-ველებს, „ბრძოლის ველზე ღამენათევ სძინავთ დალილ არაგველებს“!

რა იქნაოდა

რომ არ ყოფილიყავ შენ, ჯალ-ალ-ედინ, ან, შენ — შაჰ-აბას და შენ — ლანგ-თემურ! — რა იქნებოდა, ნეტავ?!..

რომ არ ყოფილიყავ შენ, დავით მეფე, — აღმაშენებლო, შენ, თამარ დედოფალი, დედაო ქეთევან! — რა იქნებოდა ნეტავ?!..

დღეს რომ ვართ ასე, — არავის ვინდობთ, ერთმანეთს ვებრძვიტ სულ გამეტებით, ფიანდაზს ვუგებთ უცხო თესლს და უცხო ტომელებს, საკუთარ ძმას რომ სულ ვემტერებით...

დამდეგი დღისთვის ჩამახედა ნეტავ თვალებში... ო, ღმერთო, ჩემო, რას მოგვიტანს დღე ხვალინდელი?..

რომ არ ყოფილიყო არც ის და არც ეს, რანიც ვართ ახლა, ვიქნებოდით კი ასეთები?!

როგორ არ მინდა დავიჯერო, რომ ის აღარ ხარ, ეჰ, „ფურთხის ღირსო საქართველოვ“, როგორ მიყვარხარ!

რა უცნაური გზებით გვატარებ, ჩემო სამშობლოვ, განა ხვდები შენ? ის გზა, რომელიც არ გაგივლია, ხვალ რომ გაივლი, ისიც მაშინებს!

მუჰარა საკუთარ თავს

ბევრისთვის ბრმა იარაღად რატომ გამოდექ, გულო. ამიერიდან იცოდე, მეც უნდა გიორგულო.

შენი ქართველობა მტკივა

ორჰან ბერიძეს

საფლავში რომ მამას ჩასძახობდი, ქართულად რომ სიტყვა უთხარ, ძმაო, შენი ქართველობა მტკივა, ჩემი დაკარგული ტაო.

თითქოს ახლოსა ხართ ახლა, — თითქოს დაგვიმოკლდა გზები, მაინც თქვენზე ფიქრი მტანჯავს, — ჩემი „თურქეთელი“ ძმების.

თქვენი ქართველობა მიყვარს, მაგეთ დაძახილი „ნენე“, როცა ქართველურად უქცევთ, — როცა ქართველურად მღერენ.

ახლაც სისხლი მოსდის ტაოს, კლარჯეთს არ აშრება ცრემლი, მე ხომ შენითა ვარ ასე, შენც ხომ სევდა გტანჯავს ჩემი.



გალიმ ჟაილიბაი

ცნობილი ყაზახი პოეტი გალიმ ჟაილიბაი არაერთი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი და სახელმწიფო ჯილდოს მფლობელია. მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ამ უდავოდ საინტერესო პოეტს ქართველი მკითხველი პირველად ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გაიცნობს.

ალტაიდან ტანირტაუმი

როგორ ანამებს სულს მღელვარება, რა გველის? ბედი ჭირვეულია, ტკივილი, მოთქმა - გულიდან მოდის, ოღონდ თუ მკერდში მართლაც გულია. მე ფორიაქის მითრევეს მორევი, ყველა ქარაშოტს წინ ვეგებები, ალტაის ჩრდილად მექცა გოდება, საირამის ტბად მექცა ცრემლები. შენ, ჩემო ხალხო, შენ ვინღა შეგრჩა მტრისგან დამცველი მშობელი მხარის?! უიმედობა რომ შეძრავს, ელი, ჭაღარით მოსილ ტარბაგატაის? დიდხანს ვიარე ამ სამყაროში, მივეჩვიე, რომ ლექსით ვსუნთქავდი, ტანჟარიკივით ვმღეროდი, ვწერდი, ხან კი ასეთად თავს აღვიქვამდი. სადღა არ ვსდიე ილბალს და მაინც სულ სამშობლოსკენ მივყვები ფიქრებს, რადგანაც ვიცი, იქ სტეპის ქარი ტირის, როდესაც მომისაკლისებს. იქ წინაპართა სავანეა, თავისუფლება, კვლავ იმ მხარეში დაბრუნება მე მიწერია, სადაც ყველანი შევიკრიბეთ და გავხდით ერთი ქვეყნის, რომელსაც ყაზახეთი სახელად ჰქვია. შორეთში მხოლოდ ერთმა ვარსკვლავმა, წინაპართაგან ბოძებულმა, მინათა გზები. სიყვარული და ნალველი ჩემი, მშობელი მხარე, მუდამ იქნები. დე, ტანირტაუ მინათოს ჩიტმა, ცეცხლოვან ფრთებით რომ აელვარდა, დასჭიხვინებდეს ძველ ყორღანს ცხენი, რომელსაც ჰუნი მხედარი ჰყავდა.

აიშა

აიშა, ჩემო საყვარელო, ღვიძლო დაიკო, უიგურსკიში შენთან სტუმრობა გულს უხარია! ის კი ყვავილობს და ნაირფრად ელვარებს კვლავაც, მინა კი არა, ედემია, საოცარია. აიშა, მეფის ქალიშვილო, მთვარეზე თეთრო, ისე, უბრალოდ, მხოლოდ სტუმრად მოვსულვარ როდი, მშობლიური და ძველი მიწის გადმოგცემ სალამს, ვით მნათობისკენ, შენკენ ისე მოვისწრაფოდი. შენი სული ნათელია და იქ ლექსი იბადება, ვით ყვავილი გაზაფხულის, სულში ისე იფურჩქნება, შენით ისე ვიხიბლები, ვით მომხიბლეს ყვავილებმა და ზღაპრულად მშვენიერმა, მოკიაფე ვარსკვლავებმა. რა ხანია, რაც ლექსებში ნათესავი სულები ვართ, გევედრები, რომ გამანდო შენი საიდუმლოება, მე მზადა ვარ, სიკვდილამდე ალტაცებით მოვისმინო, შენ გჭირდება ძმა და მე კი დაიკო მეამაყება. ჯერ არ ვიცი, რაზე დავწერ, რას უმღერებს ჩემი ლექსი, შენთვის ვარსკვლავთ გვირგვინის წვანა რომ მარგუნა წილად ბედმა? სულში ხარობს გაზაფხული, გიცქერი და სუნთქვა მეკვრის: ბედნიერი ვარ, რომ შენთან შემახვედრა შემოქმედმა! აზვირთდნენ ისე გრძნობები, შენი ხმა რომ ჩამესმოდა, სული მათთან დაიმარხა, ამ გრძნობათა საბურველში, შენს აულზე ლექსებს, აბა, რატომ უნდა ვკითხულობდე, როცა თავად პოეზია ვიხილე ჩემს საუნჯეში. თვალუნვდენელ ოკეანეს შეედრები ტალანტით და ჩუმიად მიაბზე, დობილო, შენთვის სანუთრო რა იყო. ვარსკვლავთ შორის დაგეძებ, ცათა შინა, ლაჟვარდებში, მზიურ კულჯის მარგალიტო, აიშა, ჩემო დაიკო. თარგმნა ნინო სიხარულიძემ



ეთერ ზაქარიაძე

ეთერ ზაქარიაძეს, ემიგრანტ ქალბატონს წარმოგიდგინებ, რომელსაც სამშობლოს მონატრება ტკივილიან ლექსებს აწერინებს და რომელიც შორიდან ეფერება ახლობლებს და მეგობრებს, დახმარებას უწევს კულტურის, მწერლობის წარმომადგენლებს. აი, რას წერს იგი: „თავმდაბლობით ციხე დადგვი, თავმალლობით დავანგრე...“ — უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და მეც ვერასოდეს დავანგრეე ჩემი „თავმდაბლობის“ ციხე-გალავანს, ვერასოდეს გავუტოლე თავს ღვანლმოსილ და ცნობილ პოეტებს; მე მხოლოდ ნოსტალგია მანერინებს! როგორც მურმან ლებანიძე ამბობს: „ჩემთვის ვაჩხაკუნებ ჩონგურს სანატრელო...“ ეს ჩემი ლექსებიც უცხოეთში გადახვენილი ქალის სულის ტკივილის, სამშობლოს, ახლობლების მონატრების და სიყვარულის ერთგვარი ანარეკლია...“

„ბოროტსა სძლია კეთილმა“

...ბოროტმა „ყვავმა“ ფრთები გაშალა და ნათელ მთვარეს გადაეფარა, და „ავმა სულმაც“ დრო მოიხელთა, გულს ნაცარ-ტუტა შემოგვაცარა, ცა მოიღრუბლა, განრისხდა, ვარსკვლავებს მოუხმო „ამარამ...“, ბუნებაც შევლას ითხოვდა, ეს როგორ, „ყვავმა“ დაგვსვარა? ცა ჩამოხვედრა... შავით შემოსა... ამარა ვარსკვლავებს გადაეფარა... არ გაანათოთ ჯერ არა! შავი ყორანი დაფრინავს... მას ბოროტება არ კმარა... მკვლელის სახელით ნავარდობს... მან ბევრის სისხლი დაღვარა... ბუნებამ ქარსაც მოუხმო... „შენ სად დადიხარ, სად არა?“ იქნება წამოგვეშველო... ყვავს არ ჩაუგდოთ „ამარა“! ვის გაუგია ყორანი, მალღა რომ ფრენდეს, ძირს არა... მისი სამყოფი იქაა, სადაც „ლეშია“, სხვა არა, ეშმაკზე ადრე მოსულა შავი „ყორანი“ ქალი, რას დააკლებდა „ავ გოროსს“... მას დაბერილი ქარი... ქარმა მოსტეხა „ტოტი“, რაზეც მჯდარიყო „ყვავი“,

მეორე „ტოტზე“ გადაჯდა და შემოსთვალა ავი, ... ძირს ყველა „ტოტი“ ჩემია, რასაც რომ ჰქვია შავი... რასაც რომ ჰქვია კაცი, ის უნდა იყოს „მხდალი“, უნდა უყვარდეს ცეკვა, ჭკუამხიარული ქალი, ტაშ-გიტარაზე მომყვებს, არავის ჰქონდეს ვალი... ვალიო? ხო ვალი! კაცობის ვალი, ნამუსის ვალი, არ უნდა ჰქონდეს, არც სიყვარულის ვალი, არ გაიხსენოს შვილ-მომავლის წინ დასადები კვალი, ძილი დაიფრთხოს, იცეკვოს და არ დახუჭოს თვალი... დიდხანს უსმინა „ქარმა“... სამტროდ მოსულსა ქალსა... ვინ მისცა „ყვავსა“ უფლება, მალღა რომ იწვეს თავსა, მფრთხალს და უგუნურს აბრმავებს, თვალს ვერ აუხვევს სხვასა, დიდ ცოდვად ისიც გეყოფა, „რაც გზა გივლია ავსა“, თუმცა დაიბნა „ქარი“... არის ისეთი კაცი, ვისაც არა აქვს ვალი? მაგრამ ყველა ქალია... ქალი? „ყვავობს და ხარობს მთვრალი“ სულით შავი და ბოროტი, ქალი უნდა იყვეს „ყვავი“? მინის პირიდან აიგოს... „ას კატას გადანახტომის“... შავი ბოროტის კვალი... განრისხებულმა ქარმა ღრმად მოიკრიბა ძალი... ხე შეანძრია გრიგალით... სად იყო მჯდარი ყვავი... ძირს ჩამოაგდო ყვავი შავი, ბოროტი მხდალი... დააგდო, ძირს დააგორა... ტანს დააჩინა კვალი... გული იჯერა ქარმა, კვლავ დაუბერა მძლავრმა... თავად „უძღურმა ავმა“, უდაბნოს ქვიშით დამარხა, მინა არ ნახოს ყვავმა... ინათა... მოღრუბლულ ცაზე, როცა ივარგა ქარმა, ბოროტსა სძლია კეთილმან... ვერ გაიმარჯვა ავმა, მაგრამ ეს იყო გვიან... სიცოცხლე მიხურა... კარმა... მეჩერზე მჯდარსა ქალს... გზა აუბნია თავმა... ეს იყო უკვე გვიან... მეჩერზე მჯდარი ქალი... „ბოროტით“ იყო მთვრალი... სიკეთით დასუსტებული... ველარ ვიცანით ქალი... გედიც გამოჩნდა თეთრი... მიკნავებული „ჩანგი“... ერთხელ არგუნა ღმერთმა... მას რომ ემღერა... „ჰანგი“, ეს იყო ბოლო... „გედის“... ამღერებული ქალი... მან მოიხადა... „ერის“... წინ მოსახდელი ვალი...

გელა-გელუკა ბუილიშვილი

წვიმის წვეთი

ფოიეში დაგინახე გადაგშლოდა ყვავილეთი და გიშრისფერ ლამაზ თმებზე დაგცემოდა წვიმის წვეთი. წვიმის წვეთი. ჰო, ის წვეთი კულულებზე რომ გეკიდა, ჰო, იმ წვეთმა დამატყვევა, იმან ცეცხლი მომიკიდა. გამშვენებდა (როგორ გითხრა: ისე, როგორც ვარდებს ნამი) ოჰ! ნეტავი იმ დროს, იმ წამს შენც გენახა შენი თავი. შენ კი, კარგო, შენს სიტურფეს ვერც ატყობდი, ვერც კი გრძნობდი, მე კი იქვე, სვეტის გვერდით, შენი ეშხით ვინვებოდი. წვიმის წვეთო, ვერცხლის წვეთო, ერთხელ კიდევე, ერთხელ კიდევე, ვინც ეს გრძნობა გამიჩინა გიშრის თმებზე დაეკიდე.

ელისო ქიტიაშვილი

(ვუძღვნი ჩვენს ღირსეულ ექიმებს)

ებრძვის ბოროტი კვლავ სიკეთეს დიდს და უსაზღვროს, დე, ნურასოდეს ჩამქრალიყოს ჰანგი ქართული, მშვიდობასა და ჯანმრთელობას გვედრით, უფალო, რომ ცისკარივით ანათებდეს ჩვენი მამული.

ვაგლახ, შევცოდეთ, სირცხვილი გვწვავს ადამიანებს, როგორც უფალი, ჯვარზე აცვეს მთლად საქართველო, მოგვმადლე, ღმერთო, დაიცავი, გაამთლიანე, როს დაშანთული გული ფეთქავს, კრთის და კანდელობს.

ჩემო სამშობლო, გვიძღვი, როგორც აპოთეოზი, თუმცა, შევმატე ვერაფერი არსთა გამრიგეს, აქ ცის ნამივით მეფინება სული ეროსის, ო, ზეციერო, სათნოების კარი გაგვიხვენი.

კვლავ დაიფარე ჩემი გმირი, პატარა ერი, ფანასკერტელთა სული მოსდგამს, რომ მხნედ საფერობს, გთხოვ, ღვთისმშობელო, ამ წილხვედრი ერთი და ბერიტი მარად ხმიანად გუგუნებდეს კვლავ საქართველო.

დავით რობაქიძე

ქართული კულტურის ისტორია

ვეხმიანები დიდებულ ქართველს სოსო სიგუას

განასრულაო მეცნიერმა ოთხტომეული!.. ერის საუნჯის ისტორიის ღვთის ნებით მორთულს-ჩაუქსოვია შრომა, ძალი, სული და გული. ზეციურ სხივთა რომ აშუქებს კულტურას ქართულს!

არ დაელიოს კოლხ-იბერთა სამწყსოს სარქალი, ნუმც მოუდუნდეს მამულისთვის მარად მზაობა, ანათებდესო მის შინამოს მზიური თვალი, ოქროს სანმისად მირთმეული ახალ თაობას!..

არ ვაზვიადებ, სიმართლეზე მიდევს მარჯვენი!.. თქვენი მკითხველი არ იშურვებს მეგობრულ სალამს, კიდევე მრავალი ტომეულით ამდიდრე ერი,- ბატონო სოსო, ბარაქალა თქვენს ოქრო კალამს!

ქეთევან ნადირაძე

ცა ვარ

ტანთ ვარსკვლავნი მახვევია, თუმცა ვიყავ ვნებული. ზეცას მზე და მთვარე მყვანან გულში ჩახუტებულნი.

ჩემს სურნელზე შეყვარებულ, ბულბულს ვყავარ ქებული. ვინ ვარ? ვარდი ტრფიალისგან ვნებით აყვავებული.

ხან ვტირი და ხან ვიცინი, ხან ვარ დიდი ბუტია. მომღიმარ ბუჩქს დღე და ღამე მკერდზე მიმიხუტია.

ვინ ვიყავი? მცირე კურკა მიწის მკერდზე ჩაშლილი. ახლა მალლა აზიდული ხე ვარ ხელებგაშლილი.

მიდის, მოდის დრო და მაინც რჩება მარად სოფელი. ბალახი ვარ, ზოგჯერ ვკვდები მულამ მარადმყოფელი.

და სადა ვარ? შენშიცა ვარ, აქაც, მანდაც ვეტყვი. რასაც ვამბობ გულით ვამბობ, არა გადამეტებით.

კახა გვარუციძე

08.08.2008 წლის გამოცხადი

იმპერიები დაინგრა, ისტორიამ თქვა სათქმელი, რუსი ვერ გაბატონდება, სანამ არსებობს ქართველი. ღვთისმშობლის კალთა დაგვიცავს, არ მიგვატოვებს უფალი, ოლონდ ერთ მუშტად შევიკრათ, ქართველი ჭირისუფალი. რწმენამ იმძლავროს ძარღვებში, ადუღდეს ვაჟკაცთ სისხლია, და კიდევე დაიბადება: ვაჟა, აკაკი, ილია. ერთურთის ხიდად გადავიქცეთ, სიკეთის ვთესოთ მარცვალი, აფხაზს და ოს ძმებს მივუძღვნათ, ჩვენ გული ალალ-მართალი. იმედს ნურასდროს დავკარგავთ, ჩვენც ავმალდებით ოდესლაც, ქართველ კაცს უთქვამს წარსულში, ხერხი სჯობია ღონესა. მთავარი არის ვირწმუნოთ, რომ ჩვენ ვართ ერთიანები და ჩვენზე აღმართულ მახვილს გადაველობოთ ფარებით. მჯერა, თუ ერთად დავდგებით, ვერას დაგვაკლებს მტერია, ისევე იმძლავრებს, იმრავლებს, ქართველი კაცის გენია. თუ გავაკვირვებთ სამყაროს, ჩვენ ჩვენი წესიერებით, დავინწყებთ ქვეყნის შენებას, თავიდან სუფთა ხელებით. როცა კი გავითავისებთ, რომ ჩვენ ვართ უფლის შვილები, მივხვდებით ყველა ვყოფილვართ, ქრისტეს დედამამიშვილებით. ამიტომ არ გვაქვს უფლება, მოდუნების და მოლხენის, და თუ დაგვჭირდა მოვნახავთ, ძალას ჩვენც ხმალის მოქნევის. იმპერიები დაინგრა, ისტორიამ თქვა სათქმელი, ვერავინ გაბატონდება, სანამ არსებობს ქართველი.

ლია მუმლაძე

მე მისი ერთი პატარა შტო ვარ!

მე რუსთაველი არა ვარ, მაგრამ მე მისი ერთი პატარა შტო ვარ! მის ნაკვალევზე ფეხაკრეფით მესხეთში დავალ... და მისი გენი დამაქვს ფარულად. მისი ჩრდილის ქვეშ, ლექსის წერაც კი გავბედე მე შეფარულად... ო, მიყვარს, მიყვარს ჩემი მესხეთი, ჩემი ვარძია, საფარა, ზარზმა... ჩემი სიცოცხლით მათ სიყვარულს დავემწყემსები და აქ ვინც ცხოვრობს, ვინც შეიგრძნობს მის სიდიადეს არ შეიძლება, არ დაწეროს მასზე ლექსები!

თამარ ტყაბლაძე

დედას...

რატომ დამჯდარხარ ფანჯრის რაფასთან, ვგრძნობ, სევდას დაუდევს ბინა ფიქრებში. ნეტავ სადა ხარ ფიქრებით ახლა, ნეტავ შემეძლოს ამის გაგება, რატომ ჩამქრალა შენი თვალები და დაუნამავს ცრემლებს თვალები იქნებ ფიქრებით წასულხარ წარსულში და გაგახსენდა ახალგაზრდობაც. გთხოვ, გაიღიმე, ჩემო დედიკო, და შეიმშრალე ცრემლი თვალიდან მე შენ მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო, და მიყვარები მთელი ცხოვრება.

მაია დიაკონიძე

ძველი ლექსებიდან

მე უსაშველო მოლოდინს ვითვლი, გაცივებულა სისხლი ძარღვებში, როგორც ნანვიმარ მიწაზე სოკო, ისე მრავლდება დარდის მარცვლები. ღრუბელმა პირი შეიკრა მქისედ, აღარ ჭიკჭიკებს ცაში მერცხალი, მე კი ქარივით სამოსელს ვიცვლი და შენს დანახვას ისევე ვიჩქარი. ვიცი, დაენვა ფარვანას ფრთები, როცა სინათლის შუქი იხილა, შენკენ სავალი ოცნების გზებიც, დიდი ხანია გაქრა ფიქრიდან.

ეთერ ზარიძე

ბანუკითხავი დრო

დრო დადგა მეტად განუკითხავი, არავის ახსოვს მამულზე დარდი, აქ დაფნის გვირგვინს ირგებს უღირსი, ღირსეული კი - მათხოვრად დადის. უსამართლობა ზეიმობს ყველგან, დაგვიდგა მეტად რთული დროება, ჩვენს ქვეყანაში არავის ახსოვს „ენა, მამული, სარწმუნოება“. აქ ყველაფერი არის მარტივი, მთავარი არის ჭამა და სექსი, ამოდ ვანყო გვემებს კარტივით ვის უნდა ჩემი პროზა და ლექსი. გადაგვარების გზაზე დამდგარი ამას ვერ ხედავს ქართველი ერი, მტერი კი, უკვე კარზე მომდგარი, აკრძალულ სოლოს ხმამაღლა მღერის. დრო დადგა მეტად განუკითხავი, არავის ახსოვს მამულზე დარდი, აქ დაფნის გვირგვინს ირგებს უღირსი, ღირსეული კი - მათხოვრად დადის.



ზაალ ბოტკოველი - 70

70 წლისა შესრულდა მწერალი ზაალ ვახტანგის ძე ბოტკოველი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ზაალ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ წევრს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას 1973 წლიდან ეწევი, როდესაც თსუ ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურულ აღმზანს „პირველ სხივში“ გამოქვეყნდა რუსი მწერლის ვიქტორ კოლუპაევის მოთხრობა „შთაგონების“ თქვენეული თარგმანი. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რეცენზიები, პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ კრებულებს, როგორცაა „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“ და „უფალთან ახლოს... სინათლის წრეში“. სწორედ ამ კრებულებში დაივანა თქვენი შემოქმედებითი ნაზრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა.

მშობლიურ ენაზე აამეტყველეთ ანტონ ჩეხოვის, ძუნიტირო ტანიძაკის, ლუიჯი პირანდელოს, ვლადიმერ ანატოლიევის, უოლტ დისნეის, სპირიდონ ვანგელის და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები. მათგან ნაუმ ლაბკოვსკის მოთხრობები ცალკე წიგნად გამოიცა.

არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი მიუძღვნით ქართული მწერლობის ისეთ წარმომადგენლებს, როგორც იყვნენ და არიან გრიგოლ რობაქიძე, კოტე მაცაშვილი, ლადო ასათიანი, გურამ ასათიანი, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ჯანსუღ ლვინჯილია, არჩილ სულაკაური, გურამ ფანჯიკიძე, ბადრი ჭოხონელიძე, ზაურ ბოლქვაძე, რევაზ ჯაფარიძე, მაყვალა გონაშვილი, ვანო ჩხიკვაძე, მანანა ჩიტიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი...

თქვენი პუბლიცისტური წერილები მუდამ დაუნდობლად ამხელდა საქა-

რთველოს გარეულ თუ შინაურ მტრებს, მუდამ პირუთვნელად და ობიექტურად აღწერდა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. მათი ავტორი კი ყოველთვის ჭეშმარიტ ჭირისუფლად რჩებოდა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნისა.

არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ის დიდი შრომა და რუდუნება, რაც მიგიძღვით ორი დიდი ანთოლოგიის (ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია „შენ ხარ ვენახი“ და „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ორ ტომად) შექმნაში, როგორც მათ შემდგენელსა და რედაქტორს.

ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევი. სხვადასხვა დროს არჩეული იყავით და ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის ინფორმაციისა და პრესასთან ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელად, პრეს-ცენტრის ხელმძღვანელად, მიმღები კომისიის პასუხისმგებელ მდივნად, პრემიების მიმნიჭებელი კომისიის მდივნად, სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად, ლიტერატურული ასოციაცია „თაობა-70“-ის პასუხისმგებელ მდივნად, ტერენტი გრანელის სახელობის საზოგადოების პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთების „ათინათისა“ და „შარავანდის“ სარედაქციო კოლეგიების წევრად, ჟურნალ „სხივის“ პასუხისმგებელ მდივნად, თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს მსაჯულად, მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

როგორ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უაქტიურეს მონაწილეობას იღებდით თბილისის დედაციხეზე წმინდა ნიკოლოზის ტაძრის აღდგენაში.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენითა და მედლით. მონიჭებული გაქვთ საქართველოს მწერალთა კავშირის, გამომცემლობა „მესხეთის“, ჟურნალ „ოლეს“, მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის, ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, მემედ აბაშიძის, გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიებით; ქრისტიანული პოეზიის VII ფესტივალის მთავარი პრიზი - წმინდა ნინოს ჯვარი, როგორც ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეს. ხართ „ქართული კულტურის ამგდარის“ და „ქართული კულტურის დესპანის“ საპატიო წოდებების მფლობელი. სულ ახლახან ქუთაისის მერიამ და მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიამ ღვანღმოსილი ჟურნალისტიკის წოდება მოგანიჭათ.

ბატონო ზაალ!

ბევრ ქართველ მწერალს კარგად ახსოვს მათზე განეული თქვენეული სიკეთე და ამაგი.

კიდევ ერთხელ გულითადად მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სიტყვის ღვთისმშობლის რაინდი

„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი და ღმერთი იყო სიტყვა.“

ის იყო დასაბამიდან ღმერთთან.

ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.“

ამ ბიბლიური შეგონებით იწყებს წერილს „ნათელი კაცთა“ ზაალ ბოტკოველი. ვინ ვინ და თავად ქართული სიტყვის უერთგულესმა გუშაგმა კარგად იცის სიტყვის ფასი და ძალმოსილება. სიტყვის, ანუ უფლის. თავადაც უფლის გზას დასდგომია, ანგლოზის თვალი ტრიალებს მის ყველა წერილსა თუ თარგმანში, ესესაა თუ რეცენზიაში.

ცნობილ ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე მის მიერ დაწერილი რეცენზიები მარტო თავანკარა ქართულით ან აზროვნების სიღრმით როდის ხიბლავს მკითხველს. თითოეული წერილი დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებია ქვეყნის სვე-ბედზე მაფიქრალი კაცისა, რომელსაც ხელთ ჯადოსნური გასაღები უპყრია და რუდუნებით გიღებს მწერლის სულიერი საგანძურის ცხრაკლიტულს. კითხულობ და გიკვირს - განა აქამდე არ ნაგვიკითხავს ეს მშვენიერი ნაწარმოები? განა აქამდე არ იცოდი ეს ჭეშმარიტება? მაშ რა მადლი დაჰყვება ზაალ ბოტკოველის ამ სტრიქონებს, ასეთ განსაკუთრებულ ელფერს რომ მატებს მწერლის ნააზრევს, ასე რომ გიტაცებს და გინვევს ხელოვანის შემოქმედების ურთულეს გზანვრილებზე სახეტილოდ.

ქართული სიტყვისადმი ერთგულეზასა და მრწამსს ასე გამოხატავს ზაალ ბოტკოველი: — დიახ, ქართულ ენას, ჩვენს მშობელსა და ქომავს გადარჩენა სჭირდება, მოვლა-პატრონობა სჭირდება და სწორედ პოეტები, ქართველი პოეტები არიან ის ღვთისმშობლის რაინდები, რომლებიც გრაალის მცველთა დარად, ლამის უკანასკნელ ბასტიონად ქვეულა ეშმას და სატანას მოციქულთა შემოტევების მოსაგერიებლად.

თავად „სიტყვის ღვთისმშობლის რაინდი“ უკვე ათეულობით წელია ამ სადარაჯოზე დგას. მისი სიტყვა მართალთათვის სულის სალბუნია, ქვეყნის ორგულთათვის და უნიჭოთათვის ბასრი მახვილი.

რაც მწერალთა კავშირთან ურთიერთობა მახსოვს, მახსოვს ზაალ ბოტკოველიც - თავდადებული, ერთგული, ზნეკეთილი პიროვნება. სიმართლე რომ გითხრათ, მის გარეშე, მწერალთა ანუ გულთა კავშირი ვერც კი წარმოიშობებოდა. მადლობელი ვარ უფლის, მასთან ერთად რომ მომინია ამ ორგანიზაციაში მოღვაწეობა. მიყვარს, პატივს ვცემ, მიემედეება.

მიყვარს მისი მადლიანი კალამი, მისი წერილები და თარგმანები.

პატივს ვცემ მის გასაოცარ სამართლიანობას და სულგრძელობას.

მიემედეება მისი ერთგულების.

მზეგრძელობას და დღეგრძელობას ვუსურვებ ზაალ ბოტკოველს და უფალს ვთხოვ, არასოდეს მოაკლოს მადლი და ძლიერება მის კალამს, დიდხანს, დიდხანს ამუშავოს ქართული სიტყვის სადარაჯოზე. იბედნიეროს სალოცავ მამულთან, ლამაზ ოჯახთან და მწერალთა კავშირთან ერთად.

მაყვალა გონაშვილი

ზაალ ბოტკოველი -70

სამოცდაათი გალიე, ღირსო უკვდავთა გენისა, თქვი და დალოცე მრავალი, ტვირთი იტვირთე ბევრისა, უჩინრად ყოფნა გირჩევნის თუმც საჩინო ხარ თვალისა, ავთანდილობ და ცოტნეობ, ხარ არშემრჩენი ვალისა, მოკრძალებული დადიხარ, არ მიმღები ხარ ავისა, სამოცდაათი გალიე, ხმალი გარტყია რვალისა!

ნათელა გოხელაშვილი

ამონარიდები

ზაალ ბოტკოველის

წერილებიდან ქართულ მწერალთა

ჭაბუა ამირეჯიბი

შეიძლება ითქვას, რომ სულ ახლახან დავემშვიდობეთ XX საუკუნეს.

დიახ, ისტორიის ანალებში გადაინაცვლა მრისხანე, უსასტიკესმა, სისხლიანი კატაკლიზმებით აღსავსე საუკუნემ, ერთმა დიდებულმა პოეტმა შეღამებათა საუკუნე რომ უწოდა.

გაივლის ხანი და როდესაც ჩვენი შორეული შთამომავალი შეკითხვით მიმართავს ამ საუკუნის საქართველოს, თუ რა შესძინა მან ცივილიზებულ სამყაროს, რითი გაამდიდრა მსოფლიო მწერლობა და ხელოვნება, რა სახელები შემატა კაცობრიობას, იმ მცირედთა შორის, ვისი სახელებითაც ჭეშმარიტად შეგვეძლება თავის მოწონება, უეჭველად დასახელდება ჭაბუა ამირეჯიბი და მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ჭაბუა ამირეჯიბი!

მწერალი და პილიგრიმი, რომელიც საოცრად ამართლებს ამირეჯიბთა საგვარეულო გერბზე გამოსახულ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს — სიმბოლოს რომ წარმოადგენს სამშობლოსათვის, სარწმუნოებისათვის მონამებრივი თავგანწირვისა...

შოთა ნიშნიანიძე

... შოთა ნიშნიანიძე ბიბლიური საუკუნეების უდაბნოში მოხეტიალე, გადაღლილი, გადაქანცული ხალხის შვილი, ხელში კვერთხით რომ ეჭირა ქართული სიტყვა და სადაც კი ამ კვერთხს მოიქნევდა, იქ ღვთაებრივი ნექტრის სურნელი დატრიალდებოდა ხოლმე...

როდის იყო შოთა ნიშნიანიძე ბედნიერი? როდის და როცა ერთ მისთვის აგრერიგად სასურველ კეთილ ჯადოქარს ხვდებოდა, მარტოობა რომ ერქვა სახელად. როგორ გაილაღებდა ხოლმე მაშინ მისი სული გალუმპული ხილვების თქემით, როგორ ამსხვრევდა პირობითობის ბორკილებს და თავის ყველაზე სასურველ ზმანებებში გლადატორივით ებრძოდა უსამართლობას, ავკაცობას, უზნეობას, ებრძოდა და იმარჯვებდა კიდევაც. სწორედ მარტოობის ჟამს სტოვებდა მისი სული სხეულს და შორეულ გალაქტიკებს მიაშურებდა — იქ ციური ბილიკები ეპყრა კვერთხად, ფეხზე ქაოსი ამოეკვია, წელზე კი ქამრად ელვა ჰქონდა შემორტყმული, მინის სული, ცის ფიქრი ღრუბლად მოებურა და თუ ერთი წამით მაინც წარმოიდგენთ ამ სანახაობას, მიხვდებით, რომ შოთა ნიშნიანიძე სწორედ იმ გალაქტიკების მკვიდრი, იმ გალაქტიკების ბინადარი გახლდათ.

დომენტი სოზაშვილი

ყოფნა

კორონას ლაშქარი მოგვდგომია. უხილავი მტერი მხოლოდ გამოვლინებებით - სიმპტომებით შეიცნობა: მაღალი სიცხე, ყელის ტკივილი. ხველება თუ აქვთ დაუგდები-გაუჩრები - უთუოდ ისაა! ვერა ვხედავთ, რომ შევებრძოლოთ, მაგრამ გავუგეთ! თურმე ის თავისით ჰაერში ვერ ვრცელდება. ვერ მოდის... თუ ჩვენ არ ავიყვანთ, არ წავიყვანთ და ამრიგად შეგვიძლია ავირიდოთ-ავერიდოთ ხელების ბანვით, ერთმანეთთან მიუახლოვდებით... დიახ, არ შეხვდეთ, რომ არ შეგხვდეს! თითქოს არც ისე ძნელია ამ ჭირი ვირუსის აცილება, მაგრამ თურმე როგორი საქმე ყოფილა ამის კეთება მთელ ქვეყანაში.

„საკითხისადმი არასერიოზულმა დამოკიდებულებამ სერიოზული შედეგები იცის“ - ეს ახლაც გამოჩნდა განვითარებული თავისუფალი საზოგადოების ქვეყნების სამწუხარო მაგალითზე, როცა ისინი, თავისუფალნი, დიდად არაფრად დაგიდევდნენ თავისი ოფიციალების შეგონება-რეკომენდაციებს (ალბათ ეს უკანასკნელნიც არა თვლიდნენ ამას მაინც და მაინც საჭიროდ, სახიფათო ვირუსთან დამოკიდებულებაში. შედეგად კი „უხილავი მტრისაგან“ ასეთი დიდი დანაკლისი მიიღეს! მაგრამ სერიოზულმა დამოკიდებულებამაც სერიოზული შედეგები იცის. - დღეს საქართველოზე ყველა ალაპარაკდა, როგორც ჭირთან წარმატებულად გამშკლავებელ ქვეყანაზე. ეს ერთი, ქვეყნის ხელისუფლებისგან უნარიანი ოპერატიული ზომების მიღებით მოხდა, რომელიც უსმენდა ექსპერტ-პროფესიონალებს ჯანდაცვის სფეროდან. მეორე გამოჩნდა საქართველოს ჯანდაცვის მაღალი პოტენციალი. ტყუილა არ ყოფილა სამედიცინოს ბუმი საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა საქართველოში. მაშინდელ პარადებზე ტყუილა არ უძახიათ მსოფლიოში 1 000 სულ მოსახლეზე საქართველოს მონინავიობაზე ექიმების (თურმე მართლა ექიმების) რაოდენობით. მაგრამ კაი მთქმელს კაი გამგონე უნდა მზისქცემეთში ხვედრილი ადგილის შენარჩუნებაში ერთთავად მებრძოლი, უამრავ ჭირვარამგადახდელი ჩვენი ერი რაღაც ბუნებრივად დადგა ყოფნისათვის ამ ახალ ბრძოლაში. და ეს ერთი ყველაზე უკეთ გამოუდის. ადრე თუ მტერს პირდაპირ ეკვეთებოდა შუბით, ხმლით, ფარით - ახლა („სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“) არიდებით, გაცილებით ამარცხებს ყველაზე ორგანიზებული და დისციპლინიანთა მართლა, ყველაზე მიღწეული ჯანდაცვაში?! - არა, სხვებზე ცუდი არ არის, მაგრამ ყველაზე მეტად უყვარს სიცოცხლე, მეტად არის ეს სიცოცხლე და იმიტომ ალბათ!

არადა რა აპრილია! მთელი წელი იდუმალად რო ელოდები კაცი - ფოთოლაყრილი დგება აპრილი... საკვირველია, მერცხალი სოფელში. სახლებში ჯერ არ მოსულა, აქ მინდორში კი მღელავი ყანების თავზე უკვე დაგელავს-დანავარდობს, ერთმანეთში

სხლტომა-ყიჟინით იკლებენ აქაურობას ეხარებიან გახალისებულ ცას და ნორჩი ყანის უნდოლ სიმწვანეს. აბა, ამაღ შემოუთამაშებენ შუაგულში მოქანავე წითელ ყაყაჩოთ. ერთ-ორს რომ დაინახავ სიშორეს.

ხან რომელი და ხან რომელი მთელი წლის უნახავი ყვავილი ამოჩნდება ხოლმე დილას. რჩებიან, დგებიან ახალ სურათად ცოცხალი ცოცხალი ფერებით. ტიტებმა ამონათეს, ალუჩები, ტყემლები გაიფიფქნენ. თანდათან ყველა ყვავდებიან, ატმები უნახესად ფერადობენ, ვაშლები თეთრად იფურქნებიან, მაგრამ აპრილი იასამნებისაა, მთლიანი იმისი აყვავების შეფერვის და ყველგან იმისი სურნელი საოცრების ჩქერებით!

აყვავება, როგორც სიცოცხლის სტარტი, ყველასი (ყველა ყვავილის) ჩვენთვის (ასევე სიცოცხლისთვის) ლამაზად მისაღებია. მერე ჩიტების გალობა, ამათი სიცოცხლის ხარობა?! ჩვენი მღერა?! - ნაღვლიანი თუ მხიარული, საჩვენო ჰარმონიის ამოხმოზა, ჩვენი ატაცნები, განწყობები... ხარობისთვის, შვებისთვის... ჩვენ ეს უფრო კარგად გამოგვდის „იარალის მკეთებელ“ ინსტრუმენტებიანებს (მუსიკის) კარგობა სიცოცხლისთვის კაიდ ყოფნა, ერთგულეობა იცის ქართველმა, რომ სანთელივით ვანთივართ, შეიძლება ჩაქრეს... კორონას შემოტევაზე იცოდა, მაგრამ გულადად ყოფილა ყოველთვის (სხვანაირობა არ შეუძლია) და გულადადვე ნავა ჩვენებური შემოძახებით: „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია!“ ხარობაა ეს ჩვენი ცოცხლობა, ვწუხვართ ხოლმე იმიტომ, რომ ვერა ვხარობთ. ნუხილი გვაქვს ვერხარობის ბუნება. ეს ჩვენთვის უბრალო სიდიადე გვახარებს ყოფნისთვის. ჩიტები ხომ გახარებულები არიან, რომ გალობენ დავინწყებით ალბათ ამათიდან უნდა იცოდეს, რომ ყოფნა ყოფნისთვისაა... მაგრამ ჩვენ მეტს ვეძებთ, მეტს ვენევიით დიდი ყოფნისთვის. ალბათ სარკედ. მეტიც. დამნახავად რომ გამოვადგებით გარეშემო ყოველს - ჩვენთვის ვვითარდებით. ვლონიერდებით... და მიტრიალობს სიცოცხლის ცისფერი პლანეტა ამდენი, მეტწილად უმადურებიან, თავის ისტორიებიან და თავის უფლებებიან, სულ სევდიან-უკმაყოფილო-უბედურ კაცთა მოსახლობით და სულ მოხარეს თავისი როგორღაც ყოფნისათვის ფლორა-ფაუნით. ამოდენა ცოცხლების საერთო ხარობა-სასობა კი ცოცხლობაა თავის დარჩენა, ყოფნა-შენარჩუნება ერთთავად მიზანია. სტრატეგია, ამოცანა, სათავისო ძალისხმევა თითოეულისა, ყველასი უპირველეს ყოვლისა. ოღონდ როგორც შეიძლება! როცა შენ შენად რჩები, სხვებში არ ერევი. იმათად არ იქცევი... ქართველები რამდენი ხანი - უძველესი ათასწლეულები თუ ახალი ტექნოლოგიების ეპოქის ჟამი ვართ და მოვდივართ დროში სხვებთან ერთად თავისის მცოდნე, პასუხგაცემული ყველასთან საკარგოდ, საავოდ. „ერი გულადი, პურადი“ და რამდენს მოვდივართ ასე შრომით, ბრძოლით, დატეხილ საფრთხეებთან გამკლავებით... ადამიანობის - ამ საოცარი უმადლესობის მოტოვებით, მაღლა სვლით...

ჩვენი სოფელიც მიტრიალობს ამ სამყაროში. ახლა კარგად ვიცით ეს თუ ყოფნაა კაცთა, ყოჩაღად, მაგრად, შეძლებით უნდა ვიყოთ! საამისო შემართებით მაშვრალობა გინდა, მაგრამ სულ შრომა-მონაგრებად ქცევა, სიხარბით. სხვათა მოჯიბრობით - ყველაფრის დავინწყებით - ასევე დიდი ვერაფერი ყოფნაა.

აი, ელო დარჩა ასე, თავისი გონებასუსტი შვილით. თვითონ მნ-ს გადასცილდა. თემიკო 56-ს გასცდა. „რა ეშმაკად უნდაო, ეს ამდენი - ყველა მაგას ამბობს, - ეს ბიჭი-კაცი ხო არაფრის აზრზე არ არის - დილით გაჰყვება 5-6 ძროხას, სალამოს მოჰყვება. მეტი არაფერი იცის. არც უნდა“. ხანდისხან მოიცლის ხოლმე ამის სათქმელად სხვა თუ არაფერი. ემ ქონებაზე ვინ არ წამოვა“.

მაგრამ სულ მთლად გამხელილზე დარდი რო მონახება, როცა აღარა მალავს მთავარს, იტყვის „ვეუბნები, შვილო, ახლა გოგო მოვა, ის მოგეხვევა, გაკოცებს, ლოგინში ჩაგინვება, მოგეხვევა... - ისე კიდე საბანს იფარებს და იმალეა ამ დროს. ქა, რა უნდა ვქნა, რა უნდა ვუყო...“

მაგრამ საბოლოოდ იმისათვის, იმდენ რამეში რომ არის გაბმული, ის არის მთავარი, ამ ძროხების წველა, ჩადედება, მოყველება... რა ქნას. ამათი ძროხები სოფლის ნახირში არ უნდათ, ამათ მენახირეობის ჯერზე ბიჭს ერთი-ორჯერ ჩაეძინა და ძროხები საძეხარი გაუხდათ და მორჩა. გაუგეს - არ გვინდაო, თქვეს. სხვებისთვის ფულის მიცემას, ისევე ესე თავისებს სდიოს, ეგრე ურჩევიათ. ვენახებს ხო ყველას, უკლებლივ, ეჭიდება. რაც კოლმეურნეობის დაშლისას შეხვდათ და თავის შინა საკარმიდამოს. ეგ კი არა, ერთი იყიდა კიდევ 27 პლანიანი მუშებით აკეთებს მეტწილად, მაგრამ მსუბუქ საქმეებს - ყელვა. ფურჩვნას თვითონ გაუკრამს ხოლმე ისევე რამდენი სახათაბალოა ახლა აქ - აი, ცეცხლი გამოეცათ ამათ ვენახში. ვაზებსაც წაეკიდა, ერთი ორი წელი აღარაფერში გარგია - სდიე სასამართლოებს! ახლა მორწყები დაიწყეს. დაკრეფა ატ გინდა. მუშების დევნა, ქარხნებში ჩაბარება... მითომ ეხმარებიან ეს ოხერი ერთგული კაცები, კიდე - სათავისოდ რას გამოჩნენ, რა გამოლიტონ, იმაზე უჭირავთ თვალი ამ, ამ დამწვრი შვილებს! ეგე მერამდენე წელია ვალი აქვს 7 ათასი ერთს ამისი და თითქოს არაფერი. ისე ექცევა (ელოდება, მოკვდება და შემრჩებაო). სახლში ქათმებს, ინდოურებს ვერ ელევა; ღორებს ისევე ზრდის თებერვალში დაკვლამდე. ბაზარში თავისი ადგილი აქვს და ყოველ კვირას აუცილებლად იქ დადის ფულის მოსაგებად, რომელსაც მალავს სულ და სულ.

კიდევ რამდენია ასე მხოლოდ სიხარბის სამსახურში რომ ნატრულობს და ადიდებს მისთვის უხმარს. ვინ ან რამ არგუნა ასე მარტო სიმდიდრის მსახურებად ყოფნა. თუ არ იხმარ კიდევ მინაში ჩადებულ ოქროს, ის ხომ არ არის შენი. - გინდა ქვა დებულა იქ!

თორე მონაგრება მაინც ხო მაღლია ყოველთვის. იმ ბაზარს თავისას რომ

უმატებს ფასს ხომ მისაწვდომს ხდის მეტი და მეტისთვის. ახლა უზარმაზარი ღორი არ დაკლა! ბაზარზე რომ აღარ შეუშვეს დაკეტილობაში და აქ უბანში არ გაიყიდა ამდენი ხორცი და ქონი რამდენი გავიდა ამით!

ჩვენს სოფელში ძირითადად ვენახები აქვთ. როცა არაფერი ჰქონდა ქვეყანას ჩვენ მონეულ ყურძენს უდრტვიველად ამ არაფერზე ვცვლიდით. ახლა კი გვინდა ჩვენი ყურძნის ფასი მისთვის მიჩენილი მოჯადოებული ლარის (ან ამდენი სადაა - 70- 80 თეთრი) ფარგლებიდან ამოვიდეს. ლაპარაკია ძველანაგის რქანი თელზე, რომელიც კარგად ცნობილი, ოქროს მედლებიანი „ტიბაანის“ მასალა იყო და ხარისხით არც კი ჩამორჩება კაი ფასიან მსოფლიოს საუკეთესო ყურძენ-ღვინობს. გვჯერა, რომ საჩვენოდაც იქნება უკეთესობა.

თუმცა ძვირი როგორა ვთქვა. წლეულს ჩვენი სოფლის კეთილმოწყობისთვის თავი გამოიღეს ინფრასტრუქტურის სამინისტროდან. გაუგონარი ამბავია აქ - წყალი შეჰყავთ ყველას სახლებში! - ოდითგან უწყლო ძველანაგაში გეხმარებიანო, თქვენები არიანო იქ, სამინისტროში... ჩვენები არიან, მაშ ვინ არიან თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროში. როგორც სხვებში სულ ჩვენები არიან, მთელი საქართველოსი და ჩვენ იმათები - ერთად სამშობლოს ბედის გამომჭედები, განმკარგავები!

არავისი ცხოვრება არ არის მუდმივობა, გაჩერებულობა; ის ყველასგან თავისი დროის გავლაა, სიცოცხლე დინებაა დროში. ნავალთ სულ უფრო გაძლიერებული. ჩვენი შესაძლებლობების სრულად გამომჩენები, თანდათან ყველა კარატის გამობრწყინებით.

აი, ვასიკო ირჯება დღე-ღამე გაუჩრებლად. რალა მუშაობას არ ენეოდა და არ ენევა წვრილშვილი ოჯახის ჯერ საერთოდ გასაყვანად იმ უღმერთო გაჭირვებაში, ქვეყანამ რო გამოიარა, ახლა შვილებიც რო წამოესწრნენ, იქამდე მისაყვანად. ადრე რომ იყვნენ შეძლებით ყველამ იციან, როგორ გადაენტება ხოლმე საქმეში. უკვე მომარტებულმა ოჯახით (რატომაც არა) ახალი ვენახების გაშენება-გაფართოება შეიძლოს სოფელში სარწყავი სისტემა დაამონტაჟეს ბაქოელების ინვესტიციით. ვაზები ირწყვება. შვილიშვილებიც გამოჩნდნენ. ვასიკო ჰქვია ერთს ეს ყველაფერი ამათ უნდათ, მიუღით საამდლეო სამომავლო კარგად ყოფნისათვის, მაგრად ყოფნისთვის - მამა-პაპურად ქართულად-ძველებურად, ახლებურად... და ასე არიან, მიდიან მეტნაკლებად სხვები, ცალ-ცალკე ერთად.

ასე ვართ მოსულები ქართველობა აქნობამდის. ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე ისა ვხდებით რაც უნდა ვიყოთ. ასე ვიქნებით ახლაც, სანამ არ აღმოვარჩნეთ ვინ გვებრძვის, რა უნდა. არ ვიხილავთ უხილავს, არ დავუპირისპირდებით როგორც უნდა და ნავა! იმედი ამას მეუბნება უიმედობა. სადა ვარ! ყოფნისთვის სულ შემართული, იმისთვის ხშირად თავგადადებული ჩვენი ხალხი კვლავაც იქნება, კიდევაც იქნება!

პულოცავი

ცნობილ კრიტიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატს ბატონ სიმონ არველაძეს 100 წელი შეუსრულდა. საქართველოს მწერალთა კავშირი ულოცავს მსცოვან მწერალს ამ სოლიდურ, შეიძლება ითქვას, უნიკალური ასაკის შესრულებას და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

ახალგაზრდა მწერალთა კონკურსი „სიყვარულს უშინაობა“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური პრემიის მოსაპოვებლად კონკურსს წელს პირველად ატარებს. კონკურსი ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურის განვითარებას, ლიტერატურაში ახალი სახეების, ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორების აღმოჩენას. პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ახალგაზრდა (16-დან 35 წლამდე) ავტორებს, რომლებიც კონკურსზე წარმოადგენენ მშვიდობის, სიყვარულის და პატრიოტიზმის თემაზე შექმნილ პოეტურ ნაწარმოებს (არაუმეტეს 3 ლექსი); კონკურსი ცხადდება 07 სექტემბერს, ხოლო ნაწარმოებებისა და საჭირო დოკუმენტების მიღება გაგრძელდება 21 სექტემბრამდე. საკონკურსოდ პოეტური ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ან აფხაზურ ენებზე (ქართული თარგმანის თანხლებით). ნაწარმოებების შეფასება მოხდება ათბალიანი სისტემით; ჟიურის მიერ გამოვლენილი 7 საუკეთესო ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრემიით, თითოეული 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით და გადაეცემათ დიპლომები. კონკურსის საბოლოო შედეგი და გამარჯვებულთა სია ქვეყნდება არაუგვიანეს 01 ოქტომბრისა, რომელსაც ამტკიცებს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი. მონაწილეები მინვეული იქნებიან პოეზიის ფესტივალზე, რომელიც გაიმართება ქ. თბილისში, (წყნეთი, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა 29, კ. გონაშვილის სახელობის 29 ხელოვნების სკოლა). ახალგაზრდა მწერალთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა 2020 წლის 21 სექტემბრამდე უნდა წარმოადგინოს: განცხადება; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; საკონკურსო ნაშრომი: ნიგანი, კრებული ან თაბახზე ამობეჭდილი საკონკურსო მასალა. განცხადებები მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში მისამართზე: ქ.თბილისი, უზნაძის №68. ან შევსებული განცხადება და ნაშრომის ელექტრონული ვერსია (ფონტი - Sylfaen; შრიფტის ზომა - 11) შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: iamotsapia@yahoo.com საკონტაქტო პირი: ია მონაფია 577 09 21 27




მურმან ჯგუბურია

მურმან ჯგუბურიას პირველი ლექსი „ხიდი“ 1958 წელს გამოქვეყნდა ზუგდიდის საქალაქო გაზეთ „მებრძოლი“. ასე შედგა მისი სამწერლო ნათლობა, ღრმადი რედაქციული, განსწავლული მწერალი სიღრმისეული იცნობდა მსოფლიოს ყველა რელიგიურ მიმდინარეობას და ამიტომაცაა ასე ფასიანი ის გარემოება, რომ მის ნაწერებში მართლმადიდებელი ქრისტიანის სუნიტა იგონობა, რომელიც აამარტო თავად ცდილობს დაჟინებით არსთაგამრიგესთან მიახლოებას, არამედ მითხველსაც ავრძობინებს ღვთიურ მადლსა და მითხველს სურნელს... ამიტომაც შეიყვარა მკითხველმა მისი პოეტური და პროზაული კრებულები („მენ იყურებ ფაზჯრიდან ახლა“, „ოდიშური სანახები“, „შუადღის კარი“, „ასი ლექსი“, „მდინარის პირა ყანა“, „ერთტომეული, ეკატერინე ჭაჭაყაძე“, „შინაური გარემო“, „სიტყვა და ფერი“...), შეიყვარა თუნდაც იმიტომ, რომ მის შემოქმედებასთან მიახლოება ნაუცხატავეად, პაიპარად არ შეიძლება. მისი ჩინებული პოეზია თარგმნილია უკრაინულ, რუსულ, სომხურ ენებზე. თავდაც დიდხანს თარგმნა ი. ბუნიინის, ა. ბლოკის, პო სუან ჰონგის, ვ. ხლენიკოვის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ჯ. ლეიპარდის, ა. მიცკევიჩის ნაწარმოებები, ალთაური ეპოსი. მურმან ჯგუბურია ბრწყინვალე ესეისტი იყო. მის ნაწერებს დახვეწილი სტილი, გემოვნება, განსწავლულობა და სიღრმე გამოარჩევს. ამის დასტურია მისი ესეები გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, ვიქტორ გაბესკირიას, ოთარ ჩხეიძის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების, ანა კალანდაძის, თემურ ჩხეიძის, თენგიზ არჩვაძის შესახებ. დიდი მონაწილეა ხვდა წილად მის ისეთ მონოგრაფიებს, როგორიცაა „ჭაბუა ამირეჯიბი“ (2002) და „რევაზ მიშველაძე“ (2007).

მურმან ჯგუბურიას მრავალწლიანი ღვწა ივანე მაჩაბლის, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიებით აღინიშნა. ქართველ მწერლებს დიდხანს ემსახურებოდა მურმან ჯგუბურია - დიდებული მწერალი, ბედკრული პილიგრიმი ბედკრულ ქვეყნისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მწერალ გიორგი ბაჟიტაშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს



ოთარ ბაქანიძე


თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და მეცნიერებამ მტკივნეული დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა მსცოვანი ღვწლმოსილი მწერალი და ლიტერატურისმცოდნე ოთარ აკაკის ძე ბაქანიძე. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ოთარ ბაქანიძე სიკეთისა და სათნოების უკეთილშობილეს იდელებს ემსახურებოდა, როგორც შემოქმედი და მეცნიერი... ოთარ ბაქანიძე დაიბადა 1929 წლის 27 მარტს თბილისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი 1947 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც დაასრულა 1952 წელს. შეიძინა ათეული წლის წინ დაიწყო ოთარ ბაქანიძის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობა და შეიძლება სრულყოფილად სამართლიანად ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მემკვიდრედ. დიას, სწორედ ეს ურთიერთობანი იქცა ოთარ ბაქანიძის შემოქმედებითი ინტერესების უმთავრეს სფეროდ, რომელსაც იგი სიყვარულით, რუდუნებით და ერთგულებით ემსახურებოდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. მართლაც რომ მნიშვნელოვანია ამ ღვწლმოსილი მკვლევარის ისეთი მონოგრაფიები, როგორიცაა „უკრაინული ლიტერატურის ნარკვევები“, „უკრაინული თეატრი თბილისში“, „ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“, „ლესია უკრაინკა“, „გრიგორი სკოვოროდა“, „მიკოლა ბაჟანი“, „ხალხთა მეგობრობის მომღერალი მაქსიმ რილსკი“, „ივან ფრანკო“, „ილია ჭავჭავაძე და უკრაინა“, „ოლეს გონჩარო“, „ტარას შევჩენკო“, „უკრაინული ლიტერატურა“ (3 ტომად), „ვიმ მოყვარესა არ ეძებს“, „ხსოვნა გულისა... უკრაინულ ლიტერატურას მიეძღვნა ოთარ ბაქანიძის სადოქტორო დისერტაცია (ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი). ოთარ ბაქანიძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუკავშირა, არჩეული იყო საქართველოს ლიტერატურისმცოდნეობის აკადემიის პრეზიდენტად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, კლუბ „უკრაინისა“ და ასოციაცია „საქართველო-უკრაინის“ პრეზიდენტად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, უკრაინის კულტურის დამსახურებული მოღვაწის ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ქართული კულტურის რაინდის, ქართული კულტურის ამაღლარის ნოდებები. დაჯილდოებული იყო პავლო ტინინის სახელობის უკრაინის სახელმწიფო პრემიით, ღირსების ორდენით, უკრაინის სახელმწიფო სამი ორდენით („დამსახურებისათვის“ - მე-2 და მე-3 ხარისხის „შრომითი მიღწევებისათვის“).

ქართველი მწერლების ხსოვნაში მუდამ დარჩება ოთარ ბაქანიძის - მეცნიერი შემოქმედის, ჭეშმარიტად თხემით ტერაფადე დახვეწილი ინტელიგენტის ხსოვნა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მწერალ მაღნახ მაჭავარიანის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მწერალ გელა კიკოლაშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს



ჯემალ-სარგის ჯაყელი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ-სარგის ჯაყელი. საქართველომ დაკარგა მშვენიერი შემოქმედი, რომელიც მთელი თავისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში აჭარბებდა - საქართველოს ამ უმშვენიერესი და მრავალჭირნახადი კუთხიდან მთელი ძალით უმღეროდა ერთობილ საქართველოს, მის წარსულსა და აწმყოს, ელაციცებოდა მის მომავალს და სულ თბილისის დროით ცხოვრობდა, აზროვნებდა, ქმნიდა ეპოქის საკადრის ნაწარმოებებს. ჯემალ-სარგის ჯაყელი დაიბადა 1928 წლის 10 მაისს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში. 1947 წელს დაამთავრა ქედის პედაგოგიური სასწავლებელი, ხოლო 1952 წელს - ბათუმის მოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი. ქართველმა მკითხველმა შეიყვარა ჯემალ ჯაყელის პოეტური და პროზაული კრებულები („ჩანჩქერები“, „თვალები და გზები“, „რჩეული ლექსები“, ერთტომეული, „მზისა და წვიმის სერენადა“, „გულის საუნჯე“, „მუჰაჯირი“, „უამთაბერი“, „მზე მობრძანდება, ადამ“, „აღმართი მარადიული მშვენიერებისა“, „სფინქსი სიბრძნისა“, „მიტევება და სამაგიერო“, „ნიმფა“... ჯემალ ჯაყელის საუკეთესო ნაწარმოებები ითარგმნა უკრაინულ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე, ხოლო სომხეთში მისი ორი პოეტური კრებული გამოიცა - „ვარსკვლავთა ძახილი“ და „დამიჯერე“.

ჯემალ ჯაყელმა ჩინებულად თარგმნა სილვა კაპუტიკიანისა და ფელიქს ბაზნიჩინის ლექსები. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია დოკუმენტური ფილმები, შექმნა სცენარი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის „წყარო ვნებათა“. მნიშვნელოვნად გვესახება ჯემალ ჯაყელის გამოკვლევა „ქართველ მთიელთა ფოლკლორული ტრადიციები ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში“. ჯემალ ჯაყელის მრავალწლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით; მინიჭებული ჰქონდა აბუსერიძე ტფელის, მემედ აბაშიძის, ფრიტიოზ ნანსენის პრემიები, საერთაშორისო ოქროს მედალი „ზოლოტაია დესნიცა“, შარლ აზნავურის სამახსოვრო მედალი, გრიგოლ ნარეკაციის სამახსოვრო მედალი, ჰაოს-ქართლოსის საერთაშორისო ვერცხლის მედალი, პოეზიის რაინდის ნოდება; არჩეული იყო ქედის რაიონის საპატიო მოქალაქედ. ქართველი მწერლების ხსოვნაში დიდხანს დარჩება ჯემალ ჯაყელის - მსცოვანი, ღვწლმოსილი შემოქმედისა და ერისკაცის ხატება, როგორც ნორმა და ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს დიდი ილია მართლის გზაზე მდგარი მწერალი მშობელ ქვეყანას, მშობელ ერს, მშობლიურ მწერლობას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ პროფესორ მაღნახ მაჭავარიანის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძნობენ მწერალ თამარ ფარჩუქიძის დედის თიარ (ქეთევან) სამაჭავარიანის გარდაცვალების გამო